Our Church teaches not confuse Christ’s redemptive acts together, not separate them, but do not consider one as more important than another, and with each having a role in our salvation. Moreover, the fact that these acts subject is saving human nature of the Second Person of the Trinity shows the special value that is being created man as eternal perspective and that between man and God is an ontological relationship not abolishes the limits created, nor confuse the pantheistic man with God. Emerging from the “hands” of God’s creative dynamic creation linked with the divine, the grace is provided a rational imitators, but losing that grace by sin, the only way for humans to return to a “running” normal is the Holy Church which gives him the Savior, the Christ the dead, resurrected and ascended. Through Christ, the Church, man is elevated to the supreme honor in near full and perfect communion with his Creator, the very intimacy of the Holy Trinity. Therefore, the purpose of descent or incarnation of the Son of God, His saving acts was human ascension divine glory. Well etched in our hearts to this truth!

I tried to present exposure to present as comprehensive teaching of our Church on the sixth article of the Creed. Finally, it should be noted that as truth Ascension practical implications for our Christian life?

Fathers of our Church, continually shows that the work of salvation requires two things: the sins committed and aware. In other words, the commandments or facts get real redeeming value only when they are fully aware fulfilled. This leads us to a life not only clean but also to

---

<sup>1</sup> Ibidem, p. 274, (Canon of Asscension, the first song, first canon).

research the Holy Bible and Church Fathers to reveal the true meanings of words and words saving as the Symbol of Faith.

This work knowledge enables us to understand that an elevation of Ascension us all to heavenly glory divine Trinity, we understand that the Savior through His sacrifice, the resurrection and ascension into heaven, has given us, the Holy Spirit poured out at Pentecost, all necessary for salvation and sanctification. Practically, for us Christians, Ascension is a calling, a mission, and why not, a true spiritual schedule. Liturgical exhortation „*Up to have the hearts*“ is a constant invitation to *ascension* and maintain in our consciousness unquenchable truth that above is our eternal destiny.

Everything we have to do is to keep undefiled grace of Baptism we put on Christ he that came down from heaven for us and our salvation once to dwell in the womb of the virgin Mother of God, and then, after Ascension, to dwell in our hearts. If he, as God, made partaker of our nature, we seek, by His power to make us partakers of the divine nature<sup>1</sup> by living clean and fully informed by faith just as we have faithfully the *Symbol of Faith*.

It is important, therefore, to seek to understand not only the mind but also the heart of the work that has done for us Son of God by the death, resurrection and ascension to heaven, and the sentient understanding heart to live up to a life in which the presence and work of Christ, the tall body and down through the Spirit, are becoming more intense as to speak with St. Simeon Metafrastul: “He who, with glorious ascension into heaven, deified body of the you've got and you stay true to the right hand of God, grant us Thy Holy Mysteries sharing the right to acquire part of the saved.“

## დაწუტ პოპოვიჩი

ცალესის სრულება ამაღლების შესახებ პატივიზაც ცასამზისაში  
ჩრდინის სიმბოლოს მიერვა მახლის მიხედვით

არსებობს ორი პერსპექტივა, რითაც შეიძლება გავიგოთ ამაღლების საზრისი და მნიშვნელობა – ქრისტეს პერსპექტივა, რომელიც იმყოფება დიდების ნათელში თავის ადამიანურ და ღვთიურ სამებაში, და ჩვენი, ადამიანური ბუნების პერსპექტივა, რომელსაც უძღვნეს სიკვდილის, აღდგომის და ამაღლების ნაყოფი, გაღმერთების შესაძლებლობის ყველა გზა. გამოხსნის აქტის განზრახვა არის არა მხოლოდ ქრისტეს, არამედ ყველა მორწმუნის ადამიანური ბუნების, რომლებიც იღუმალი წესით არიან ქრისტეში, არიან ეკლესიის ცოცხალი წევრები, როგორც მისი ცად ამაღლების სხეული და თვითონ აჩვენებს, რომ შეუძლებელია გამიჯნული იყოს სიკვდილით, აღდგომით და წმინდა სულით.

<sup>1</sup> See the II Petru 1: 4: "Through these things He has bestowed on us his precious and most magnificent promises, ... you may become partakers of the divine nature".

## თეა თათეშვილი

ბაბიონის ბოეოცის ბიბლიუმი სიუჟე-

### (ფილოსოფიურ-სემანტიკური ანალიზი)

ყველასათვის კარგადაა ცნობილია ბაბილონის გოდოლის ბიბლიური სიუჟეტი. წმინდა წიგნის დაბადების მე-11 თავი მოგვითხრობს ადამიანებზე, რომლებმაც გადაწყვიტეს აეშენებინათ გოდოლი, რომლის თხემი ცას მისწვდებოდა. „თქვეს: აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამინის ზურგზე (11:4).<sup>1</sup> მათი სიამაყის დასასჯელად ღმერთმა მათ ორმაგი სასჯელი მოუვლინა: წაართვა მათ საწყისი ენა, შექმნა რა მრავალი ენა და „გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამინის ზურგზე (11:8).<sup>2</sup> მშენებლებს ერთმანეთის აღარ ესმოდათ და, ცხადია, მშენებლობის გაგრძელებაც ველარ შეძლეს. გოდოლი დაუსრულებელი დარჩა, ადამიანები კი – გაფანტული. „ამიტომაც ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამინის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამინის ზურგზე (11:9).<sup>3</sup> ცხრა სტროფისაგან შემდგარი ბაბილონის გოდოლის ეს ამბავი ერთი შეხედვით თითქოს მარტივი ჩანს, თუმცა ის მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ეს პატარა ეპიზოდი სავსეა სიმბოლური დატვირთვით. ის ერთ-ერთი ყველაზე სტერეოტიპული გამოთქმა, ყველაზე გავრცელებული მეტაფორაა დასავლურ ცივილიზაციაში. ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ფაქტორთა გათვალისწინებით, საუკუნეთა მანძილზე ბაბილონის გოდოლის ბიბლიური ეპიზოდი სრულიად განსხვავებულ სემანტიკურ მნიშვნელობებს იძენდა. უპირველეს ყოვლისა მას უკავშირდება ისეთი თემები, როგორიცაა ენათა და ერთა წარმოშობის საკითხი. ზოგიერთი მწერალი, თეოლოგი თუ ფილოსოფოსი ადამის ენის დაკარგვას სასჯელად, ზოგი კი – კურთხევად აღიქვამს. პირველი, მის დაკარგვას მისტირიან და გამუდმებით მის ძიებაში არიან. ისინი თვლიან, რომ ბაბილონამდელი, სამოთხისეული ენის დაკარგვამ გამოიწვია ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირის გაწყვეტა. საწყისი ენის ძიება მათვის ამ კავშირის დაბრუნებაა. მეორენი მრავალი ენის, ერისა და კულტურის შექმნას ღვთიურ კურთხევად აღიქვამენ და თვლიან, რომ ღმერთმა ისინი ერთფეროვნებისა და ერთაზროვნებისგან იხსნა. ენების „აღრევას“<sup>4</sup> ზოგიერთი მკვლევარი ადამიანებს შოროს კომუნიკაციის შეუძლებლობას, გაუგებრობასა და ქაოსს უკავშირებს. ფრანგი მკვლევარი სილვი პარიზე წერს, რომ არეულობა, ნგრევა, ქაოსი – ეს ის ტერმინებია, რომელსაც და-

1 ბიბლია, დაბადება: 11:4, პალიტრა L, თბილისი, 2013, გვ. 12-13.

2 ბიბლია, დაბადება: 11:8, პალიტრა L, თბილისი, 2013, გვ. 13.

3 ბიბლია, დაბადება: 11:9, პალიტრა L, თბილისი, 2013, გვ. 13.

4 ბიბლია, დაბადება: 11:9, პალიტრა L, თბილისი, 2013, გვ. 13.

უსრულებელი გოდოლის სახე გვახსენებს. ბაბილონისეული სამყარო ხდება ტან-ჯვისა და გაუგებრობის სამყარო. ზოგიერთი ეგზეგეტიკოსისათვის ბაბილონის გოდოლი ტოტალიტარული სამყაროს აშენების მცდელობაა. ამ ლოგიკის მოხედვით ღვთიური სასჯელი, რომელიც ადამიანებს აღარ აძლევს მშენებლობის გაგრძელების საშუალებას, ჩანს როგორც კურთხევა, დაუსრულებელი კოშკი კი – როგორც წესრიგის დაბრუნების სიმბოლო. გარდა ენასთან და ქაოსთან დაკავშირებული საკითხებისა, ბაბილონის გოდოლს უკავშირდება ისეთი თემები, როგორიცაა მამასა და შვილს, ადამიანებს შორის ურთიერთობა. აგრეთვე, ადამიანთა გადაჭარბებულ ამბიციასთან, სიამაყესთან, აბსოლუტურ ძალაუფლებასთან, ტოტალიტარიზმთან, შექმნისა და სახელდების უფლებასთან, ბაბილონის გოდოლისა და ქალაქის ერთმანეთთან გაიგივებასთან, ბაბილონის გოდოლის ლაბირინთულ სივრცესთან დაკავშირებული საკითხები..

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კანონიკური ბიბლიური ტექსტის გარდა, თალმუდი, თარგუმი, მიდრაში, არაკანონიკური ნაწერები, იუბილეთა წიგნი, ბიბლიის აპოკრიფები, ფილონ ალექსანდრიელისა და იოსებ ფლავიუსის წიგნები – ეს ის ტექსტებია, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბაბილონის გოდოლის ნარმოსახვითი სახე-ხატის შექმნასა და გამდიდრებაში. ყველა ეს ტექსტი ასწლეულების მანძილზე ბაბილონის გოდოლს ახალ სახე-ხატებსა და მნიშვნელობებს სძენდა. (მაგალითად, ნემროდის პერსონაჟი, რომელიც ზოგიერთ ავტორთან ბაბილონის გოდოლის მშენებლად გვევლინება; ბაბილონის გოდოლის მითის ასიმილაცია ბერძნული ტიტანების მითთან, როგორც ამპარტავნობის ცოდვის პარადიგმა; ნემროდის, როგორც ტირანის სახის შექმნა და მისი ტრანსფორმაცია ძალაუფლების აბსტრაქტულ სუბსტანციამდე).

ნინამდებარე ნაშრომში ვნახავთ საუკუნეთა მანძილზე თუ როგორ ხდებოდა ბაბილონის გოდოლის სემანტიკურ მნიშვნელობათა განვითარება და მათი აქსიოლოგიური შემობრუნება. ვნახავთ, რომ თუ თავდაპირველად ბაბილონის გოდოლი ატარებდა ღმერთის რისხვის, ადამიანისა დასჯისა და საწყისი ენის დაკარგვით გამოწვეულ ნეგატიურ კონტაციას, ჩვენს ეპოქაში როგორ იძენს იგი მრავალკულ-ტურული სამყაროს პოზიტიური მეტაფორის სახეს.

ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ ბაბილონის გოდოლის ბიბლიური თქმულების ტრადიციული სიმბოლიკის ევოლუციის, მის ტრანსფორმაციის, ვარიანტთა გამოყოფისა და რელიგიური და ფილოსოფიური ინტერპრეტაციის შესწავლაა. ჩვენ გამოვყოფთ ბაბილონის გოდოლთან დაკავშირებულ თემებს, მოტივებს, სიმბოლოებს და შევისწავლით მათ განვითარებას დიაქრონიულ ჭრილში სხვადასხვა კრიტიკოსის, ფილოსოფოსისა თუ ეგზეგეტიკოსის ნაშრომთა საფუძველზე (უ. ბოსტი, ა. ნერი, დ. ბანონი, ფ. მარტი, პ. ზუმტორი, მ. ბალმარი, ა. დე პური).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაბილონის გოდოლის სიუჟეტი ყოველთვის პასუხობდა ეპოქის მოთხოვნებს და ამა თუ იმ ეპოქაში შესაბამის მნიშვნელობას იძენდა. კვლევებმა აჩვენა, რომ ის განსაკუთრებულ აქტუალობას მე-16 და მე-20 საუკუნეებში იძენს – ეპოქებში, რომელიც თავისი სამეცნიერო მიღწევებითა და სამყა-

როს აღქმის ცვლილებებით ხასიათდება. ისევე როგორც რენესანსის პერიოდში, მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქებშიც ფილოსოფოსები და მწერლები ბაბილონის გოდოლის ბიბლიურ ეპიზოდს იყენებენ იმისთვის, რომ ხაზი გაუსვან თავიანთი ეპოქის შესაბამის მოთხოვნებს. ბაბილონის გოდოლის მე-16 საუკუნის ოქროს ხანა ვრცლად აქვთ შესწავლილი პოლ ზუმტორსა<sup>1</sup> და მირიამ ჟაკემიერს<sup>2</sup>. მე-17-მე-19 საუკუნეების შედარებითი სიჩქმის შემდეგ, მე-20 საუკუნეში, ბაბილონის გოდოლის მიმართ ინტერესი მთელი სიმძაფრით იჩენს თავს. რენესანსის ეპოქისაგან განსხვავებით, მითის ასპექტები რადიკალურად განსხვავებული კონტაციითაა წარმოდგენილი. მათში ასახულია ეპოქის პოლიტიკური და იდეოლოგიური მოთხოვნები, ჰერმენევტიკული, რელიგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები. ბაბილონის გოდოლის ასეთი ნოვატორული ასპექტი გამოწვეულია იმ სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული კონტექსტით, რომელიც მე-20 საუკუნეში იყო გამეფებული: გამძაფრებული პოლიტიკური ცხოვრება, მსოფლიო ომები, სხვადსხვა პოლიტიკური იდეოლოგიები... ყოველივე ამან გამოიწვია ახალი მოდერნისტული და შემდეგ, პოსტმოდერნისტული ესთეტიკისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება: მსოფლიოში განხორციელდა „მეტაფიზიკური რევეზა“ (ნიცშე) – ღმერთი მოკვდა, ღირებულებები გადაფასდა და სულიერება ჩაახშო მატერიალისტურმა ცნობიერებამ და მანქანურ-ტექნიკურმა ცივილიზაციამ, რამაც შესაბამისად, გამოიწვია დესაკრალიზაცია, დეჰიდრიზაცია და სუბიექტის მითო-საკრალური პირველსაწყისებისადმი გაუცხოება.

აქვე მინდა ალვინიშნო ისიც, რომ ბიბლიური ტექსტის კვლევისას ჩვენ ვეყრდნობით მითოკრიტიკის მეთოდს, ვინაიდან ბიბლიურ ტექსტს განვიხილავთ, როგორც ბიბლიურ მითს. ალნიშნულ საკითხთან დაკავშრებით დღესაც არსებობს დავა. შესაძლებელია თუ არა წმინდა წერილს ვუწოდოთ მითი? ცნობილი რუმინელი ფილოსოფოსი, მითოლოგი, რელიგიების ისტორიკოსი მირჩა ელიადე თავის წიგნში „მითის ასპექტები“ წერს: „თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დასავლეთ ევროპის მეცნიერებმა მითის კვლევა-ძიება ისეთ პერსპექტივაში წარმართეს, რომელიც საგრძნობლად დაუპირისპირდა მეცხრამეტე საუკუნის თვალსაზრისს. ისინი ტერმინს მითს, წინამორბედ მკვლევართა მსგავსად, „არაკის“, „გამონაგონი ამბის“, „ფიქციის“ ჩვეული მნიშვნელობით როდი ხმარობენ. მათ ეს სიტყვა აღიქვეს, როგორც აღქაულის საზოგადოებები, ვისთვისაც მითი ნიშნავდა „ნამდვილ ამბავს“, ამასთან იმდენად ღირებულს, რამდენადაც საკრალურს, სანიმუშოსა და ნიშანდობლივს.<sup>3</sup>“ შემდეგ, ის ასკვნის: „მითი მოგვითხოვოს საკრალურ ამბავს; იგი აღწერს დასაბამიერი, „საწყისთა“ საარაკო დროის მოვლენას. [...] მაშასადამე თხრობა ყოველთვის რაღაცის „შექმნას“ ეხება: მოთხოვობილია, როგორ წარმოიშვა რაღაცა და როგორ დაიწყო მან ყოფნა. მითი გვიყვება მხლოდ იმას რაც ნამდვილად

1 Zumthor, Paul. *Babel ou l'inachèvement*. Ed. du Seuil. Paris. 1997.

2 M. Jacquemier, "Richesse et résonance de Babel", Dans *Eloge de Babel*. Hors série. 1994 L.

3 ელიადე მირჩა, მითის ასპექტები. (ფრანგულიდან თარგმნა მზა ბაქრაძემ და ბელა წვერაძემ), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, გვ.6.

მოხდა, სრულად გაცხადდა“.<sup>1</sup> ბაბილონის გოდოლის მითიც ხომ ეტიოლოგიური ხა-სიათისაა და მოგვითხრობს თუ როგორ წარმოიქმნა მრავალი ენა და ერი. გარდა მითის ასეთის განმარტებისა, რომელსაც მითოლოგიის მრავალი მკვლევარი მიმარ-თავს, მირჩა ელიადე კიდევ გამოყოფს რამდენიმე საკითხს, რაც ამართლებს მითის ტერმინის გამოყენებას ბიბლიურ სიუჟეტთან მიმართებაში. პირველ რიგში ის აღ-ნიშნავს, რომ ბიბლიური სცენარები თავისი რიტუალური ქმედებებით ეხმაურება არქაული საზოგადოებების რიტუალურ ქცევებს. მათვის მითი ცოცხალი ორგა-ნოა და საზოგადოების სულლერი ცხოვრების ძირს შეადგენს. გარდა რიტუალური ასპექტისა, ელიადე გამოყოფს მითის ამხსნელობით ფუნქციასაც. ის ამბობს, რომ მითი პასუხობს იმ კითხვებს, რასაც საზოგადოება სვამს „ადამიანთა წარმოშობისა და არსებობის შესახებ“. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საუკუნეთა მანძილზე საზოგადოები ქმნიდნენ საკუთარ მითებს ადამიანთა წარმოშობისა და არსებო-ბის შესახებ და თუ ეს მითები ატარებენ იმ სოციალური და გეოგრაფიული კონტექ-სტისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, სადაც ისინი გაჩნდნენ, ამავდრო-ულად, მათი არქეტიპული ხაზი და სილრმისეული სტრუქტურები საერთოა ყველა ცივილიზაციისათვის. მაგალითად, ზოგიერთი ბიბლიური ამბავი, მათ შორის დაბა-დება, წარლვნა თუ ბაბილონის გოდოლი, მიუხედავად იმისა, რომ ებრაულ ტრადი-ციას მიეკუთვნებიან, წინარე ცივილიზაციების გავლენასაც განიცდიან, მათში ინ-ტეგრირებულია ისეთი ელემენტები, რაც მესოპოტამიური და შუმერული მითების-თვისაც დამახასიათებელია. ეს ამ მითების უნივერსალურ ხასიათზე მეტყველებს.

იმ ეპოქაში, როდესაც ბიბლიური მითები გამოჩნდა, როგორც ქრისტიანობის ცოცხალი გამოხატულება, მირჩა ელიადეს მიხედვით ბერძნული მითები დემითო-ლოგიზაციის გრძელ პროცესს განიცდიდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ელიადე ამტკიცებს, რომ რელიგიური ფუნქციებისგან დაცლილი ელინისტური მითები და-ვიწყებას არ მისცემია, ისინი მაინც განაგრძობდნენ არსებობას პოეტებისა, ხელო-ვანებისა თუ ფილოსოფოსების ნაშრომების საშუალებით. ისევე როგორც ბერძნუ-ლი და ლათინური მითები, ქრისტიანული თემებიც წარმოადგენს ხელოვანთა და მწერალთა უდიდეს შთაგონების წყაროს. მ. ელიადე ასკვნის, რომ ოლიმპოს ღმერ-თების ამბები, ისევე როგორც ბიბლიური ნარატივები, მითიური აზროვნების საშუ-ალებით გამოხატავს ადამიანთა საჭიროებას არქეტიპული მოდელებით დაუპირის-პირდნენ თავიანთ არსებობას. ბიბლიური ტექსტების უნივერსალური ღირებულე-ბა, ისევე როგორც ბერძნული მითებისა, ამ ტექსტების სიმბოლური დატვირთვის მატარებელი ღირებულებების დამსახურებაა. ამგვარად, უნივერსალურობა ეს ის მესამე ასპექტია, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს პოზიციას მითის ტერმინის გა-მოყენებასთან დაკავშირებით.

1 ელიადე მირჩა, მითის ასპექტები. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბი-ლისი, 2009, გვ.1

## ბაბილონის გოდოლის მითის ტრადიციული ქრისტიანული გაგება

ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ბაბილონის გოდოლის მოტივი ნათლად განსაზღვრულია. თუ ბაბილონის გოდოლის მითს ბიბლიურ კონტექსტში მოვათავსებთ, ვნახავთ, რომ მასში საუბარია რიგით მე-4 ადამიანურ ცოდვაზე ადამისა და ევას, კაენისა და წარლენის შემდეგ, რომელსაც შესაბამისი ღვთიური სასჯელი მოყვება. თუმცა ბაბილონის გოდოლის ეპიზოდი წინა ტექსტებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში საუბარია არა ინდივიდუალურ არამედ კოლექტიურ ცოდვაზე. ზოგიერთი თეოლოგი დღესაც საუბრობს ბაბილონის გოდოლზე როგორც „საწყისი ცოდვის კოლექტიურ ვერსიაზე“. ამგვარად, დაბადების მეთერთმეტე თავი მოგვითხრობს პირველი ადამიანების კოლექტიურ ამპარტავნობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის მამები ხშირად არ განმარტავდნენ აღნიშნულ ეპიზოდს, მაინც არსებობს ზოგიერთი პატრისტიკული ტექსტი, რომელიც ამ იდეას ადასტურებს. ისინი სვამენ კითხვას: „რა მიზანი ამოძრავებდათ ბაბილონის გოდოლის მშენებლებს? პასუხი ასეთია: პატრივითა და დიდებით მოხევეჭათ სახელი მომდევნო თაობებში. ამპარტავნული სურვილით შეპყრობილებმა უწყოდნენ ის წინასწარმეტყველება, რომ იმუამინდელი კაცობრიობა მთელს დედამიწაზე განსახლდებოდა. ამის მიუხედავად, ისინი დახარბდნენ ამქვეყნიურ განდიდებას და ბაბილონის გოდოლი მიიჩნიეს დედამიწის შუაგულში ასვეტილ უდიდეს კოშკად, რომელიც შორეული ადგილებიდანაც საჩინო და თვალისმომჭრელი იქნებოდა. წმინდა მამების მიხედვით ეს არის სიმბოლო ადამიანთა ურჩობისა დარჩენენ ლმერთის მიერ დადგენილ საზღვრებში. მათ მოინდომეს ლმერთად გახდომა, საკუთარი თავის გაღმერთება“.<sup>1</sup>

თავიანთი ამპარტავნული ცოდვის გამო დასჯილ ბაბილონის მცხოვრებლებს საბოლოოდ წაერთვათ საწყისი ენა, ხოლო ქალაქი გაეხვია სამუდამო ცოდვაში. საწყისი ენის დაკარგვა დაცემის ნიშანია, რადგან მის გარეშე ადამიანს ალარ შეუძლია პირდაპირი კონტაქტი საკრალურთან. ამ კონტექსტის მიხედვით „საწყისი ენა“ განიხილება, როგორც კურთხევა, და მრავალენიანობა, როგორც სასჯელი. ეკლესიის მიხედვით, ბაბილონის დრამის ცოდვის გამოსყიდვა მხოლოდ ქრისტებია.

## რეფორმატორები

რენესანსიდან მოყოლებული, რეფორმატორი თეოლოგებიც განმარტავენ ბაბილონის გოდოლის ეპიზოდს. ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, ლუთერი ბაბილონის გოდოლს პოლიტიკურ ელფერს სძენს და ნემროდს აიგივებს პაპთან, ბაბილონის მშენებლებს - პაპისტებთან, ხოლო ქალაქ ბაბილონს - პაპისტურ რომთან. მაგრამ ლუთერის ორიგინალურობა ენისადმი მის მიდგომაში ჩანს - ის გმობს ლათინური ენის ექსკლუზიურ გამოყენებას წმინდა ტექსტებში. სულთმოფენობის ეპიზოდი მისი საშუალებით იძენს ახალ მნიშვნელობას,

1 „ბაბილონის გოდოლის მშენებლები“ <http://xareba.net/13-babilonis-godolis-msheneblebi.html>

მოგვითხრობს რა, იმის შესახებ, რომ მორწმუნეს უნდა შეეძლოს ბიბლიის წაკითხვა მშობლიური/ხალხური ენით. ამგვარად, ლუთერი, უპირისპირდება რა ეკლესიის ჰე-გემონიას, ხელახლა აცოცხლებს ბიბლიურ მითს.

კალვინი ხაზს უსვამს და ეთანხმება ბაბილონის გოდოლის ქრისტიანულ წაკითხვას. მისი თქმით, ქალაქისა და კოშკის მშენებლობა თავისთავად არ გულისხმობს ბოროტებას, დასჯადია გონება, რომელიც ადამიანს მართავს, წამოიწყოს ეს საქმე. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის საინტერესო ფაქტიც, რომ კალვინი პირველი ახდენს ბაბილონის გოდოლისა და ლაბირინთის ასოციაციას (თემისა, რომელიც მეოცე საუკუნის ლიტერატურაში ყალიბდება, როგორც ლიტერატურული მითი და მრავალი მწერლის შთაგონების წყარო ხდება). კალვინის მიხედვით, „ნემროდის მმართველობით აშენებული ბაბილონის გოდოლი და დედალოსის მიერ შექმნილი ლაბირინთი წარმოადგენენ ქალაქის სიმბოლოებს და, ამავდროულად, ადამიანების პრომეთესეულ წამოწყებას/საქმეს“. უმბერტო ბოსტის მიხედვით, თუ ეს მსგავსება რეფორმატორს აძლევს საშუალებას, დააკავშიროს ორი დიდი – ებრაული და ბერძნული – ტრადიცია ქალაქის შესახებ, ის არ არის დარწმუნებული, რომ კალვინს გაცნობიერებული ჰქონდა ამ მსგავსების ამპლიტუდა. ამპარტავნობით გამოწვეული ცისკენ ყველა მაღლა სვლა, იქნება ეს გიგანტების თუ ბაბილონის მცხოვრებლების, არის იესო ქრისტესთან დაშორება, რომელიც ადამიანებს სჯის სასჯელით „იხეტიალონ ისე, როგორც ლაბირინთში“.

## თანამედროვე ჰერმენევტიკა

თუ ებრაელები, კათოლიკები და პროტესტანტები დიდი ხნის განმავლობაში ანიჭებდნენ ბაბილონის ეპიზოდს უარყოფით მნიშვნელობას, მითის ასეთი პარადიგმის სიღრმისეული ტრანსფორმაცია ხდება მეოცე საუკუნეში. მეოცე საუკუნეში მნიფედება ის ინტერპრეტაციები, რომლებიც ახლებურად განიხილავენ ებრაულ ტექსტს, ხდება მნიშვნელობის აქსიოლოგიური შებრუნება და „ბაბილონის წყევლა“ იცვლება „ბაბილონის კურთხევით“<sup>1</sup>.

ბიბლიის ეგზეტიკოსებმა – ანდრე ნეპერმა და დავიდ ბანონმა – „ხელახლა წაიკითხეს“ ბიბლიური ტექსტი. საქმე ეხება არა ახალ თარგმანს, არამდე ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე ტექსტის ახლებურად წაკითხვას. სხვადასხვა ხმოვნის გამოყენების შესაძლებლობით ებრაული ტექსტი მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და პოლისემიურ ხასიათს ატარებს. ეს ეგზეგეტიკოსები თავიანთ ნაწარმოებები « *L'exil de la parole* », და « *Babel ou l'idolâtrie embusquée* » მიდრაშული კომენტარის თარგმანზე დაყრდნობით ხელახლა კითხულობენ ებრაულ ტექსტს და ახალ მნიშვნელობას სძენენ სიტყვებს *safah* (lèvre – bord, limite, frontière)<sup>2</sup> და *davar* (au pluriel *davarim*) (langue, objet, chose).<sup>3</sup> ნეპერი წერს „მთელი დედამიწა იყო მხოლოდ

1 ტერმინი აღებულია ფრანსუა მარტის ნაშრომის სათაურიდან „Bénédiction de Babel“

2 „ბაგე – ნაპირი, ზღვარი, საზღვარი“

3 „ენა, საგანი, ნივთი“

ერთადერთი საზღვარი, დახურულ მსგავს ელემენტთა ერთი მთლინობა<sup>1</sup>. ნეპერის მიხედვით ბაბილონის გოდოლის ეპიზოდი, ეს არის არა ერთიანი ენის დაკარგვით, არამედ მისი არსებობით გამოწვეული ტირილი. დავიდ ბანონი კიდევ უფრო შორს მიდის, ის ხაზს უსვამს ამ ადამიანების მიერ შექმნილ ამ ბაბილონისეული სამყაროს ტოტალიტარულ ხასიათს: „ბაბილონის თაობისთვის სიტყვები იყო ერთნაირი, იდენტური... სიტყვები იყო შემოზღუდული და თავის თავში ჩაკეტილი... განსხვავება განდევნილი იყო და, მასთან ერთად, სიმდიდრის და აყვავების შესაძლებლობა. ამ ერთისა და იმავესგან შექმნილ სამყაროში მხოლოდ ინტელექტუალური და სულიერი სიღარიბე, მხოლოდ ერთსულოვნება, მხოლოდ პლაგიატი მეფობდა“<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დავიდ ბანონისა და ანდრე ნეპერის დასკვნები იმავე მნიშვნელობას ატარებს, რასაც რამდენიმე წლის მერე გვთავაზობს ფსიქონალიტიკოსი მარი ბალმარი. მისთვის ბაბელი ტოტალიტარული წამოწყებაა. სამყარო, სადაც ინდივიდი ათევეფილია მასაში. „ბაბელი, ესაა ტექსტი ტოტალიტარულ სახელმწიფოზე, ლიდერის/ხელმძღვანელის გარეშე. ერთ წერტილში გაერთიანებული კაცობრიობა“<sup>3</sup>. ბაბილონელების „ენა არ აჩვენებს განსხვავებულობას და „ჩვენ“ არ გამოხატავს იმ „მე“-ების ერთიანობას, სადაც თითოეული თავის სიტყვას მეტყველებს. აქ თითოეული ერთი და იმავეს უუბნება მეორეს“ („მოდი გამოვწვათ აგური“). ერთსულოვნება? არა, იმისათვის, რომ შექმნან ერთიანი სული და გული (una anima) საჭიროა, თითოეულმა არ დაკარგოს თავისი. ფროიდის სიტყვით რომ ვთქვათ ესა არის უფრო მეტად უნიფორმიზაცია, ათევეფა მასაში, სადაც თითოეული არაფერს აკეთებს გარდა იმისა, რომ იმეორებს სლოგანს“<sup>4</sup>.

ბაბელი ტოტალიტარული პროექტია შვეიცარელი ბიბლიის მკვლევარის ალბერ დე პურისთვისაც. ის, ხაზს უსვამს რა იმ ფაქტს, რომ „ადამიანი, რომელიც ცდილობს გადაახოს ყველა საზღვარი/ლიმიტი, წარმოადგენს საფრთხეს“, ღმერთის ჩარევას ბაბილონის გოდოლის მშენებლობის პროცესში ხედავს, როგორც გადამრჩენელ მოვლენას. ეს ტოტალიტარული პროექტი, რომელიც უარს ამბობს „განსხვავებულობაზე“, ღმერთმა, საბედნიეროდ, შეაჩერა. აანალიზებს რა ბაბილონის გოდოლის ბიბლიურ ტექსტს, ალბერ დე პური ასკვნის, რომ „ადამიანთა თითოეული თაობა, თითოეული საზოგადოება იცნობს საკუთარ ბაბილონის გოდოლს, რადგან ყველა „ტოტალიტარული“ მიზანი, ესე იგი ყველა ადამიანური პროექტი, რო-

1 „a terre entière était une seule frontière, un ensemble d'éléments clos“. Andre Neher. L'exil de la parole. Paris : Ed. du Seuil, 1970 p.112

2 « Or pour la génération de Babel les paroles étaient semblables, identiques... Les paroles étaient closes et bouclés sur elles-mêmes. [...] La différence était évacuée, et avec elle, les possibilités de richesse et d'épanouissement. Il ne régnait plus, dans cette société du même que pauvreté intellectuelle et spirituelle, qu'unanimité, que plagiat». David Banon, Babel ou l'idolâtrie embusquée. Bulletin du centre protestant d'étude. 1980/6 p. 14.

3 Marie Balmay. Le sacrifice interdit: Freud et Bible. Bernard Grasset. Paris. 1986 pp. 83-84

4 « La langue n'apparaît pas comme lumière pour éclairer des différences et le « nous » n'est pas l'alliance entre « je » parlant chacun sa parole. Chacun dit, ici, la même chose à l'autre (« Allons, briquetons des briques »). Unanimité ? Non; pour faire une seul âme (una anima) encore faut-il que chacun n'ait pas perdu la sienne. Plutôt uniformisation- le mot de Freud- dans une foule où chacun ne fait que répéter le slogan ». Marie Balmay. Le sacrifice interdit: Freud et Bible. Bernard Grasset. Paris. 1986 pp. 81-82.

მელიც ცდილობს მოიცვას რეალობის მთლიანობა, გარკვეულწილად წარმოადგენს ბაბილონის გოდოლს<sup>1</sup>. აქვე, ალბერ პური ასახელებს ტოტალიტარულ რეჟიმებს. პირველ რიგში, პოლიტიკურ იდეოლოგიას – „პიტლერის ნაციზმი, რომელიც კოლექტიური სიგიჟის ყველაზე საშინელი მანიფესტაცია იყო. ეს ბაბილონის გოდოლი დაინგრა და დღეს ყველა ეკითხება ერთმანეთს - ადამინები როგორ შეიძყრო ასეთმა სიგიჟემ, რომ შეეცადნენ მის აშენებას“<sup>2</sup>. გარდა ტოტალიტარული რეჟიმებისა ალბერ დე პური თვლის, რომ ყველა აბსოლუტურების მატარებელი რწმენაც ბაბილონის გოდოლს ქმნის, მაგ. მეცნიერება: ახალი ტექნოლოგიები, პუმანიტარული მეცნიერებები, ფსიქოანალიზი, სოციოლოგია; იდეოლოგიები (მემარჯვენების, მემარცხენების), განსაკუთრებით ის იდეოლოგიები, რომლებიც ინილბებიან „კარგი სურვილებით“ (მაგ. „სრულყოფილი საზოგადოების მითი“).

თავის ნაშრომში სილვი ბარიზე წერს: „მოსალოცად გვაქვს საქმე, რადგან ღმერთმა ხელი შეუშალა ბაბილონელებს, დაემთავრებინათ თავიანთ ქმნილება, რადგან კოშკის აღმართვა წარმოადგენდა საფრთხეს არა ღმერთისთვის, არამედ თვითონ ადამიანებისთვის“<sup>3</sup>. ის ასკვნის: „ყველაზე დადებითი თვალთახედვით ბაბილონისეული სამყარო, რომელიც ჩვენი ამჟამინდელი მულტილინგვისტური სამყაროა, ბედნიერებად და წესრიგად უნდა მივიჩნიოთ“<sup>4</sup>.

ბაბელის ამ „პოზიტიურ“ ხედვას იზიარებენ ეგზეგეტიკოსები: ბერნარდ ანდერსონი, უმბერტ ბოსტი, ფრანსუა მარტი, მარკ ლონი, ანდრე ვენინი. რა თქმა უნდა, თოთოეული თავისებურად უსვამს ხაზს იმ გამოწვევებს, რაც მითიდან გამომდინარებს.

ამგვარად, რთულ და ენიგმატურ ბაბილონის გოდოლის ამ ბიბლიურ ტექსტს ნამდვილად არ აქვს მოწოდებად, ჩაიკეტოს ერთმნიშვნელიანობის მატარებელ ჩარჩოში. თუ მითის კლასიკური გაგება გარკვეულწილად კიდევ აგრძელებს თავის გავლენას, თანამედროვე ეგზეგეტიკა ეძღვნება, უმბერტო ბოსტის გამონათქვამის მიხედვით, ბაბილონის გოდოლის ტექსტის „ერთმნიშვნელიანობის სიკვდილს“<sup>5</sup>. ბაბილონის გოდოლის მითიდან შეიქმნა უამრავი თემა, მოტივი, არქეტიპი თუ სიმბოლიკა, რომელიც სხვადასხვა ფილოსოფოსთან, მწერალთან თუ ზოგადად, შემოქმედთან სხავადასხვა მნიშვნელობით გვევლინება. თუ თავდაპირველად იგი ატარებდა დმერთის რისხვისა, ადამიანის დასჯისა და საწყისი ენის დაკარგვით გამოწვეულ ნეგატიურ კონტაციას, თანდათანობით ხდება მისი მნიშვნელობის აქსიოლოგიური შებრუნება, ბაბილონის გოდოლი იძენს მრავალკულტურული სამყაროს პოზიტიური მეტაფორის სახეს. გარდა ამისა, ბაბილონის გოდოლის მითს უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა ენათა წარმოშობის საკითხი, სახელდება, დაწყევლილი ქალაქის თემა, ძალაუფლება, იმპერიალიზმი, ტოტალიტარიზმი, ქალაქი ლაბირინთები. ამგვარად, ბაბილონის გოდოლის ბიბლიური მითი თავისი

1 A. de Pury. La tour de Babel et la vocation d'Abraham. pp. 94

2 იქვე, გვ. 94

3 Sylvie Parizet. Babel : ordre ou chaos ? : Nouveaux enjeux du mythe dans les œuvres de la Modernité littéraire. 2011. pp. 49

4 იქვე, გვ. 8

მნიშვნელობათა სიმრავლით ხდება პოლივალენტური ტექსტი, რომელიც, სცდება რა ტრადიციულ კანონიკურ ჩარჩოს, ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ფაქტორთა გათვალისწინებით, იძენს სრულიად განსხვავებულ დატვირთვას და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. როგორც პოლ ზუმტორი წერს თავის ცნობილ ესეში „Babel ou l'Inachèvement“: „ბაბილონის ორმაგი არსებობა აქვს, მისი ამბავი ითქვა, მაგრამ ის დღესაც განაგრძობს თხრობას“.<sup>1</sup>

### ლიტერატურა:

1. Anderson, Bernard. Le récit de Babel, paradigme de l'unité et de la diversité humaine. Revue internationale de théologie N121 / 1977
2. Andre Neher. L'exil de la parole : du silence biblique au silence d'Auschwitz. Paris : Ed. du Seuil, 1970. 258 p.
3. André Wénin. D'Adam à Abraham ou les errances de l'humain : lecture de Genèse 1,1-12,4 / . - Éd. revue. Paris : Cerf, 2007
4. Ansaldi. Jean. Théologie face au défi freudien. Etudes théologiques et religieuses 1981/2 -231-241
5. Balmay. Marie. Le sacrifice interdit: Freud et Bible. Bernard Grasset. Paris. 1986
6. Banon David, Babel ou l'idolâtrie embusquée. Bulletin du centre protestant d'étude. 1980/6
7. Bost H. A propos de Babel comme symbole. Revue de théologie et de philosophie. 1981/3 pp. 419-429
8. Brunel Pierre. Mythes et littérature / textes réunis par Pierre Brunel. - Paris : Presses de l'université de Paris-Sorbonne, dep. leg. 1994.
9. Brunel Pierre. Mythocritique : théorie et parcours. - Paris : Presses universitaires de France, [1992].
10. Dauphiné James, le mythe de Babel dans *Mythe et Littérature*. Texte réunis par Brunel. Paris. 1994
11. Durand, Gilbert. Les structures anthropologiques de l'imaginaire: introduction à l'archétypologie générale / par Gilbert Durand. - Grenoble : Impr. Allier, 1960
12. Eliade Mircea : Aspects du mythe. Gallimard. 1963
13. Marty, François; La bénédiction de Babel : Vérité et communication. Cerf . Paris. 1990
14. Parizet. Sylvie. Babel : ordre ou chaos ? Nouveau enjeux du mythe dans les œuvres de la Modernité littéraire. ELLUG. Université Stendhal. Grenoble. 2010
15. Piconnat C. Babel ou le meilleur des mondes totalitaires. Dans Le défi de Babel : un mythe littéraire pour le 21 siècle. textes réunis par Parizet. Sylvie. Paris : Editions Desjonquères, [2001] 191 p.
16. Pury A. de. La tour de Babel et la vocation d'Abraham. Etudes Théologique et Religieuses, N1, 1978, P. 80-97
17. Zumthor, Paul. Babel ou l'inachèvement. Ed. du Seuil. Paris. 1997
18. ელიადე მირჩა, მითის ასპექტები (ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ და ბელა წვერავამ), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
19. ბიბლია, პალიტრა L, თბილისი, 2013.

1 „Babel possède ainsi une double existence: son histoire a été dite, mais elle continue à se faire.“ Zumthor, Paul. Babel ou l'inachèvement. Ed. du Seuil. Paris. 1997 83.12

TEA TATESHVILI

## The Bible Story of the Tower of Babel

(Philosophical – Semantical analysis)

### Summary

Everyone knows that the biblical myth of the Tower of Babel comes from the book of Genesis of the Old Testament. According to the story, the Babylonians wanted to make a name for themselves by building a city and a tower “with its top in the heavens”. To punish human pride God disrupted the work by confusing the language of the workers to such extent, that they could no longer understand each other. The tower was never completed, and the people dispersed all over the earth. This story composed by nine verses is full of meanings and symbols. It represents one of those stereotypical expressions, one of those metaphors prevalent in the area of Western civilization.

The interest of the present study is to show the philosophical-semantical analysis of the biblical story of the Tower of Babel. On one hand, we shall consider the reason why we refer the biblical text as myth, and on the other hand, the paper deals the new interpretations and issues of the biblical story of Babel. We discussed this question by the works of the XX century exegetes like U. Bost, A. Neher, D. Banon, F. Marty, P. Zumthor, M. Balmary, A. de Pury.

If initially the biblical myth of Babel bore negative significance due to the loss of the first language, today it represents the positive metaphor of the multicultural world. Besides the language issue and many other themes and motives are related to the story of Babel. For example: the questions of the relationship issues between Father and Son, and between the men, issues regarding the absolute and totalistic Power, the question of the city–Babel/Babylon as a labyrinth in a space and assimilation of the city of Babel/Babylon into a woman’s body. It is important to say that the rewriting of the Babel myth alters the meanings accordingly to the epoch in which it is written. So the myth of Babel resulted in many meanings, connotations and questions overtime. Today we can use the word “Babel” without even really knowing the myth. “Babel” can mean different things at different times, according to various contexts and interlocutors. As Paul Zumthor says “Babel has a double life: its story was told, but it still continues to be told”.

## გიორგი წეროძე

### ჩას ნიშნავს „თავისუფალი თაობაჩი“?!

ფილოსოფიის, როგორც სააზროვნო კულტურის, დამოუკიდებელ ფენომენად ჩამოყალიბება ნებისმიერი ერის კულტურის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთში ფილოსოფიური შემოქმედების პირველ გამოვლინებას მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვხვდებით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს რუსული საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილს მანამდე არავითარი ფილოსოფიური ინტერესი არ ამოძრავებდა. ფილოსოფიური აზროვნება ხშირად იმ პირველადი ინტუიციით იმართება, რომლის ფესვებიც რელიგიურ მსოფლმხედველობაშია გადგმული; ფილოსოფიის სააზროვნო კულტურის დამოუკიდებელ ფენომენად ჩამოყალიბებამდე, რუსული საზოგადოების ფილოსოფიური ხედვა რელიგიურ მსოფლმხედველობაში პოვებდა თავის გამოხატულებას. ფილოსოფია რუსეთში რელიგიური მსოფლმხედველობიდან წარმოიშვა.

ახლად „გამოღვიძებულმა“ რუსულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ აღმოაჩინა, რომ დასავლეთში აქტიური ფილოსოფიური ცხოვრება ჩქეფს. შექმნილ ვითარებაში, რუსი მოაზროვნები კარგად აცნობიერებდნენ, რომ რუსული კულტურისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო დასავლური აზროვნებისა და საკუთარი თავისუფალი ფილოსოფიური შემოქმედების ურთიერთშეთავსება. რუსი ინტელექტუალები, ერთი მხრივ, დასავლურ ფილოსოფიურ კულტურასთან ზიარებით, სწრაფად ითვისებდნენ იმდროინდელი ფილოსოფიის რთულ პრობლემატიკას; მაგრამ, მეორე მხრივ, მათ ორიგინალურ ფილოსოფიურ შემოქმედებას სწორედ დასავლური ფილოსოფიის გავლენა ზღუდავდა. რუს მოაზროვნეთა მთელი თაობები ევროპაში გავრცელებული ფილოსოფიური მიმდინარეობების გავლენის ქვეშ მოექცნენ და საკუთარ ქვეყანაში ამ მიმდინარეობათა პოპულარიზატორებად იქცნენ. არ დარჩენილა XIX საუკუნის ევროპული ფილოსოფიის არც ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა, რომელსაც რუსულ ფილოსოფიაში მეტ-ნაკლებად გავლენიანი წარმომადგენელი არ ჰყოლოდა. ამავე დროს, დასავლური მოძღვრებების ათვისების კვალდაკვალ, რუსეთში რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების განსხვავებული, მათ შორის, ორიგინალური ფორმები ყალიბდებოდა. საუნივერსიტეტო, აკადემიური ფილოსოფიის წარმომადგენლები (ი. ლაპშინი, გ. ჩელპანოვი, ნ. ვედენსკი, ნ. ლოსკი, ს. რანკი და სხვები) დასავლურ აზროვნებაზე იყვნენ ორიენტირებული. მათ გვერდით არსებობდა რუსული ლიტერატურიდან ამოზრდილი ძიებანი, აკადემიური ფილოსოფიისაგან სრულიად განსხვავებული და დამოუკიდებელი ბანაკი, ე.ნ. „ფილოსოფიური სექტანტობა“ (ნ. ფიოდოროვი, კ. ლეონტიევი, დ. მერეჟკოვსკი და სხვები). სწორედ ამ თვითმყოფადი ფილოსოფიური მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ვლადიმირ სოლოვიოვი.

ვ. სოლოვიოვის მრავალმხრივი მემკვიდრეობის შესწავლა და ანალიზი აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე სხვა მრავალი თვალსაზრისითაც. სოლოვიოვი ითვლება 19-20 სს. რუსული რელიგიური ფილოსოფიის „მამად“, ხოლო რუსული რელიგიური ფილოსოფია წარმოადგენს რუსული კულტურის, რუსული თვითცნობიერების, რუსული იდენტობის გაგების გასაღებს. ვ. სოლოვიოვის მემკვიდრეობაში კონცენტრირებულადაა მოცემული „რუსული სულის“ ძიებათა ყველა ნაკადი და „რუსული იდეის“ სხვადასხვა წახნაგი. ძირითადი ინტერესი სოლოვიოვის ფილოსოფიური მემკვიდრეობის მიმართ შეიძლება ჩამოყალიბდეს რამდენიმე პუნქტად:

1. რა მხრივ აინტერესებს თანამედროვე დასავლეთს ვ. სოლოვიოვის ფილოსიური მემკვიდრეობა.

2. ე.ნ. „რუსული ნიპილიზმის“ პრობლემა, რომელზეც ჯერ კიდევ ნიცშე ლაპარაკობს და მისი თანადროული ეპოქის სულიერი სიტუაციის ანალიზისათვის მნიშვნელოვან ასპექტად მიიჩნევდა.

3. რუსული სოფიოლოგიური მოძღვრების ანალიზი, მისი წყაროების საკითხი, სოფია-სიბრძნე ანტიკურ ფილოსოფიაში, პლატონი და არისტოტელე, როგორც „ელინური სოფიოლოგიის“ ადებტები; სოფიოლოგია, როგორც ყოვლად წმინდა სამების თეოლოგიის (ტრინიტარული თეოლოგიის) წანილი; სოფიოლოგია ევროპულ მისტიკაში, ფილოსოფიაში. სოფიასთან „შეხვედრა“ რომანტიკოსებთან; სოფიოლოგია რუსულ წიადაგზე – სლავოფილებთან და ჩაადაევთან.

4. სოფიოლოგია ბიზანტიზმის ტრადიციაში.

ასევე უნდა ითქვას, რომ ვ. სოლოვიოვისეული მოძღვრება „თავისუფალ თეოკრატიაზე“ ხშირად არასწორად არის გაგებული, როგორც ტოტალიტარიზმის წაირსახეობა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია:

• თეოკრატია სპეციფიკურად არც რუსული წარმონაქმნია და არც ქრისტიანული, იგი უფრო იუდაისტური რელიგიის სოციალურ იდეალს წარმოადგენს და იუდაზმის რელიგიისთვისაა დამახასიათებელი (მოსეს, ძველი აღთქმის მსაჯულების, ეზრა და ნეემიას დროინდელი ებრაული თეოკრატიული საზოგადოებების კვალიბაზე). ხშირად, როცა ამ ტერმინს იყენებენ, მას იუდაისტურ თეოკრატიას უწოდებენ. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა ვ. სოლოვიოვმა და არსებითად ჰქონდა გათვალისწინებული. მას კარგად ესმის, რომ თეოკრატია არის ახალი აღთქმის გადაგვარება ძველი აღთქმის სახით. ამავე დროს სოლოვიოვი რადიკალურად უარყოფს ე.ნ. კონტრაქტის თეორიასაც (ლოკი, ჰოფსი, მონტესკიე და სხვები). ამიტომ ის ცდილობდა, მოეძებნა საზოგადოებრივი ცხოვრების ის იდეალი, რომელიც აუცილებლად სულიერ საწყისებსაც დაემყარებოდა. არის თუ არა სოლოვიოვის ეს იდეა უტოპიური და რუსული აზროვნებისთვის დამახასიათებელი უტოპიურობის გამოვლენა? ეს არის საკითხთა ის წრე, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ინტერესს ვ. სოლოვიოვის მემკვიდრეობაში.

• დასავლეთის ინტერესი ვ. სოლოვიოვის მიმართ განპირობებულია იმ საკითხის გარკვევით, რომ გაიგონ, არის თუ არა რუსული ცივილიზაცია დასავლური ცივილიზაციის ალტერნატიული ცივილიზაცია? არის თუ არა „რუსული“ იდეა ეპროპული იდეის ალტერნატივა. ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ცხადია,

არ არსებობს, მაგრამ მისი ძიება შეუძლებელია, თუ არ იქნა შესწავლილი რუსული რელიგიური ფილოსოფია.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საკითხი. სამუელ ჰანინგტონი თანამედროვე და მომავალ ცივილიზაციათა განვითარებაში თავის ადგილს მიუჩენს რუსულ მართლმადიდებლურ ცივილიზაციას, რომელსაც, მისი აზრით, საკმაოდ ბუნდოვანი პერსპექტივები აქვს. ბუნდოვანია ასევე მისი შესაძლო არჩევანი ცივილიზაციათა მომავალ შეჯახებაში. ამ სფეროში შეკითხვები ბევრად მეტია, ვიდრე პასუხები. თვით ისტორიული გამოცდილებაც არ იძლევა ერთგვაროვანი პასუხის შესაძლებლობას. ისტორიაში შეინიშნება ანტიევროპული და პროევროპული ნაკადების „დიალექტიკური“ მონაცევლეობა. მაგალითად, ივანე მრისხანეს ანტიევროპულობა შეიცვალა პეტრე დიდის პროევროპულობით. ნიკოლოზ პირველის ანტიევროპული გზი შეცვალა ალექსი II -ის პროევროპულობამ, სტალინის ანტიევროპული მიმართება შეცვალა გორბაჩივის პროევროპულობამ, რომელიც ბოლოს ჩაანაცელა პუტინის ანტიევროპულობამ. ამ საკითხებზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ 19 საუკუნის რუსული ფილოსოფიური აზრის წარმომადგენლები – სლავოფილები და მედასავლეთელნი. ეს უკანასკნელი თვლიდნენ, რომ ცივილიზაციის ერთადერთი გზა ევროპული გზაა, ტექნიკური პროგრესი, გონიების ავტონომია და ადამიანის უფლებები. მათი აზრით, რუსეთი ევროპის ნაწილია, ოღონდ – „ჩამორჩენილი ნაწილი“. ამის საპირისპიროდ, სლავოფილების მთელი ფილოსოფია იმ შეხედულებას ემყარება, თითქოს რუსული კულტურა და ყოფა რაღაც აუთენტიკური ყოფიერების ნიადაგზეა აღმოცენებული, თითქოს ის ერთგვარ საკაცობრიო სიწმინდესა თუ საუნჯეს ინახავს და მისი გამომზეურება იხსნის კაცობრიობას.

არის თუ არა ვ. სოლოვიოვის მოძღვრება თავისუფალ თეოკრატიაზე მესამე რომის დოქტრინის ფილოსოფიური გამართლება? „ბიზანტია ოსმალეთმა შთანთქა თავისი ძლევამოსილებით, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის აღმოცენებულმა წინააღმდეგობებმა და ტენდენციებმა გააძლიერეს. ვ. სოლოვიოვის თქმით, XV საუკუნეში, კონსტანტინეპოლის დაცემისა და მონღლოლთაგან რუსეთის განთავისუფლების შემდეგ, აღმოსავლეთ ქრისტიანობის ცენტრი ბიზანტიიდან მოსკოვში ინაცვლებს. XVI საუკუნის ფსკოველი ბერი და მნიგნობარი ფილოთეოსი მოსკოვის დიდ მთავარს ბასილი III-ს სწერს: „ყურად იღე, მეფეო, ორი რომი დაეცა, მესამე – მოსკოვი კი დგას და მეოთხე აღარ იქნება. კათოლიკე ჩვენი ეკლესია შენს ქვეშევრდომობაში მზეებრ ბრწყინვას და ცისქვეშეთში, ყოველი მართლმადიდებელი ეკლესიები შენს მეფობის ქვეშ შემოკრებილან, მთელს დედამიწაზე შენ ერთი ხარ ქრისტიანი მეფე!“<sup>1</sup>

ვ. სოლოვიოვს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ რუსეთი ქრისტიანული ცივილიზაციის და ბიზანტიური კულტურის მემკვიდრეა, მაგრამ, ამავე დროს, მასში ძლიერია აღმოსავლურ-მონღლოლური, ჩინგის ხანის მემკვიდრეობაც. ეს ქრისტიანობისა და დესპოტიზმის უცნაურ სინთეზს გვაძლევს. ამდენად, ვ. სოლოვიოვი თვლის, რომ მისი ამოცანაა აღმოსავლურ-დასავლური სინთეზის შექმნა, რომლი-

1 Культурная роль Иверии в истории Руси (Кирион II) стр.108.

თაც თავს დააღწევს, ერთ მხრივ, დასავლურ ულმერთო რელიგიას და, მეორე მხრივ, აღმოსავლურ უპიროვნო ღმერთს (სამყაროს ბატონს ადამიანის გარეშე).

ვლადიმირ სოლოვიოვის მოძღვრებებში ასევე აქტუალურია ევოლუციონიზმისა და კრეაციანიზმის შეთავსებადობის იდეა, რომელსაც სოლოვიოვის ნაშრომების გამოქვეყნებიდან 50 წლის შემდეგ საკმაოდ ვრცელი სახე მიეცა პიერ ტიერარ დე შარდენის თხზულებებში.

ასევე მნიშვნელოვანია მოძღვრება სოლოვიოვისეულ უნივერსალურ სინთეზე, რაც გულისხმობს მეცნიერების, ფილოსოფიისა და რელიგიის ერთმანეთთან მორიგებას.

ვ. სოლოვიოვის სოფიოლოგია სამი ძირითადი სფეროსაგან შედგება:

• „თავისუფალი თეოსოფია“ – ტრადიციული ფილოსოფიის, მეცნიერებისა და თეოლოგიის სინთეზი.

• თავისუფალი თეურგია – ტრადიციული ხელოვნების, ტექნიკისა და მისტიკის სინთეზი.

• თავისუფალი თეოკრატია – ტრადიციული სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოს და ეკლესიის სინთეზი, მათი კვინტესენცია.

სოლოვიოვისთვის თეოკრატია იყო საზოგადოების ერთიანობის იდეალი. ქვემოთ კრიტიკულად განვიხილოთ ამ იდეალის ძირითადი პრინციპები და არსებითი ასპექტები, მათი ინტერპრეტაციის გარკვეული ვერსიები სხვა მოაზროვნებთან.

## თეოკრატია – საზოგადოების ერთიანობის იდეალი

სოციუმის თეოკრატიული იდეით ორგანიზების აზრი ვ. სოლოვიოვს გაუჩნდა ევროპასა და რუსეთში სოციალური და პოლიტიკური პროცესების გაანალიზების შედეგად. მისი აზრით, დასავლური ცივილიზაციის განვითარება მოწმობს სოციალიზმისა და კაპიტალიზმის „პირობითი“ სიმართლის უუნარობაზე, მის წარუმატებლობაზე. ამას ლოგიკურ შედეგად მოსდევს „სიცოცხლის უპირობოდ განახლების აუცილებლობის აღიარება“!<sup>1</sup> იგი ფიქრობს, რომ სწორედ თეოკრატიულ საფუძლებზეა შესაძლებელი საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალური მოდელის შექმნა.

ამ რუს მოაზროვნეს სურს, განთავისუფლდეს ახალი დროის ევროპული ფილოსოფიის სეკულარიზებული სულისაგან და, მისი წინამორბედი სლავოფილების მსგავსად, ესწრაფვის მოიპოვოს ისეთი ცოდნა, რომელიც გულისხმობს თეორიისა და ცხოვრების, პრაქტიკული მოქმედებების ერთიანობას. იგი აყალიბებს კაცობრიობის განვითარების საკუთარ, ახალ კონცეფციას. განხილვისას წარმოჩნდება, რომ ამქვეყნად ღმრთის სასუფევლის განხორციელების მისეული იდეა ეკლექტურია და წარმოადგენს ჰეგელის დიალექტიკის, შელინგის იდენტობისა და სხვადასხვა რელიგიური შეხედულებებისა და სლავოფილების ნააზრევის სინთეზს. ასეთი მიდგომა ძალიან ჰგავს დღეს პოპულარულ ინტეგრალურ თეორიას,<sup>2</sup> რომლის დამფუძნებე-

1 Владимира Соловьёва, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1. ст. 468.

2 Integral Institute <http://www.kenwilber.com/multiplex/list>

ლი კენ უილბერი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს კიდევაც ამ მსგავსებას.<sup>1</sup> ინტეგრალური თეორიაც გულისხმობს ერთგვარ ეკლექტიზმს, სხვადასხვა სარწმუნოების სულიერი პრაქტიკის შერჩევით, ერთობლივ გამოყენებას. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, თუ რა შინაარსს დებდა ვ. სოლოვიოვი თეოკრატიის იდეაში. ტერმინი თეოკრატია კომპოზიტურია და ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება: თეოს – ღმერთი და კრატოს – ძალაუფლება. პირველად ტერმინი „თეოკრატია“ ეპრაელი ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წესის აღმნიშვნელად გვხვდება იოსებ ფლავიუსის „აპიონის წინააღმდეგ“ 94ნ. ამ ანტიკური ისტორიკოსის აზრით, საზოგადოების თეოკრატიული წესით მოწყობა იმაში გამოიხატება, რომ უმაღლესი ძალაუფლების მპყრობლად მიჩნეულია ღმერთი, სამღვდელოება კი, მღვდელმთავრის წინამძღვლობით, ხდება ცხოვრებაში ამ ძალაუფლების მთავარი განმხორციელებელი. იოსებ ფლავიუსის მიერ განსაზღვრული თეოკრატიის ნიშნები აღიარებულია საზოგადოებრივ მეცნიერებებში და მისი პირველადი მახასიათებლები, სხვადასხვა მოდიფიკაციებით, დღესაც საყოველთაო ხმარებაშია – მაგალითად, უცხო სიტყვათა ლექსიკონში იგი განმარტებულია, როგორც მმართველობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც პოლიტიკური ძალაუფლება სასულიერო პირებს ეკუთვნით.<sup>2</sup> მიუხედავად ასეთი განმარტებისა, მიჩნეულია, რომ თეოკრატიული მმართველობა შესაძლებელია საერო მმართველობის პირობებშიც განხორციელდეს.

თეოკრატია ხასიათდება რელიგიური ნორმების ზენამონევით, მათი უპირატესობის დაკანონებით. საზოგადოებრივი ცხოვრების წესებში შემოდის „ცოდვა-მადლის“ კატეგორიები. სახელმწიფო ინყებს იმის განსაზღვრავს, თუ რა არის ცოდვა და რა არის ღმრთივ სათნო. რელიგიურ ნორმებს თეოკრატიაში ენიჭება ფორმალური განსაზღვრულობა და აუცილებლობის ხასიათი, რომელთა დაცვის აუცილებლობა რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერაა უზრუნველყოფილი. ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მთელი კომპლექსი, რომლებიც პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებენ, გამსჭვალულია რელიგიურებით. აქ რელიგიური იდეოლოგია არა მარტო მთელს მმართველობით იერარქიაზე, არამედ არაფორმალურ ადამიანურ ურთიერთობებზეც ვრცელდება და ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას განსაზღვრავს; სასამართლოს, განათლების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პირადი ცხოვრების მონოპოლიზებასაც კი არ ერიდება.

თეოკრატია განეკუთვნება პოლიტიკური მმართველობის იმ ერთ-ერთ პირველ ტიპს, რომელიც გაჩნდა კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში. იგი ჩაისახა მესაკუთრული ეკონომიკიდან მნარმოებელ ეკონომიკაზე გადასვლის სტადიაზე და ჩამოყალიბების პერიოდში შეითვისა ეთნოკონფესიონალური და ცივილიზაციური თავისებურებები. თეოკრატიულმა მოდელმა თავისი განვითარების აყვავების კულტინური ფაზას მიაღწია შუა საუკუნეების ეპოქაში. ახალ დროში მან თანდათან ძალა დაკარგა, ხოლო თანამედროვე ეპოქაში განიცდის როგორც სეკულარულ, ასევე, მის საწინააღმდეგო, რელიგიურ-აღორძინებად ცვლილებებს. თეოკრატია არსე-

1 Восточные и западные пути развития сознания: интервью Владимира Майкова с Кеном Уилбером <http://eroskosmos.org/wilber-maykov-interview/>

2 უცხო სიტყვათა ლექსიკონი თბ. 2005.

ბობდა V-VIIსს.ჩვ. ნ.-მდე იუდეაში. იქ ძალაუფლება ეკუთვნოდა მღვდელმთავარს. თეოკრატიული სახელმწიფოები იყო ომეიდების და აბასიდების სახალიფოებიც. თანამედროვე სამყაროში ოფიციალური თეოკრატიული მმართველობითი სახელმწიფოებია ვატიკანი, საუდის არაბეთი. შარიათის მორალურ-ეთიკურ და რელიგიურ ნორმებს ნანილობრივ ან სრულად ექვემდებარებიან ინდოეთში, ფილიპინებში, საუდის არაბეთში, ნიგერიაში, სუდანში, ავღანეთში და სხვა. შესაბამისად, ეს სახელმწიფოებიც თეოკრატიის ნიშნებს შეიცავენ. რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუკლით ერაყისა და ლევანტის ისლამურ არაფორმალურ სახელმწიფოს (ISIL), რომლის არაადამიანურ ქმედებებსაც მწუხარებით ვადევნებთ თვალყურს. თეოკრატიული იყო თავისი ხასიათით ირანის რესპუბლიკა ისლამური რევოლუციის შემდეგ (გარკვეულწილად, დღესაც რჩება ასეთად), რაც დრამატულადაა აღნერილი არაერთ წიგნში და, მათ შორის, თანამედროვე ავტორის მარჯან სატრაპის „პერსეპოლისში“.<sup>1</sup>

ვ. სოლოვიოვთან თეოკრატიას განსხვავებული შინაარსი ენიჭება. მას უნდა გამოეცოცხლებინა სარწმუნოებრივი სული, სამყაროში აღედგინა ჭეშმარიტება და სიყვარული, უზრუნველეც არსებობის თავისუფლება და სისავსე. თეოკრატია იმისთვისაც არის საჭირო, რომ არასრულყოფილი სამყარო უფრო სრულყოფილად გადაიქცეს. ამ მიზნის მისაღწევად სამი პირობის შესრულებაა აუცილებელი: 1) საზოგადოებაში რელიგიური საწყისების სრული დამოუკიდებლობა, რამეთუ ამ საწყისებშია მთელი შინაარსი და მთავარი ინტერესი. ხოლო თუკი რელიგიური ელემენტი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაქვემდებარებული ან რამე სხვაზე დამოკიდებული აღმოჩენება, მაშინ თეოკრატიას არა აქვს არავითარი აზრი; 2) საზოგადოებრივი ორგანიზმის სწორი დანაწევრება და მის მმართველობაში მკაცრი წესრიგი, რადგან ამის გარეშე რელიგიას არ გააჩნია მუდმივი და მიზანშენილი საშუალებები, იმოქმედოს ცხოვრებაზე, მიმართოს იგი თეოკრატიული კალაპოტისკენ; 3) დაბოლოს, პიროვნული ძალების თავისუფალი და ენერგიული მოქმედება, რადგან ასეთი მოქმედების გარეშე ყველაზე კარგი საზოგადოებრივი ორგანიზაციაც კი ცარიელ ფორმად დარჩება“.<sup>2</sup>

ვ. სოლოვიოვისათვის თეოკრატიის არსის კვლევა ნიშნავს „მამათა რწმენის გამართლებას, გონივრული შემეცნების ახალ სიმაღლეზე აყვანას“.<sup>3</sup> თეოკრატია უზრუნველყოფს არა რომელიმე კერძო პრობლემის გადაწყვეტას, არამედ მისი მიზანია „ერების ცხოვრებაში რელიგიის (ანუ ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირის) განხორციელება“.<sup>4</sup> მისთვის თეოკრატია ღმრთის სიყვარულის უსრულეს გამოვლინებადაა მიჩნეული. იგი ღმერთისა და კაცობრიობის თავისუფალი ერთობაა, ცათა სასუფევლის განხორციელებაა დედამიწაზე. როგორც ე. ტრუბეცკოი აღნიშნავს:

1 <http://www.bookslut.com/features/2004-10-003261.php>

2 Владимира Соловьёва, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1. ст. 836.

3 О христианском единстве (сборник) Издательство: «Жизнь с Богом» Год: 1967 ст. 7.

4 Владимира Соловьёва, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1. ст. 836.

„ამის არცოდნა ნიშნავს, არაფერი იცოდე სოლოვიოვის შემოქმედების ადრეულ და შუა ხანაზე“.<sup>1</sup>

თავისუფალ თეოკრატიაზე თავის სწავლების საფუძვლად ვ. სოლოვიოვი გვთავაზობს შემდეგ რელიგიურ-ზნეობრივ მიმართებას: ქრისტიანული იდეალი ხორციელდება ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში – პირადშიც და საზოგადო-ებრივშიც. თეოკრატიული საზოგადოება ახორციელებს საყოველთაო პრინციპებს, ადამიანებს აზიარებს აბსოლუტურ ერთობასთან.

საზოგადოების ისტორია განხილულია, როგორც საკაცობრიო თეოკრატიის პროლოგი, რომელიც ვალდებულია, სრულყოფილად გააერთიანოს საღმრთო და ადამიანური საწყისი ღმერთკაცობრივ ხატში, – ასეთია ვ. სოლოვიოვის ნაშრომების წარმმართველი იდეა.

თეოკრატიული მოტივი მოაზროვნის კვლევების ძირითადი ინტერესის საგანი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში გახდა. იგი ქმნის უტოპიურ სწავლებას მომავალ საყოველთაო საკაცობრიო თეოკრატიაზე. კაცობრიობის მთელ განვითარებას ვ. სოლოვიოვი განიხილავს თეოკრატიული იდეის განხორციელების პრიზმაში. ამასთან კავშირში იგი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა თეოკრატიის სახარებისეული დადასტურება, სლავური და ებრაული საკითხები, რუსეთის სახელმწიფოს ისტორია, ბიზანტიისა და დასავლეთის ქრისტიანობის ერთობის მიღწევა და თეოკრატიული იდეის განხორციელების შესაძლებლობა. ამ პრობლემების შესწავლას ეძღვნება ვ. სოლოვიოვის რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი თუ წერილი – „ნაციონალური საკითხი და რუსეთი“, „ბიზანტიზმი და რუსეთი“, „რუსეთი და მსოფლიო ეკლესია“, წერილები ი. აქსაკოვს, ბ. ტავერნიეს, ეპისკოპოს შტოსმაიერს.

ღმერთკაცობრივ ერთობას მოაზროვნე განიხილავს, როგორც საზოგადოებაში ყოვლის ერთიანობის (всединства) პრინციპის განხორციელებას. იგი ცდილობს დაასაბუთოს მისი გამოვლინება მსოფლიო ისტორიულ პროცესებში, შემდეგი საფეხურების გამოყოფით: ქრისტიანული ერთობა, თეოკრატია, ეკლესია. ვ. სოლოვიოვის თეოკრატია, ა. ფ. ლოსევის თქმით, გვევლინება მისი ზოგადრელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების უმთავრეს განმსაზღვრელ მოცემულობად.<sup>2</sup> ვ. სოლოვიოვის შეხედულებით, სახელმწიფოცა და თეოკრატიაც ისწრაფვიან საზოგადოებასა და კულტურაზე ტოტალური ბატონობისაკენ. მისი თეოკრატია, ღმერთის მიმართება ადამიანისა და სამყაროსადმი პრინციპულად განსხვავებული ხასიათისაა და გულისხმობს, რომ ღვთაებრივი საწყისი თავის ჭეშმარიტებაში ყველასა და ყველაფერს მოიცავს და წარმოგვიდგება „ყოვლადმთლიანობად“ (всединство). აქ უკვე შემადგენელი ელემენტები ერთმანეთთან არა ურთიერთშეზღუდვისა და განყენებულობის, არამედ ურთიერთშევსებისა და გამდიდრების პრინციპით არიან დაკავშირებულნი, რასაც უპირობო სიყვარულის კანონი ჰქვია. ასეთ შემთხვევაში ნორმალურ საზოგადოებაში მინიერი ელემენტი ღვთაებრივს მიემართება „თავისუფალი დაქვემდებარების“ პრიციპით. შესაბამისად, ვ. სოლოვიოვი ყოვლის ერთია-

1 Трубецкой Б. Н. Мироэзерцание Вл. Соловьёва. В 2-х тт. – М: Путь, 1912. Т.1 – С. 507.

2 Лосев А. Ф. Вл. Соловьев и его время. – М.: Молодая гвардия, 2000. – С. 261.

ნობის კონცეფციას შემდეგნაირად აყალიბებს: ადამიანი, რომელიც თავის თავში ატარებს ღვთაებრივ იდეას, ყოფიერების უპირობო სისავსეს (ყოვლის ერთიანობის სოლოვიოვისეულ იდეას), გონივრულობის წყალობით ახორციელებს ამ იდეას მატერიალურ სამყაროში.

მისთვის „თავისუფალი თეოკრატია“ გაიგივებულია გამთლიანებულ საზოგადოებასთან, რომელიც შეპირისპირებულია იმდროინდელ ატომისტურ, დაქსაქ-სულ საზოგადოებას. ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლენილი საღმრთო საწყისი არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც სტატიკური, „ერთხელ და სამუდამოდ გაქვავებული აქტი“ – მისთვის ეს დინამიკური პროცესია. შესაბამისად, სამყარო მუდმივი ცვლილებებისა და განვითარების პროცესში უნდა იყოს. მხოლოდ „მთლიანი, ერთიანი სხეული (единое существо) გვევლინება განვითარებას დაქვემდებარებულად, რომელიც თავის თავში შინაგანად ერთმანეთთან დაკავშირებულ მრავალ ელემენტს ანუ ცოცხალ ორგანიზმს მოიცავს“.<sup>1</sup> „განყენებულ საწყისთა კრიტიკაში“ იგი ამბობს, რომ იდეალური ყოვლის ერთიანობის მოწყობა გულისხმობს სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთთან და მთავართანაც ურთიერთშეთანხმებულ დაკავშირებას. აქ ყოველი ცალკეული ნაწილი ამ მთელის შეზღუდულ ნაწილად გვევლინება. ამდაგვარ თეოკრატიაში განსულიერებული საზოგადოება, ანუ ეკლესია, ცხოვრების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებთან თავისუფალი შინაგანი კავშირის წყალობით, წარმოქმნის „ერთ მთლიან სხეულს“.<sup>2</sup>

ვ. სოლოვიოვის თეოკრატიულ სწავლებაში ჩვენ ვხედავთ მისთვის დამახასიათებელ ერთ პრინციპს. მის შეხედულებებში ხშირად წაშლილია ზღვარი მიწიერსა და ზეციურს შორის. ეს ის ხაზია, რომელიც მკაფიოდ მიჰყვება მთელს მის მსოფლმხედველობას. ვ. სოლოვიოვის მთელი თეოკრატიული ძიებები გამსჭვალულია იმ აზრით, რომ ისტორიული პროცესი ღმერთკაცობრივი პროცესია.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოვლის ერთიანობის ცნებასთან პარალელურად ვ. სოლოვიოვი იყენებს „ჭეშმარიტი“ ან „დადებითი“ ყოვლის ერთიანობის ცნებებსაც. ამითი იგი ხაზს უსვამს იმას, რომ წინააღმდეგია უარყოფითი ყოვლის მთლიანობისა. შესაბამისად ისეთი მთლიანობისა, რომელიც არ გულისხმობს სიმრავლეს, რომელიც თრგუნავს „მასში შემავალ ელემენტებს“. დადებით ყოვლის ერთიანობაში კი პირიქით, სხვადასხვაგვარი ხარისხით, ერთი არსებობს სხვა დანარჩენის სასარგებლოდ“.

მისი დადებითი ყოვლის ერთიანობის კონცეფცია სლავოფილების საყოველთაოების კონცეფციის გაგრძელებაა. თუმცა თუკი სლავოფილების საყოველთაობის პრინციპის განხორციელება შემოიფარგლებოდა, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიით და სოციალური სფეროთი, ვ. სოლოვიოვთან დადებითი ყოვლის ერთიანობა ყოვლისმომცველ ხასიათს იძენს.

1 Владими́р Соловьёв, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1. ст. 232.

2 Соловьёв В. С. Критика отвлеченных начал//Соловьев В.С. Собрание сочинений в8-тт.-СПб, Б. г. Т.2-С.

ვ. სოლოვიოვის მხრიდან ყოვლის ერთიანობის იდეა აშკარა გამოწვევა იყო რუსული სინამდვილისთვის. საზოგადოების ახლებურად მოწყობის იდეა ისტორიული განვითარების რთულ ეტაპზე ჩნდება, სწორედ მაშინ, როდესაც მისი აუცილებლობა აშკარაა. ახალი თეორიის წარმოშობა ყოველთვის ობიექტურადაც დაკავშირებულია კონკრეტულ გარემოებებსა და დროსთან. სლავოფილებმა პირველებმა დაიწყეს საუბარი იმდროინდელ საზოგადოებრივ სინამდვილეში არარსებულ „სულის მთლიანობაზე“. ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდა ვ. სოლოვიოვი, ხასიათდება პოსტრეფორმისტული რუსეთის მეტად რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალური და სულიერი ურთიერთობებით. XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთი-სათვის დამახასიათებელი იყო: გათიშულობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას და, ასევე, ხალხსა და ინტელიგენციას შორის. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის გათიშულობა კიდევ უფრო მეტად ამძაფრებდა მდგომარეობას. აანალიზებდა რა მის გარშემო არსებულ სიტუაციას, ვ. სოლოვიოვი ყოველის ერთიანობის პრინციპზე დაყრდნობით მივიდა დასკვნამდე, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში ან ქაოსი და გათიშულობა დადგება, შესაბამისად კი მისი დაღუპვა გარდაუვალია, ან კიდევ სამყაროზე ქრისტიანული თეოკრატია – ეკლესიის ყოველ-მხრივი ბატონობა დამყარდება.<sup>1</sup>

თეოკრატიული იდეის მიღწევა ვ. სოლოვიოვს ორი საშუალებით წარმოედგინა: 1) პიროვნული ზნეობის სრულყოფის მიღწევით, რაც მისცემდა ეგოიზმის, ურნებულობისა და განყენებულობის დაძლევის საშუალებას; 2) საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების გაუმჯობესების საშუალებით, სოციალური ბოროტებისა და სამყაროს გათიშულობის აღმოფხვრით.<sup>2</sup>

თეოკრატიას იგი განიხილავდა, როგორც ცხოვრების ყოვლისმომცველ, შინაგანი და გარევანი ზნეობრივი ფერისცვალების დამაგვირგვინებელ სტადიას, რომელშიც თავს იყრის ადამიანური ინდივიდუალურობისა და კოლექტიურობის სრულყოფილი მისწრაფებები.

თეოკრატიაში გამოვლენილი ღმრთაებრივისა და ადამიანურის მთლიანობა რეალიზაციას საზოგადოების ისტორიაში უნდა პოულობდეს. აქ გადამწყვეტი ადგილი რელიგიას უნდა ეჭიროს, რომელიც, თავის მხრივ, ფილოსოფოსის აზრით, წარმოადგენს ადამიანისა და სამყაროს გაერთიანებას უპირობო ყოვლად მთლიან საწყისთან.

ჭეშმარიტ საყოველთაო რელიგიად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია, ცხოვრებაში დამყარდეს ზნეობრიობის სრულყოფილი თეოკრატიული წესრიგი, ვ. სოლოვიოვს ქრისტიანობა მიაჩინა. მისი შეხედულებით, ქრისტიანობა, უპირველეს ყოვლისა, არის სამყაროს ფერისცვალების რელიგია, საშუალება არა მარტო ერთი ადამიანის ხსნისთვის, არამედ მთელი სამყაროს განახლებისთვისაც. მ. ვ. მაქსიმოვის აზრით, ვ. სოლოვიოვი ქრისტიანობას სამგვარი ასპექტით განიხილავს: „როგორც ისტორიულ ფაქტს, როგორც იდეას და როგორც კაცობრიობის საბოლოო დანიშნულებას“.<sup>3</sup>

1 Трубецкой Е. и. Мироузырцание Вл. Соловьёва. В 2-х тт. – М: Путь, 1912. Т.1 – С.495.

2 Салыгин Е. И. Теократическое государство. – М., 1999. – С. 136.

3 Максимов М. В. Историософия Вл. Соловьёва в отечественной и зарубежной философской мысли XX в. Диссертация на соиск. уч. степ. докт. фил. наук. – М., 2001. – С. 259.

ქრისტიანობა, უბრალოდ, მიზანს კი არ გვისახავს, არამედ მიზნის მისაღწევ გზებსაც გვიჩვენებს. ცათა სასუფეველი არ შეიძლება მიიღო გარედან, იგი პირველ რიგში შინაგანად უნდა იყოს აღქმული, ხოლო უკვე შემდეგ ქრისტიანული სწავლების გათავისებით განახორციელო ცხოვრებაში. ქრისტიანობა თავდაპირველად წარმოგვიდგება, როგორც პატარა საფუარი, პირველი ქრისტიანული თემების სახით, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ იზრდება და მრავლდება, რათა მთელი კაცობრიობა და სამყარო ერთი ღმერთკაცობრივი სხეულით მოიცვას.

ვ. სოლოვიოვის აზრით, ქრისტიანობის ისტორიულმა განვითარებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ მასში არსებული ჭეშმარიტებები წარმართული საწყისების ზეგავლენით დამახინჯდა, ერთ დროს ერთიანი რელიგია სამ განშტოებად დაიყო: მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი. მათ უკვე ადამიანთა სულიერი და პოლიტიკური აქტიურობის განსხვავებული ორიენტირები გაუჩნდათ. მხოლოდ კვლავ გაერთიანებული ქრისტიანობა შეძლებს ადამიანთა შორის ურთიერთობების რადიკალურად შეცვლას, რომლის მიზანიც იქნება „მსოფლიო ღმერთკაცობრივი საზოგადოების“ რეალიზაცია. იგი, აღადგენს რა კავშირს ადამიანსა და აბსოლუტურ საწყისს შორის, ისტორიას გადააქცევს ღმერთკაცობრივი თანაცხოვრების პროცესად. ამას შედეგად უნდა მოჰყოლოდა „მინიერი სინამდვილის ჭეშმარიტი ცხოვრების შინაგან საწყისთან სრული შესაბამისობა“<sup>1</sup>. თუმცა, ლ. ე. შაპოშნიკოვის აზრით, „ვ. სოლოვიოვის მიერ შემოთავაზებული საყოველთაო თეოკრატიის იდეა, ფაქტობრივად ქრისტიანობის სხვადასხვა განშტოებების სინთეზის ნაცვლად, გვთავაზობდა ქრისტიანული მიმართულებების კათოლიციზმით ჩანაცვლებას.<sup>2</sup>

ახალი ღმერთკაცობრივი სხეულის ორგანიზებაში ვ. სოლოვიოვი უმნიშვნელოვანეს როლს ეკლესიას ანიჭებს. მისთვის ეკლესია არის საყოველთაობაც და ორგანიზაციაც, რომელიც საზოგადოების ღმერთკაცობრიობის უმაღლესი მიზნებისთვის მოწესრიგებას უზრუნველყოფს. ა. ფ. ლოსევი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სოლოვიოვის ნამრომებში გამოყენებულ ტერმინს „ეკლესია“ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რადგან მისთვის ეკლესია „პირველ რიგში აღნიშნავს ყოფიერების საყოველთაო მთლიანობას ან, როგორც ის ამბობს, ყოვლის ერთიანობას“.<sup>3</sup>

ამას შეიძლება დავამატოთ კიდევ სამი მნიშვნელობა, რომლებსაც სოლოვიოვი ტერმინში „ეკლესია“ მოიაზრებს. უპირველესად, ეკლესია განიხილება, ტრადიციული შეხედულებისამებრ, ქრისტეს სხეულად, როგორც იესო ქრისტეს მისტიკური სხეული; მეორე მნიშვნელობით, ეკლესიას იგი ხედავს, როგორც სოციალურ ინსტიტუტს, ქრისტიანული იდეის გარეგნულ ფორმას; და მესამე, ეკლესია ვ. სოლოვიოვს ესმოდა, როგორც სულით გაერთიანებულთა კრებული. ამგვარად, იგი აშკარად ყოფს ეკლესიას, ერთი მხრივ, ხილულ ორგანიზაციად, ხოლო მეორე მხრივ, მომავალი ყოვლის ერთიანობის იდეალის გამომხატველად.<sup>4</sup>

1 Соловьёв В.С. Философские начала цельного знания // Соловьёв В.С. Избранные произведения. Ростов-на-Дону: Феникс, 1998. С. 73.

2 Шапошников Л. Е. Философия соборности. Очерки русского самосознания. – СПб., 1996. – С. 42.

3 Лосев А. Ф. Владимир Соловьев и его время. – М.: Молодая гвардия, 2000. – С. 114.

4 Батурина А. Н. Проблема христианского единства в творчестве Вл. Соловьёва. Диссертация на соиск. уч. степ. канд. фил. наук. – М. 2000. – С. 93-94.

ვ. სოლოვიოვის მიხედვით, უპირობო სრულყოფის სფეროსა და მიწიერ ადა-მიანურ ელემენტებს შორის დგას „ეკლესიის ღმერთკაცობრივი ორგანიზმი“. ხილუ-ლი, მიწიერი ეკლესია მოაზროვნისათვის არის მომავალი ცათა სასუფევლის ფორ-მა. იგი არა მხოლოდ, უბრალოდ, აწმყოში უნდა არსებობდეს, არამედ განვითარდეს, გახდეს სრულყოფილი. ამ თვალსაზრისით, ვ. სოლოვიოვი მიიჩნევს, რომ ადამიანი უნდა დაემორჩილოს ეკლესიას, რადგან იგი მხოლოდ მაშინ შეძლებს მიაღწიოს ჭეშ-მარიტ ერთობასა და ყოველივესთან ერთიანობას, როდესაც თვითონ შინაგანად მი-იღებს ღმერთს. „ადამიანებში ეკლესიის განხორციელება“ და „ცათა სასუფევლის დედამიწაზე დამყარება“, ამ თვალსაზრისით, ერთი და იგივე.<sup>1</sup>

ეკლესიაზე ახლებური შეხედულების ჩამოყალიბებაში ვ. სოლოვიოვი მნიშ-ვნელოვნად მიიჩნევდა ა. ს. ხომიაკოვის ნაშრომებს. იგი დიდად აფასებდა სლავო-ფილების ღვაწლს. მათ ეკლესია ესმოდათ, როგორც „ცოცხალი, არსებით მთლიანი“ რამ.<sup>2</sup> ამ იდეასთან რუსული ნაციონალური ცნობიერების ზიარება, უდავოდ, სლა-ვოფილების უმთავრესი დამსახურება.

ვ. სოლოვიოვის კონცეფციაში ეკლესიის იდეალი ფართოვდება და შემდგომ ვითარდება. ადამიანთა არსებობა უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სულიერი და ზნეობრივი ურთიერთობებით, იგი ვრცელდება ასევე ყოფით ცხოვრებისეულ გამოვლინებებზეც. მისთვის ეკლესია ადამიანური ყოფის ყველა სფეროშია, ხოლო კაცობრიობა კი „ჭეშმარიტი სიცოცხლის საყოველთაო“ ორგანიზაციაა.<sup>3</sup> ამ მნიშ-ვნელობით, ეკლესია საზოგადოების იდეალია, ხოლო ამ იდეალის მიღწევა გულის-ხმობს მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის განსულიერებას. ამ მიზნის მიღწევას იგი შეძლებს მხოლოდ ყველა მიწიერი ელემენტის დაქვემდე-ბარებით, ხოლო, პირველ რიგში, სახელმწიფოს დაქვემდებარებით თეოკრატიული საზოგადოების შექმნის გზით. კაცობრიობის განვითარების მიზნები ყალიბდება მხოლოდ ეკლესიის მიერ, როგორც კაცობრიობის ზნეობრიობის ორგანიზაციაში. ქრისტიანობის ცხოვრებასთან შერწყმა, ერთგვარი ინტეგრირება, ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა. ვ. სოლოვიოვი, განმარტავდა რა მისეული ჭეშმარი-ტი თეოკრატიული მოწყობის ხასიათს, მიუხედავად მთელი მისი იდეალიზმისა და მისტიციზმისა, ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ ნებისმიერი გაერთიანების სა-ფუძველი უნდა იყოს თავისუფლება. ეს უნდა იყოს გააზრებული არჩევანი როგორც თითოეული პიროვნების, ასევე, მთლიანად ხალხისთვის. ადამიანი ეკლესიას, მის ძალაუფლებას უნდა ემორჩილებოდეს საკუთარი ნებით, იმის გააზრებით, რომ იგია არსებობის ყველაზე მეტად სრულყოფილი ფორმა. ამ შეხედულებებიდან გამომ-დინარე რეალური, ისტორიულად არსებული თეოკრატიები, რომლებშიც ცდილობ-დნენ, ადამიანი ღმრთაებრივი საწყისისათვის ძალდატანებით დაემორჩილებინათ, ვ. სოლოვიოვთან ცრუ თეოკრატიებადა მოხსენიებული. ჭეშმარიტი თეოკრატია კი

1 Соловьев В.С. Духовные основы жизни // Соловьев В. С. Собрание сочинений в 8-ти. – СПб, Б. г. Т. 3 – С.

2 Соловьев В. С. История и будущность теократии // Соловьев В. С. Собрание сочинений в 8-ти. – СПб, Б. г.Т.4 – С.223.

3 იქვე, გვ. 229.

გულისხმობს ძალდაუტანებელ და საკუთარი წებით აღიარებულ ეკლესის ძალა-უფლებას. ეკლესია და რელიგიური საზოგადოება დაქვემდებარებულია რელიგიურ წესრიგს და, აქედან გამომდინარე, წარმოადგენენ მარადიულ ღმრთაებრივ საწყისს.

ვ. სოლოვიოვის მიხედვით, თავისუფალი თეოკრატია წარმოიშობა სოციუ-მის სამი ძირითადი ნაწილის ურთიერთკავშირის შედეგად, ესენია: სულიერი, რაც სხვაგვარად ეკლესიურ საზოგადოებას გულისხმობს; სამოქალაქო საზოგადოე-ბა და ეკონომიკური საზოგადოება. ყოველი მათგანი აუცილებლად სჭირდება და-ნარჩენ ორს. ცხოვრებაში აბსოლუტური სულიერი საწყისი უნდა რეალიზდებოდეს სამოქალაქო და ეკონომიკური საზოგადოების მეშვეობით. თავისუფალ თეოკ-რატიაში ბატონობს ორგანული ერთიანობა, აქ ყოველი სფერო სხვა დანარჩენში პოლიტიკური სისავსეს. ამასთან, უფრო დაბალი – სახელმწიფოებრივი და ეკონომიკუ-რი – თავიანთ შინაარსს იღებენ უმაღლესში – ეკლესიაში. ვ. სოლოვიოვი „განყენე-ბულ საწყისთა კრიტიკაში“ ამბობს, რომ ნორმალურ საზოგადოებაში ამ ნაწილებს შორის შეუთანხმებლობა ისევე შეუძლებელია, როგორც ადამიანის ორგანიზმი გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებს შორის შეუთანხმებელი მოქმედება. სამოქალაქო საზოგადოება, ანუ სახელმწიფო, ეკლესიას აძლევს ფორმალურ საშუ-ალებებს. ეკონომიკური საზოგადოება აძლევს მას სახსარს დასახულის განსახორ-ციელებლად. ეკლესია კი სახელმწიფოს აბსოლუტურ საზრისს ან კიდევ უმაღლეს დანიშნულებას ანიჭებს. ნაკურთხი და მოწესრიგებული მიწიერი ფორმები „უნდა გახდეს რეალური საფუძველი და ხილული იარაღი, რათა ქრისტემ სოციალურად იმოქმედოს მის ეკლესიაში“<sup>1</sup>.

ვ. სოლოვიოვის ჭეშმარიტ თეოკრატიაში აუცილებელია მატერიალური და სულიერი ძალების თავისუფალი ურთიერთქმედება. სამყაროს ცათა სასუფევლად გარდაქმნის ჟამს თავისუფალი საზოგადოების დანიშნულება სიყვარულის საწყი-სების თანმიმდევრული განხორციელება ხდება, რაც, თავის მხრივ, ეკლესიის ზნე-ობრივ პრინციპს წარმოადგენს. სახელმწიფოს ზნეობრივი პრინციპი სამართლი-ანობაა, რაც თავისთავად ჯერ კიდევ არ ნიშნავს უპირობო თანასწორობას. ჩვეუ-ლებრივ ყოფაში ყველა ვერ იქნება ერთნაირად ახლოს უპირობო მიზანთან, ყოველი მათგანის მნიშვნელობა სწორედ ამ მიზანთან სიახლოვით განისაზღვრება. ამიტო-მაა, რომ ყოფით წესრიგს ახასიათებს სამართლიანი უთანასწორობა.

რადგან საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ღმერთკაცობრივ იდეალს, ვ. სოლოვიოვს თეოკრატიის შინაარსში შემოაქვს მმართველობის და ღმრთაებრივი ნების გამტარობის განსაკუთრებული ორგანოები. ასეთი მმართველობა უნდა მო-იცავდეს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს – არა მარტო რელიგიურს, არამედ პოლიტიკურსაც და სოციალურ სფეროსაც. მისი შეხედულებით, ყოველ მათგანს გააჩნია თავისი განსაკუთრებული თეოკრატიული ორგანო: რელიგიურ სფეროს მღვდელი და მღვდელმთავარი, პოლიტიკურს – „მეფე, როგორც მირონცხებული“,

1 Владимира Соловьёва, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1. Критика отвлеченных начал ст.1290.

სოციალურს – „წინასწარმეტყველი ანუ მქადაგებელი და მასწავლებელი“.<sup>1</sup> მათ საკუთარი მოქმედებების სფერო აქვთ – მღვდელი მოძღვრავს, მეფე მართავს, წინასწარმეტყველი ამხელს და ასწორებს. ღმრთაებრივ მმართველობაში „სამღვდელოებას ეკუთვნის ავტორიტეტი, რაც გარდამოცემას ემყარება; მეფეს აქვს ძალაუფლება, რაც კანონით ენიჭება; წინასწარმეტყველი კი თავისუფლების ბეჭდით სარგებლობს“.<sup>2</sup> თეოქრატიული იდეალი ამ სამი ღმრთაებრივი მმართველობის ორგანოს შეთანხმებულ და თანაზომიერ განვითარებას მოითხოვს.

თავისუფალ თეოქრატიაში იკვრება ცხოვრებისეული წრე, ხდება წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთქმედება. წარსულის წარმომადგენლები, საეკლესიო გარდამოცემის დამცველები მღვდლები არიან. ძალაუფლების ხარისხში მთელი სამღვდელოება უნდა მოიაზრებოდეს ერთი მსოფლიო მღვდელმთავრის სახით. ამ მღვდელმთავრის ძალაუფლების გარეშე ხალხები ვერ შეძლებენ გაერთიანებას. საყოველთაო ძმობა თავის თავშივე გულისხმობს ყველასათვის საერთო მამას. ეკლესიის აწმყო კი არის ხალხი, რომელიც სახელმწიფოებრივ ორგანიზებულ საზოგადოებად არის გაერთიანებული. ეკლესიის მომავალზე წინასწარმეტყველი ქადაგებს, ის ღალადებს სამომავლო იდეალზე: „ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი საზოგადო მოღვაწეა, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი, რომელსაც შიში არაფრისა აქვს და გარეშეს არაფერს ექვემდებარება.... რომლისთვისაც განსჯის უპირველესი საზომი მხოლოდ კეთილი ნება და წმიდა სინდისი უნდა იყოს“.<sup>3</sup> ეს მომავალი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს წარსულს და აწმყოს.

თეოქრატიის განვითარების ხარისხის მიხედვით, ვ. სოლოვიოვი განასხვავებს წინასწარმეტყველების ორ სახეს: პირველი თავის თავშივე მოიცავს ყველა სახელი-სუფლებო შტოს დასაბამსა და წყაროს, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი კერძოობითად ამ შტოების დამოუკიდებელ განვითარებას ემსახურება. წინასწარმეტყველება მოითხოვს სხვა დარჩენილი ორი შტოს – სამღვდელოსა და სამეფოს – განვითარების მაღალ დონეს. ისე, როგორც სასულიერო პირველი იერარქი არის კეთილმორნებულების, ხოლო ქრისტიანი მეფე მოწყალებისა და სამართლიანობის საზომი, ასევე წინასწარმეტყველი სინდისისა და ნამუსის მწვერვალია. საზოგადოებაში უპირობო ავტორიტეტისა და უპირობო ძალაუფლების გვერდით ასევე უნდა არსებოდეს უპირობო თავისუფლების ნიშანსვეტი წინასწარმეტყველის სახით. ასეთი თავისუფლება არ შეიძლება ბრძოს ეკუთვნოდეს, არ შეიძლება დემოკრატიის ატრიბუტი იყოს. უმაღლესი და უზენაესი ავტორიტეტი და ძალაუფლება ღმერთის წყალობაა, ხოლო ნამდვილი თავისუფლება კი ადამიანმა შინაგანი ღვაწლის შედეგად უნდა მოიპოვოს. თავისუფლების უფლება ადამიანის თავისთავადი თვისებაა და, ამიტომაც, ასევე სახელმწიფოს გარეშე უნდა მოიპოვებოდეს. სამვლდელოების, მეფობისა და წინასწარმეტყველის ერთობა ამქვეყნად წმიდა სამების ანარეკლია. იგი სახეა აბ-

1  Владимир Соловьёв, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1. Еврейство и христианский вопрос ст. 828.

2  იქვე გვ. 145.

3  Владимир Соловьёв, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 2. ст.339.

სოლუტური ყოვლის ერთიანობისა, რომელიც თავის თავში ყოფიერების სისავსეს მოიცავს. მსოფლიო ეკლესიის ერთობა სასულიერო ძალაუფლების მეშვეობით არის შენარჩუნებული, მხოლოდ ის არის ღმრთივდადგენილი, შესაბამისად – საფუძველი დანარჩენი ორისათვის. სამი შტო ამ ხელისუფლებისა, როგორც საყოველთაო ქრისტეს სხეულის ნაწილი, სოლიდარობით უნდა მოქმედებდეს. მსოფლიო ეკლესია, ვ. სოლოვიოვის თქმით, „ვითარდება, როგორც ღმრთკაცობრივი სამხატვოვნების მთლიანობა: მასში არის სამვლდელო მთლიანობა, მასში ღმრთაებრივი საწყისი უპირობოდ და უცვალებელად ბატონობს და ქმნის ეკლესიას – ღმრთის ტაძარს; მასში სამეფო მთლიანობაცაა, სადაც გაბატონებულია ადამიანური საწყისი და იგი წარმოქმნის ქრისტიანულ სახელმწიფოს (ეკლესია, როგორც ღმრთის ცოცხალი სხეული); დაბოლოს მასში არის მთლიანობა წინასწარმეტყველისაც, სადაც ღმრთაებრივი და ადამიანური ურთიერთგანიმსჭვალება თავისუფალ და დამოუკიდებელ ურთიერთშეთანხმებულობაში. ამითი კი იქმნება სრულყოფილი ქრისტიანული საზოგადოება (ეკლესია, როგორც ქრისტეს სასძლო)“!<sup>1</sup>

თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა, რომელსაც ფილოსოფოსი აყენებს, არის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ძალაუფლების თანაფარდობის პრობლემა. როცა ვ. სოლოვიოვი ეკლესიისათვის სახელმწიფოს დაქვემდებარებაზე საუბრობს, იგი, უპირველესად, სულიერ მორჩილებას გულისხმობს. მაგრამ ასეთი სულიერი მორჩილება რეალური კონტროლისა და სამოქმედო შესაძლებლობების გარეშე გადაიქცევა უპრალო ფორმალობად. აცხადებს რა სახელისუფლებო შტოების დამოუკიდებელ და თავისუფალ არსებობის პრინციპს, იგი ამავე დროს აღიარებს სასულიერო ხელისუფლების უპირატესობას, მაგრამ ამ სიტყვის არა იურიდიული გაგებით. ამ შემთხვევაში სასულიერო ხელისუფლება თავის თავზე არა პოლიტიკური ფუნქციის განხორციელებას კისრულობს, არამედ ეს უპირატესობა ზნეობრივი ასპექტების დასახვაში გამოიხატება.

ეკლესიას არ უნდა ჰქონდეს არავითარი იძულებითი ფუნქცია, ხოლო სახელმწიფოს ძალდატანებითი ფუნქცია არ უნდა იჭრებოდეს რელიგიურ სფეროში. ქრისტიანული პროგრესის საფუძველს წარმოადგენს ამ ორი სახელისუფლებო შტოს მჭიდრო ურთიერთკავშირი. ჭეშმარიტ ანუ თავისუფალ თეოკრატიაში, ასკვნის ვ. სოლოვიოვი, უმაღლესი მნიშვნელობა ენიჭება უპირობო ანუ საღმრთო საწყისს, ხოლო „მეორე, ამქვეყნიური ელემენტი, ამ პირველთან უნდა იყოს თავისუფალი დამორჩილების მდგომარეობაში, როგორც სრულიად აუცილებელი და კანონიერი საშუალება, იარაღი და გარემო ერთი საღმრთო იდეის განხორციელებისთვის“<sup>2</sup>.

ეკლესია უზრუნველყოფს და კარნახობს (სულიერ ასპექტში) „კაცობრიობას კეთილი ნების სამოქმედო პერსპექტივას“ და მისი ისტორიული მოღვაწეობის საბოლოო მიზანს. სახელმწიფო კი ვალდებულია, ეკლესიას დაუთმოს ძალაუფლების მთელი სისრულე, რათა მინიერი ინტერესები დაქვემდებარებული იყოს ამ უმაღლეს ნებას, „პოლიტიკური ურთიერთობები“ კი ეთანხმებოდეს საბოლოო მიზანს.

1  Владимир Соловьёв, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1. ст. 1220.

2  Владимир Соловьёв, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Критика отвлеченных начал ст. 1. ст.326.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ცალ-ცალკე ვერც საერო ხელისუფლებას ძალუძს და ვერც სასულიეროს დედამიწაზე ქრისტიანული საზოგადოების დამყარება. ვ. სოლოვიოვი არ ცნობს სახელმწიფოში არც ერთ სხვა უმაღლეს ხელისუფლებას, თუ არა ღმრთივდადგენილ წესრიგს. ჭეშმარიტი ძალაუფლება არის „საღმრთო ძალისა და ადამიანური თავისუფლების ერთობლიობა“,<sup>1</sup> რაც შესაძლებელია მხოლოდ ღმრთივაცში. თავისი სიტყვების გასამყარებლად იგი ბიბლიურ ისტორიას მოიხმობს ქრისტეს მიერ საყოველთაო ეკლესის დაარსების შესახებ, რომლის თავიც პეტრე მოციქულია. ქრისტემ შემოგვთავაზა ჭეშმარიტი მონარქია, რომლის ქვეშევრდომებიც ერთი ბატონის ძალაუფლებას კი არ არიან დამონებულნი, არამედ თავისუფალი ნებით ჭეშმარიტებასა და ღმრთის მადლს უერთდებიან. დაამტკიცა რა პეტრეს სარწმუნოებაზე ეკლესის დაფუძნების ჭეშმარიტება, ქრისტე არ აუქმებს იმ მონარქიულ წყობილებას, რომელიც იმ დროს იყო რომის იმპერიაში. ვ. სოლოვიოვი მიიჩნევს, რომ ქრისტე, აუქმებს რა წარმართული რომის ცრუაბსოლუტიზმს, იმავე ტრადიციულ ფორმებში ახალ შინაარს გვთავაზობს. ამით იგი ადასტურებს და მარადიულს ხდის რომის საყოველთაო ბატონობას, მას ახალ თეოკრატიულ საფუძველს უჩენს. როგორც ე. ტრუბეცკო ამბობს, ვ. სოლოვიოვისათვის მსოფლიო ეკლესია სხვა არაფერია, თუ არა „სახენაცვალი რომი“, რომლის მეუფებაც „მარადიული ცათა სასუფლეველია დედამიწაზე“.<sup>2</sup> მიუხედავად თავისუფალი მონარქიის იდეისა, ვ. სოლოვიოვი მკაფიოდ მომხრეა იერარქიულობისა, რომელიც ყველაფერში უნდა შენარჩუნდეს, რადგან ქვემდგომი უნდა დაემორჩილოს ზემდგომს და არა პირიქით. ზნეობრივი საშეინის იერარქია, პირველ რიგში, ეკლესიაში ყალიბდება, იქიდან სხვაზე, საზოგადოებრივი სისტემის უფრო დაბალ საფეხურზე გადადის. „ის, რომ ეკლესის საერთო მოწყობა მკაცრად იერარქიულია და არა დემოკრატიული, ეს კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მოციქულებისათვის მიცემული ძალაუფლება შეკვრისა და გახსნისა, არაფრითაა შეზღუდული და ამ ძალაუფლებაში რაიმე სახით ხალხის მონაწილეობა ნაგულისხმები არ არის“.<sup>3</sup>

პირველი რაც მოეთხოვება ადამიანს ცათა სასუფლევლის დასამკვიდრებლად, არის ღმრთის ნების უპირობო მორჩილება. ჭეშმარიტი თეოკრატიის გზაზე ადამიანის ღმერთთან შინაგანი ერთობისთვის სამი საფეხურის დაძლევაა აუცილებელი, ესენია: ხელისუფლების მორჩილება, ავტორიტეტის აღიარება და საღმრთო საქმეში მონაწილეობა“.<sup>4</sup> არსებობს რა საზოგადოებისა და სახელმწიფოს გვერდიგვერდ, ეკლესიას არ შეუძლია მათგან განყენებულად ყოფნა, პირიქით, იგი უნდა ზემოქმედებდეს მათზე თავისი სულიერებით. სახელმწიფოცა და საზოგადოებაც მუდმივად უნდა მიეახლოს თანხმობისა და სიყვარულის საშეინებს. საერო საზოგადოებაზე სწორედ ასეთი ზემოქმედებისთვის არსებობს საეკლესიო იერარქია. მისი დანიშნულებაა „საკუთარი გავლენითა და ავტორიტეტით“ ემსახუროს ადამიანთა საზო-

1 Соловьёв В. С. История и будущность теократии /Соловьёв В. С. Собрание сочинений в 8-тт. – СПб., Б. г.Т. 4-С. 567.

2 См.: Трубецкой Евг. Мироносицание Вл. Соловьёва. В 2-х т. – М: Путь, 1912 . Т.1 – С. 549.

3 Владимир Соловьев О Христианском единстве изд. Жизнь с Богом. Брюсель 1967 ст. 175.

4 Соловьёв В. С. История и будущность теократии // Соловьёв В. С. Собрание сочинений в 8-тт. – СПб., Б. г.Т. 4. – С.303.

გადოების სულიერ განახლებას; ეკლესიისთვის დამახასიათებელი სიყვარულის საწყისი სამოქალაქო და სახელმწიფო საქმეებშიც უნდა ხორციელდებოდეს; არა მხოლოდ სიტყვითა და ლოცვით, არამედ საქმითაც იზრუნოს იმაზე, რომ ცათა სა-სუფეველი არა მარტო ზეცაში, არამედ დედამიწაზეც მკვიდრობდეს“.<sup>1</sup>

ეკლესიაში თავისუფლებისა და ერთობის საწყისები მჭიდროდაა ერთმანეთ-თან დაკავშირებული. რაც მეტია მასში თავისუფლება, რაც უფრო მეტიოდ წარ-მოაჩენს მისი ყოველი წევრი საკუთარ თავისებურებას, მით მეტი და, შესაბამისად, უფრო ძლიერია კავშირი ქრისტეს სხეულის ყოველ წევრს შორის. ისინი ერთიმეო-რესთან ორგანულად არიან დაკავშირებულნი. ასეთ ერთობას ვ. სოლოვიოვი ზე-ობრივი სრულყოფილების ერთობას უწოდებს. ეს ერთობა კი არ გამორიცხავს, არა-მედ განსაზღვრავს როგორც იერარქიული ავტორიტეტის მორჩილებას, ასევე, ეკ-ლესიური ცხოვრების მრავალფეროვნებაში მრავალთა ქმედით მონაწილეობას.

ზემოთ თქმულის ანალიზის საფუძველზე მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: აუცილებელია იერარქიული წების სრულიად გააზრებული მორჩილება. სიტყვაშეთანხმება „თავისუფალი მორჩილება“, ფაქტობრივად, გვევლინება სხვა სიტყვათშეთანხმების „გააზრებული მორჩილების“ მნიშვნელობით, ხოლო თავი-სუფლება, როგორც ასეთი, ვ. სოლოვიოვისთვის მხოლოდ ფიქციაა, რომლის მეშვე-ობითაც საკუთარ რეაქციულ ოპუსებს იგი დემოკრატიულობის იერს სძენს.

ამქვეყნიური კაცობრიობა საკუთარ შინაგან ცხოვრებაში ერთიანობის აღმო-საჩენად და განსავითარებლად საჭიროებს გარეშე სოციალურ ორგანიზმს, რომე-ლიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს და წარმართავს მის განვითარებას. ამ პროცესის სამართავად იქმნება სწორედ სოციალური ორგანიზაცია – ეკლესია, თავისი წარ-მოშობით ღმრთაებრივი, ხოლო დანიშნულებით კი ადამიანური. იმისათვის, რომ სა-ზოგადოებრივი ცხოვრება მივმართოთ ღმრთაებრივი მიზნისაკენ, „აუცილებელია, რომ ეკლესიაში იყოს მსოფლიო საღმრთო ავტორიტეტით აღჭურვილი მმართვე-ლობა“.<sup>2</sup> ეს მმართველობა, ვ. სოლოვიოვის მიხედვით, უნდა იყოს განსაზღვრული და ცხადი, მუდმივი და მზარდი, საღმრთო და ადამიანური. ეკლესიის უმაღლესმა ძალაუფლებამ ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს თავისი მონარქიული ხასიათი. ამის საწინააღმდეგო მოქმედება ცოდვით დაცემას გამოიწვევს–აქედან გამომდინარე-ობს მონარქიის პატივისცემა და დემოკრატიის, როგორც საზოგადოებრივი მმარ-თველობის, მიუღებლობა. ვ. სოლოვიოვის სიტყვებით, ქრისტე წინასწარ ჭვრეტდა მონარქიის აუცილებლობას და ეკლესიაში ერთ მოციქულს მიანიჭა განუყოფელი ძა-ლაუფლება. ეს მმართველობის ერთადერთი სახეა, რომელიც შეესაბამება ღმრთის დიდებულებას და შესაძლებელს ხდის ყოვლის ერთიანობის განხორციელებას.

ვ. სოლოვიოვის ნაშრომების მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ მისი საყოველთაო თეოკრატია აღქმული იყო, როგორც გრანდიოზული და, ამავე დროს, არცთუ წარმატებული უტოპია. XIX ს. 80-იანი წლების ვ. სოლოვიოვის ნაშ-

1 Владимири Соловьев, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат О духовной власти в России ст. 1. ст. 661.

2 Владимири Соловьев, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1. Россия и вселенская Церковь. ст.1291.

რომების ანალიზს ტრუბეცკოიმ სწორედ ასე უწოდა – „უტოპიური პერიოდი“. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სწორედ ეს პერიოდია გაუღენთილი არა მხოლოდ სხვადასხვაგვარი რევოლუციური იდეებით, არამედ, უპირველესად, უთვალავი უტოპიური კონცეფციით, რომელთა უმრავლესობაც ბევრს სრულიად განხორციელებად საქმედ მიაჩნდა.<sup>1</sup> იგივე ე. ტრუბეცკოი წერდა: „სოლოვიოვის სწავლება ჩაისახა გასული საუკუნის მეორე ნახევრის უტოპიური სულისკვეთების იდეებით გამსჭვალულ ატმოსფეროში; გასაკვირია, რომ ჩვენც იმავე ატმოსფეროში დავიბადეთ და ერთხანს ჩვენს ნარმოდგენებსაც ეუფლებოდნენ სოციალური რეფორმირების, ნაციონალური მესიანობის, სამყაროს ამქვეყნიურადვე ფერისცვალების უტოპიები, მაგრამ ყველაფერმა ამან მხოლოდ სოლოვიოვზე იმოქმედა განსაკუთრებული ძალით და მისი აზროვნება ჩანასახშივე „ვარდისფრად“ შეღება“.<sup>2</sup>

ვ. სოლოვიოვის თეოკრატიული უტოპია გაცილებით უკეთ იყო მიღებული დასავლეთში, ვიდრე მის სამშობლოში. ალბათ ეს ერთგვარი ხარჯი იყო იმის სანაცვლოდ, რომ ავტორი ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კათოლიციზმს, როგორც უფრო სრულყოფილ ქრისტიანობას. როგორც ე. ტრუბეცკოი ამბობს, სოლოვიოვის მიერ შემოთავაზებული სამი პიროვნება: წინასარმეტყველისა, მეფისა და მღვდელმთავრისა, „საუკეთესო შემთხვევაში, სერიოზულადაც კი არ აღიქმება ან დიდი მოაზროვნის მიერ გონების გასართობად მოგონილ რამედ მიიჩნეოდა“.<sup>3</sup> საყოველთაო თეოკრატიის იდეაში იგი გამოყოფს როგორც დადებით ელემენტებს, რომლებიც ჯერ არ არის ბოლომდე შეფასებული, ისე მცდარ დებულებებსაც. პირველი, ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, ამბობს ე. ტრუბეცკოი, ეს არის თეოკრატიის იდეის არასაკმარისი სიცხადე და კონკრეტულობა. ვ. სოლოვიოვის სხვადასხვა ნაშრომში იგი ყოველთვის ერთნაირად არ არის განმარტებული. ერთი მხრივ, თეოკრატია მისთვის ადამიანისა და ღმერთის თავისუფალი კავშირია. ეს, მინიერისა და ზეციურის გაერთიანება, ადამიანური ცხოვრების საბოლოო მიზნადაა დასახული. მეორე მხრივ, მის ნაშრომებში თეოკრატია წარმოდგენილია, როგორც ეკლესიურ-სახელმწიფოებრივი წესწყობილება, როგორც ეკლესიური და მონარქიული ძალაუფლებების გაერთიანება. სახელმწიფო, თავისი არსით, ძალაუფლების მქონე ორგანიზაციაა, რომელშიც ძალდატანებაც, ძალადობაც მოიაზრება, მაშასადამე, ამ გარემოების გათვალისწინებით, ვერ განხორციელდება თეოკრატიის მთავარი პრინციპი – თავისუფალება. ვ. სოლოვიოვის მსჯელობას თუ მივყვებით, საზოგადოების ორგანიზების ასეთ ფორმას არ შეიძლება პქონდეს უპირობო, მარადიული ხასიათი, ის მხოლოდ მინიერი, ამქვეყნიური მნიშვნელობის იქნება. ფაქტობრივად კი, შენიშვნავს ტრუბეცკოი, სოლოვიოვის მოძღვრება თეოკრატიაზე შესამჩნევად ეკლექტურია.

კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ე. ტრუბეცკოი შეეხება, არ არის გადაწყვეტილი ვ. სოლოვიოვის ნაშრომებში. რამდენადაა ვ. სოლო-

1 Кантор В. К. Вл. Соловьев: имперские проблемы всемирной теократии // Вопросы философии. – 2004. № 4.С.38.

2 Трубецкой Е. Н. Мироизречение Вл. Соловьёва. В 2-х тт. – М: Путь, 1912. Т.1. – С. 8-9.

3 იქვე, გვ. 489.

ვიოვის თეოკრატია თავისუფალი? თუკი მის თეოკრატიას განვიხილავთ, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს, მაშინ რა ქნან სხვა სარწმუნოების ხალხებმა? თუ ეს იქნება ნაძალადევი ერთობა, თუნდაც მათ სასიკეთოდ, როგორც ამას სოლოვიოვი ამბობდა? იგი აღიარებდა, რომ სახელმწიფოს მიერ ერეტიკოსებისადმი განხორციელებული ესა თუ ის სადამსჯელო მოქმედება დასაშვებად ან დაუშვებლად იქნება მიჩნეული მიზნის გათვალისწინებით. მაგრამ ასეთი მიდგომისას შეიძლება ამ სახელმწიფოში თავისუფლებაზე ვილაპარაკოთ? თავის თეოკრატიაში ფილოსოფოსი საკმარის ყურადღებას არ უთმობს ცალკეული პიროვნების როლს. მის მიერ აქცენტირებულია მმართველი სახელისუფლებო შტოების, სამეფო და სამღვდელოების, ურთიერთშეთანხმებული მოქმედება. მოითხოვს რა სამეფო ხელისუფლებისა და პაპის სულიერი ავტორიტეტის მორჩილებას, იგი ამავე დროს ხაზს უსვამს, რომ ეს მორჩილება ზნეობრივ ხასიათს უნდა ატარებდეს. ასეთ შემთხვევაში რითი იქნება ასეთი სახელმწიფო განსხვავებული სხვა სახელმწიფოებისაგან, სადაც, ფაქტობრივად, აღიარებულია მმართველის ზნეობრივი ვალდებულება, იმოქმედოს სინდისიერად? ისეთი თეოკრატია, სადაც ზნეობრივი ვალდებულება დამოკიდებულია მხოლოდ მეფის კეთილ ნებასა და პიროვნულ თვისებებზე (სინდისზე), უკვე აღარ არის თავისუფალი თეოკრატია<sup>1</sup> – აღნიშნავს ე. ტრუბეცკოი, ამას გარდა, იგი თავის თეორიაში არ მოიაზრებს მონარქის ძალაუფლების შეზღუდვას ხალხის მიერ და ასეთ ქმედებას აფასებს ანტიქრისტიანობისა და ანტირელიგიურობის საწყისების გამოვლინებად. ამიტომაც, ასკვნის ე. ტრუბეცკოი, ვ. სოლოვიოვის „თავისუფალი თეოკრატია“ ისეთივე აბსურდია, როგორც „მრგვალი კვადრატი“ ან „ხის რკინა“<sup>2</sup>.

ვაჯამებთ რა კვლევის ამ ნაწილს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვ. სოლოვიოვის თეოკრატიული იდეალი საკმაოდ ეკლექტური ხასიათისაა და წარმოადგენს ხელისუფლების სამგვამოვანი დაყოფის: ყოვლის ერთიანობის იდეის (რომელშიც სასულიერო ხელისუფლების უპირატესობაა აღიარებული), მონარქიზმის, მისტიციზმისა და XIX ს. 80-იანი წლებისათვის დამახასიათებელი სხვა მცდარი შეხედულებების ერთგვარ ინტეგრაციას. ამასთანავე, არავითარი მკაფიო სისტემა ვ. სოლოვიოვის ნააზრევში არ შეიმჩნევა. მის მიერ გამოყენებული ყველა ტერმინი, როგორებიცაა ეკლესია, ყოვლის ერთიანობა, თავისუფალი მორჩილება, საყოველთაო თეოკრატია, თავად ავტორის ნაშრომებშიც კი საკმარისად მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. სათქმელისა და იმ ვითარების გათვალისწინებით, თუ რის დასაბუთებას ცდილობს იგი, ყველა ამ ტერმინს სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. ასე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფილოსოფოსის მსოფლმხედველობა რელიგიურ-მონარქისტულია, მისი იდეები უტოპიურია და შეფერილია ფილოსოფიური მსჯელობებით შინაგან თავისუფლებასა და ნებაყოფლობით სრულყოფილებაზე.

მიუხედავად ყველა ხარვეზისა და უტოპიურობისა, ვ. სოლოვიოვის თეოკრატია შეიძლება განვიხილოთ, როგორც საზოგადოების ნინაშე არსებული პრობ-

1 იТрубецкой Е. Н. Мироусперцание Вл. Соловьёва. В 2-х тт. – М: Путъ, 1912. Т.1. – С. 471.

2 იქვე, გვ. 469.

ლემების გადაწყვეტის თუმცა კი საკმაოდ არაწარმატებული, მაგრამ მაინც ერთი მნიშვნელოვანი მცდელობა. თეოკრატიული მოწყობის მისეული მოდელი – ესაა თავისუფალი შეერთება (სულიერისა და ყოფითის) ღმერთისა და ადამიანისა. იგი განსხვავდება არსებული თეოკრატიული შეხედულებისაგან, რომლებიც განიხილებოდა, როგორც მხოლოდ მართველობითი ფორმა, სადაც სახელმწიფოს მმართველი ამავე დროს მისი რელიგიური ღიდური ცალიერდა.

ვ. სოლოვიოვს თეოკრატია წარმოედგინა, როგორც განუყოფელი ერთიანობა სამღვდელო, სამეფო და წინასწარმეტყველის ხელისუფლებისა. სადაც რელიგიურ-ზნეობრივი ნორმები უპირატეს მდგომარეობაშია ჩაყენებული, მას უნდა ემორჩილებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. მისი შეხედულებით, თეოკრატიულია სახელმწიფო, რომელიც ცდილობს, ცხოვრებაში განახორციელოს რელიგიური იდეალები, თანატოლად აღიარებს საეკლესიო და საერო კანონებს.

ეკლესიას, ვ. სოლოვიოვის აზრით, განსაკუთრებული როლი უჭირავს რელიგიური იდეალების მიღწევაში. იგი მას განიხილავს, უპირველეს ყოვლისა, როგორც სოციალურ ინსტიტუტს. ამასთანავე აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა ზედმეტად მინიერს ხდის მას და მიჰყავს სულიერების დაცემამდე. ეკლესია კი არ უნდა იცვლებოდეს საერო ცხოვრების მოთხოვნების კვალდაკვალ, არამედ, ყოფითი სინამდვილე ვალდებულია, შეიცვალოს და მიჰყვეს ეკლესიას, როგორც კაცობრიობის ზნეობის მაორგანიზებელ ინსტიტუტს. სახელმწიფო ძალაუფლება, აღიარებს რა ქრისტიანული რელიგიის ავტორიტეტს, უკვე აღარაა თავნებობისა და ძალადობის იარაღი. იგი გასულიერებულია ზნეობრივი და რელიგიური პრინციპებით და ეკლესიის სამსახურში დგას. ეკლესია და სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს ერთმანეთს საჯუთარი ვალდებულებების აღსრულებაში და, ამავე დროს, არ აუქმებდეს თითოეულის დამოუკიდებლობას საკუთარ ავტონომიურ სფეროში.

დღეს თანამედროვე რუსეთი ეკლესიისა და სახელმწიფო ურთიერთობების ახალი გზების ძიების წინაშე დგას. როგორი იქნება ეს გზა, დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნება გათვალისწინებული განვლილი ურთიერთობების სულიერი და ზნეობრივი გამოცდილება. დღევანდელი საეკლესიო ხელისუფლება ეთანხმება ვ. სოლოვიოვის უძირითადეს იდებს, რომ ეკლესის გავლენა სახელმწიფოზე უნდა ხორციელდებოდეს არა პოლიტიკური გზებით, არამედ ადამიანის სულებზე ზემოქმედებით. თუმცა, რა რეალობასთან გვაქვს საქმე, ამაზე შესაბამის თავში გვექნება საუბარი.

დასკვნის სახით ასევე შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნეში აქტუალურად ჟღერს სოლოვიოვის ძირითადი თეზისი: „როცა განმანათლებლური სეკულარიზმის იდეალი ევროპაში სრულ გამარჯვებას და აყვავებას მიაღწევს, მაშინ დარწმუნდებიან, რომ სეკულარულ საფუძველზე შეუძლებელია საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა“. აუცილებელი გახდება კვლავ რელიგიისკენ მიბრუნება. ცნობილია, რომ დღეს მრავალი მეცნიერი პოსტსეკულარულ საზოგადოებაზე ლაპარაკობს, რომლის პერსპექტივებშიც აუცილებელი სახით იკვეთება მეცნიერების, ეკონომიკისა და სულიერი საწყისების ერთგვარი ჰარმონიზების იდეა.

რაც შეეხება საბოლოო შემაჯამებელ სიტყვას – არის თუა არა სოლოვიოვის „თავისუფალი თეოკრატიის“ პროექტი უტოპიზმის ერთ-ერთი გამოხატულება და, ამდენად, რუსული კომუნიზმის პრელუდია, ამ კითხვაზე პასუხისმომსმა, ჯერ ერთი, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ სოლოვიოვისთვის კარგადაა ცნობილი ის ტრაგედია, რომელიც კაცობრიობას უტოპიურმა თეორიებმა მოუტანეს. ასევე ისიც, რომ თეოკრატია არის ახალი ალთქმის რელიგიის გადაგვარება „იუდაისტური თეოკრატიის ხაზით“ და ეს არის ერთ-ერთი ერესი. მოგვიანებით სიმეონ ფრან-კება თავის ცნობილ ნარკვევში „უტოპიზმის ერესი“ საინტერესოდ გამოიკვლია ეს საკითხი. იგი წერს: „ჩვენ მოგვიწევს იმის აღიარება, რომ ისტორიის ოპტიმისტური სოლოვიოვისული ინტერპრეტაცია, უდავოდ, არის ერესის გამოვლინება სწორედ იმ სახით, რა სახითაც ნარმოჩნდება ხოლმე ერესი, როცა ის თავის თავში მოიცავს ჭემმარიტების მხოლოდ ერთ რომელიმე ნაწილს, მაგრამ გამოაცალკევებს, „ამოგ-ლეჯს“ მას ერთიანი ქრისტიანული თეოლოგიდან“.<sup>1</sup> ამავე დროს მკვლევრები ბევრ შინაგან წინააღმდეგობას ხედავენ სოლოვიოვის მოძღვრებაში, რასაც ისინი „თავისუფალი თეოკრატიის“ პარადოქსებს უწოდებენ და ერთხანს პატიობდნენ მის დიდ ნიჭს. ს. ფრანკისავე აზრით, „ერესის უტოპიზმის“ არსი გამოხატულია იოანე მახარებლის სიტყვების თვითნებურ გაგებაში – „ნათელი ბნელში ნათობს და ბნელმა იგი ვერ მოიცავა“ (იოანე 1;5). უტოპიზმი ამ ფორმულიდან ირჩევს მხოლოდ ერთ, ოპტიმისტურ ნაწილს და მხედველობიდან ეკარგება ბოროტების რეალური საფრთხე. უტოპიზმი – სიკეთის აბსოლუტიზებას, ხოლო ბოროტების რელატივიზებას ახდენს და, ამგვარად (eo ipso), ერესად გვევლინება. არადა, მახარებლის სიტყვების მართებული გაგებით, სიკეთე და ბოროტება მანამ იქნება, სანამ არის სამყარო, და მათი შექიდება დრამატულია. ბოროტებას ამქვეყნად ვერ გააქრობს ვერავითარი ადამიანური ძალა, სწორედ ამის აღიარება არ სურს გნოსტიკურ უტოპიზმს. სოლოვიოვის თავისუფალი თეოკრატია ცდილობს, ძალით, პოლიტიკური და საზოგადოებრივი სტრატეგიით გაანადგუროს მეტაფიზიკური ბოროტება.

თანამედროვე დასავლელი ავტორები ხშირად მიმართავენ ანალოგიებს დოსტოევსკის შეხედულებებთან, რელიგიურ და მხატვრულ მრნამსთან. ცნობილია, რომ დოსტოევსკის და სოლოვიოვს აკავშირებდა ღრმა პიროვნული და შემოქმედებითი მეგობრობა, რომელიც აქტიურ გამოძახილს პოულობს როგორც დოსტოევსკის რომანებში, ესეებსა და ნარკვევებში, ასევე სოლოვიოვის ფუნდამენტურ ნაშრომებში. სოლოვიოვისთვის თეოკრატიული იდეალია „უნივერსალური ეკლესია“. რა არის ეს „უნივერსალური ეკლესია“? ყოფიერების ტაძრულობა<sup>2</sup>, არსებულთა ყოვლადმთლიანობის ჰარმონია, მათი „სობორნოსტი“. როგორც დოსტოევსკი ამბობდა, „მე იმ უსასრულო მოლოდინზე ვლაპარაკობ, რომელიც რუს ხალხს ყოველთვის ჰქონდა – ქრისტეს სახელით გაერთიანებული დიდი, სამყაროს საკმარი ძმური კავშირის მოლოდინი. და თუ ეს კავშირი ჯერ არ არსებობს, თუ ეს ეკლესია ჯერ სრულად არ შექმნილა და მხოლოდ ლოცვებში არსებობს და არა სინამდვილეში, მისი თანაგრძნობა და წყურვილი მილიონობით ჩვენი ადამიანის გულებში ცოცხლობს.

1 Ян Красицкий Бог, чоловек и зло, раздел III, Ересь утопизма стр. 239.

ეს არც კომუნიზმია და არც ის მექანიკური ფორმები, რომლითაც რუსი ხალხის სოციალიზმი წარმოგვიდგა: ხალხს სჯერა, რომ ხსნა მთელი მსოფლიოს ქრისტეს სახელით გაერთიანებაში იქნება<sup>1</sup>.<sup>1</sup> ეს არის იდეალი<sup>1</sup>, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, რომელიც მხოლოდ მიზანი და საბოლოო ამოცანაა, რომლის ჩამოყალიბებაც დედამინაზე შესაძლებელია, სოლოვიოვის არსებითი შენიშვნით, „**შუკი მას დედამინა დაიტევს**“.

სოლოვიოვი შეპყრობილია „თავისუფალი თეოკრატიის“ იდეით და ყოველ-მხრივ და ყოველი ძალით ეძებს გზებს მისი განხორციელებისთვის. იგი მოგზაურობდა პარიზში, რათა იქ გაეცხადებინა „რუსული იდეის“ შესახებ. მისი წარმოდგენით, „რუსულ იდეას“ არ აქვს ნაციონალური ხასიათი; L’Idee russe არ შეიცავს არა-ფერს პარტიკულარულსა და განსაკუთრებულს; ის, სოლოვიოვის აზრით, მხოლოდ ქრისტიანული იდეის ახალი ასპექტის წარმომჩენია, რაც, თავის მხრივ, დედამინაზე „ჭეშმარიტი ცხოვრების“, ღმერთაცობრიობის იდეალისა და ცათა სასუფევლის განხორციელებას გულისხმობს. თეოკრატია, როგორც პოლიტიკური უტოპია, მიუღებელია, ამდენად, მისი მოძღვრება არ არის იდეალური საზოგადოების პროექტი. სოლოვიოვს აქვს სტატია, პლატონის ცხოვრებისეული ტრაგედია, სადაც ის მიუთითებს, რომ პლატონის ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მას ეგონა, მისი იდეის განხორციელება შესაძლებელი იყო, ეს იდეა ტირანს შესთავაზა და, შედეგად, მეგობრების გადასარჩენი შეიქნა. ამის შემდეგ მან აკადემია დააარსა და მჭვრეტელობას მიეცა. ვ. სოლოვიოვს, ცხადია, არ სურს პლატონის შეცდომის გამეორება, ამდენად, მისი მოძღვრება საზოგადოების რაციონალური პროექტი კი არა, ეგზისტენციალური თავისუფლებისკენ მოწოდებაა. თავისუფლების საფუძველში თავისუფლების არჩევანი დევს, რომელსაც თავის მხრივ განსაზღვრავს ბოროტების თვითმოსპობა. ამდენად, ეს არის არა ეთიკური სოციალიზმი, არამედ ეთიკურის რელიგიური გადალახვა. ამაზე წერდნენ კირკეგორიც და დოსტოევსკიც, მაგრამ მათთან ეს ხორციელდება წმინდა ინტელექტუალურ ასპექტში და არ ჩანს საზოგადოებასთან გაერთიანების გზა. საზოგადოება მხოლოდ ძალაუფლების პროექტია. ამდენად, რელიგიის დაკავშირება საზოგადოებრივ ინსტიტუტთან, იმ მოაზროვნეთა შეხედულებით, აუცილებლად მიიღებს ტოტალიტარული უტოპიის სახეს. ვ. სოლოვიოვმა ეს თავისუფლებისათვის ინდივიდუალური ძალისხმევა დაუკავშირა ყოფიერების უნივერსალურ ტენდენციას, რომელსაც ის სამყაროული სიკეთის იდეას უწოდებდა (იდეა ვსელენსკოგო დობრა).

ჩემი აზრით, რუსული ინტელექტუალური მემკვიდრეობის ერთ-ერთი აღსანიშნავი ასპექტი არის ის, რომ მასში მკაფიოდ არ არის გამიჯნული ფილოსოფია და ლეთისმეტყველება, რადგან ეკლესიის მამები თავს არც ღვთისმეტყველებად მიიჩნევდნენ და არც ფილოსოფოსებად, ან პირიქით, ფილოსოფოსებად და არა ღვთისმეტყველებად. ისინი თვლიდნენ, რომ ღვთისმეტყველება, რაღაც კუთხით, არის კიდეც ქრისტიანული ფილოსოფია. სამომავლოდ, სოლოვიოვის თეოკრატიის იდეის სხვა ასპექტებს სწორედ ამ პრიზმაში განვიხილავ.

1 ორლანდო ფაიჯესი. ნატაშას ცეკვა, რუსული სულის ძიებაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, გვ. 297.

**ლიტერატურა:**

1. ორლანდო ფაიჯესი, ნატაშას ცეკვა, რუსული სულის ძიებაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013.
2. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი. 2005
3. Батурина А. Н. Проблема христианского единства в творчестве Вл. Соловьёва. Диссертация на соиск. уч. степ. канд. фил. наук. – М. 2000.
4. Кантор В. К. Вл. Соловьёв: имперские проблемы всемирной теократии // Вопросы философии. – 2004. № 4.
5. Лосев А. Ф. Вл. Соловьёв и его время. – М.: Молодая гвардия, 2000.
6. Максимов М. В. Историософия Вл. Соловьёва в отечественной и зарубежной философской мысли XX в. Диссертация на соиск. уч. степ. докт. фил. наук. – М., 2001.
7. Салыгин Е. И. Теократическое государство. – М., 1999.
8. Соловьёв В.С. Духовные основы жизни // Соловьёв В. С. Собрание сочинений в 8-тт. – СПб, Б. г. Т. 3
9. Соловьёв В. С. История и будущность теократии // Соловьёв В. С. Собрание сочинений в 8-тт. – СПб., Б. г.Т. 4.
10. Соловьёв В. С. Критика отвлеченных начал//Соловьёв В.С. Собрание сочинений в8-тт.- СПб, Б. г. Т.2
11. Соловьев Владимир, О Христианском единстве изд. Жизнь с Богом. Брюсель 1967
12. Соловьёв В.С. Философские начала цельного знания // Соловьёв В.С. Избранные произведения.Ростов-на-Дону: Феникс,1998.
13. Соловьёв В. С., СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ДВУХ ТОМАХ, ЭЛЕКТРОННОЕ ИЗДАНИЕ Год: 2013 Изд. Самиздат Т. 1.
14. Трубецкой Е. Н. Мироэзрцание Вл. Соловьёва. В 2-х тт. – М: Путь, 1912. Т.1.
15. Шапошников Л. Е. Философия соборности. Очерки русского самосознания. – СПб., 1996.
16. Ян Красицкий Бог, чуловек и зло, раздел III, Ерес утопизма.
17. Integral Institute <http://www.kenwilber.com/multiplex/list>
18. <http://eroskosmos.org/wilber-maykov-interview/>
19. <http://www.bookslut.com/features/2004-10-003261.php>

### ნოდარ ბელქანია

#### აღმოსავლურსა და დასავლურ ქრისტიანობაში ადამიანის განსხვავებული ადგილის და მისი განსხვავებული გაების წარმოსაჩენად აუცილებელია ზოგიერთი ისტორიული არქეტიპის (10) განხილვა, რომლებიც უძველესი დროიდან ყალიბდებოდა აღმოსავლურსა და დასავლურ კულტურებში და დღეისათვის თითქმის მთლიანად ქვეცნობიერშია გადასული. ისინი თავს იჩენს ადამიანთა მსოფლშეგრძნებაში, მათ შინაგან განწყობასა, ქცევასა და სტერეოტიპებში.

აღმოსავლურსა და დასავლურ ქრისტიანობაში ადამიანის განსხვავებული ადგილის და მისი განსხვავებული გაების წარმოსაჩენად აუცილებელია ზოგიერთი ისტორიული არქეტიპის (10) განხილვა, რომლებიც უძველესი დროიდან ყალიბდებოდა აღმოსავლურსა და დასავლურ კულტურებში და დღეისათვის თითქმის მთლიანად ქვეცნობიერშია გადასული. ისინი თავს იჩენს ადამიანთა მსოფლშეგრძნებაში, მათ შინაგან განწყობასა, ქცევასა და სტერეოტიპებში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თემა მეტად ვრცელია და ის ძნელად ეტევა მოკლე სტატიის ჩარჩოებში. ამიტომ ბევრი რამ აფორისტულად და მინიშნებით იქნება თქმული. ამასთან, ამა თუ იმ თვისების დახასიათებისას ზოგჯერ ვერ ავცდებით ერთგვარ უტრირებას, რათა უფრო გამოიკვეთოს სათქმელი და ადვილი დასანახი გახდეს განსხვავება აღმოსავლელ და დასავლელ ადამიანებში ათასწლეულთა მანძილზე ჩამოყალიბებული არქეტიპული თავისებურებებისა. ეს განსხვავებები, რასაკვირველია, არ უნდა გავიგოთ აბსოლუტური აზრით, როგორც ერთხელ და სამუდამოდ გამყარებული და უცვლელი თვისებები, არამედ, როგორც ისტორიული განვითარების მანძილზე ჩამოყალიბებული თავისებურებანი, რომელთა გაცნობიერება და შეცვლაც შესაძლებელია. სათანადო ნების გამოჩენის შემთხვევაში, აღმოსავლელ და დასავლელ ადამიანებს ამ თავისებურებების ერთმანეთისგან სწავლა და გადმოღებაც შეუძლიათ, თუკი ისინი ამას მიზანშეწონილად ჩათვლიან. მეტიც, ასეთ შემთხვევაში, ეს მათი ვალიცაა, ვინაიდან ამ განსხვავებების მიღმა ათასწლეულების გამოცდილება იმაღლება. არა ეს თავისებურებები ცალ-ცალკე და მათი კონკურენცია, არამედ მხოლოდ მათი ერთიანობა გვაძლევს მთლიანს. დღეს აღმოსავლეთიცა და დასავლეთიც საერთო განსაცდელის წინაშე დგას – თუნდაც გლობალიზაციის პროცესი ან დედამინაზე კლიმატის ცვლილება ამას სულ უფრო ნათელს ხდის და მომავალში ეს კიდევ უფრო აშკარა გახდება. ასეთ დროს საჭიროა არა იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი იყო წარმატებული და რომელი წარუმატებელი ან რომელმა გაიმარჯვა და რომელი დამარცხდა, არამედ ძალისხმევის გაერთიანება იმისათვის, რათა ორივეს მიერ დაგროვილი გამოცდილების გამოყენება მოხდეს და ასე შეიტანონ აღმოსავლეთმაც და დასავლეთმაც თავიანთი წვლილი საერთო კრიზისის დაძლევასა და კაცობრიობის შემდგომ განვითარებაში.

ინგლისელ მწერალ რედიარდ კიპლინგს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლრმა ცოდნამ თავის ცნობილ ბალადაში ათქმევინა შემდეგი სიტყვები: *Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet.* კიპლინგი აღმოსავლეთს ზედ-მიჩევნით კარგად იცნობდა და მკაფიოდ ხედავდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ განსხვავებებს. მისთვის ეს უბრალო განსხვავებები კი არა, არამედ გადაულახავი უფსერული იყო და მისი სიტყვები თავისებური გაფრთხილებაა მათ-თვის, ვინც საერთოდ ვერ ხედავს ამ უდიდეს განსხვავებას ან ვისაც მისი ნიველი-რება სურს. მაგრამ პრობლემას აქვს მეორე მხარეც: ეს განსხვავება კაცობრიობის კულტურას კი არ აკლებს რამეს, არამედ უფრო მდიდარს ხდის მას, ზრდის ადამიანის შესაძლებლობებს, იძლევა იმის გაცნობიერების საშუალებას, რომ ცალ-ცალკე არც აღმოსავლეთია სრულყოფილი და არც დასავლეთი. ერთი მეორის გარეშე ლარიბი იქნებოდა. განხვავების დანახვა აუცილებელი წინა პირობაა განსხვავებულის შესწავლის, დაფასების და გადმოღებისა. ამის ღრმად გაცნობიერება უდევს საფუძვლად გოეთეს სიტყვებს „დასავლურ-აღმოსავლური დივანიდან“:

*Wer sich selbst und andre kennt,  
wird auch hier erkennen:  
Orient und Okzident  
sind nicht mehr zu trennen.*

იმავე სულისკვეთებას გადმოგვცემს და კიდევ უფრო აფართოებს წრეს მისივე ოთხსატრიქონედი:

*Gottes ist der Orient!  
Gottes ist der Okzident!  
Nord- und südliches Gelände  
Ruh im Frieden seiner Hände.*

აღმოსავლეთს და დასავლეთს სჭირდებათ ერთმანეთი, ვინაიდან ცალ-ცალკე ირივეს რაღაც აკლია. ერთად კი ისინი ერთმანეთს ავსებენ. ისინი მხოლოდ ერთად თუ გაიკვლევენ ფათერაკებით აღსავსე გზას და გადალახავენ მომავალ სიძნელებს. აღმოსავლეთის და დასავლეთის კონფრონტაცია ნაყოფიერი ვერ იქნება. თითოეული მათგანის იმ ცალმხრივობებს თუ გავითვალისწინებთ, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მათთვის სწორი სტრატეგია მხოლოდ თანამშრომლობაა ისევე, როგორც ბრმასა და კოჭლს შორის ერთ ჩინურ იგავში, რომელიც შემდეგ ერნსტ ბარლახმა თავის ცნობილ რელიეფში გადმოსცა, სადაც ბრმა და კოჭლი იმით უშველიან თავს, რომ ბრმა კოჭლს შეისვამს მხრებზე და ასე გაექცევა ორივე სასტიკ მტერს, მაშინ როდესაც ცალ-ცალკე ისინი ამას ვერ შეძლებდნენ. ასევე შეუძლიათ აღმოსავლეთს და დასავლეთს ერთმანეთი შეისვან მხრებზე და ერთად გადაწყვიტონ საერთო პრობლემები, რომელთაც ცალ-ცალკე ვერ გაუმკლავდებიან.

როდესაც წინამდებარე წერილში ჩვენ ერთმანეთს ვუდარებთ და ვახასიათებთ აღმოსავლელ და დასავლელ ადამიანს, სწორედ ზემოთქმულიდან ამოვდივართ. ისინი ერთად ქმნიან მთლიანს და არა ცალ-ცალკე. ამიტომ ვერიდებით შეფასებით მსჯელობებს, თუმცა ზოგჯერ მათი თავიდან აცილება, შესაძლოა, ვერ მოვახერხეთ.

ეს არ არის ადვილი, ვინაიდან სადაც განვითარებაა, იქ უთანაბრობაც იჩენს თავს. აქ ისტორია თამამი ექსპერიმენტატორია, მაგრამ ამავე დროს კარგი მასწავლებელიც. ზოგ შემთხვევაში ერთი თვისება უფრო ვითარდება, ზოგში კი – სხვა. ყველაგან ყველაფრის და სრულყოფილად განვითარება ბუნებაში არ არსებობს. ერთი თვისების განვითარება ზოგჯერ სხვა თვისებაზე დროებით უარის თქმას ნიშნავს, რათა მომდევნო ეტაპზე ამ დანაკლისის შევსებაც მოხდეს. ისტორიის დღევანდელ ეტაპზე ეს შევსება მხოლოდ ადამიანის ცნობიერი ძალისხმევითაა შესაძლებელი, ვინაიდან მხოლოდ მასზეა დამოკიდებული განვითარების ზიგზაგების გასწორებაც და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დარღვეული წონასწორობის აღდგენაც. ეს ისტორიის და მომავლის წინაშე თანამედროვე ადამიანის პასუხისმგებლობაა.

## **აღმოსავლეთი და დასავლეთი**

ისტორიულად ცივილიზაცია აღმოსავლეთში აღმოცენდა და ის გეოგრაფიულად ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ვრცელდებოდა და, თანდათანობით, კოლექტივისტურიდან სულ უფრო ინდივიდუალისტური ხდებოდა. ჰეგელის თქმით (9), თუ აღმოსავლეთში ერთი ადამიანი იყო თავისუფალი, საპერძნეობი და რომში რამდენიმე ადამიანი გახდა თავისუფალი, ქრისტიანულ ევროპაში კი გააცნობიერეს, რომ თავისუფალი თავად ადამიანია, როგორც ასეთი, ანუ ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ადამიანი სუვერენული პიროვნება, ინდივიდი გახდა. დღეს-დღეობით ინდივიდუალიზმის განვითარებამ ევროპასა და ამერიკაში ერთგვარ კულტინაციას მიაღწია. ჩრდილო-დასავლეთისკენ ეს მოძრაობა, ამავე დროს, ღვთა-ებრივ-რელიგიური ცნობიერებიდან თანდათან ამქვეყნიურ პრაგმატულ-მატერიალისტურ ცნობიერებაზე გადასვლის დროში განელილ საფეხურებადაც შეიძლება განვიხილოთ, რამაც უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში – ამერიკაში – დღეისათვის თითქოს თავის მწვერვალს მიაღწია. ეს პროცესი, რომელიც თავდაპირველად ძალზე ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიჩვდა წინ, ახალი დროის შემდეგ განსაკუთრებით დაჩქარდა, დღეს კი თავბრუდამხვევი ტემპით მიმდინარეობს.

რელიგიის და სულიერების სფეროში მასწავლებელი აღმოსავლეთია. ადრე ამას ასე განიცდიდნენ: სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის – *ex oriente lux*. აღმოსავლეთი ყოველთვის გამოირჩეოდა ღვთაებრივისკენ მისწრაფებით, მისთვის უფრო დამახასიათებელი იყო ღვთაებრივის, სულიერის წვდომა. შემთხვევითი არაა, რომ ყველა მსოფლიო რელიგიის სამშობლო სწორედ აღმოსავლეთია. ამავე დროს, მისი კულტურა ერთობაზე ორიენტირებული, კოლექტივისტური იყო და არსებითად უგულებელყოფდა ინდივიდუალურ, პიროვნულ ასპექტს (11). კულტურის ცნობილი მკვლევარი ჟ. გებზერი აზიას ასე ახასიათებს: *ჩვენ მეს გარეშე (Das wir ohne ich)* (8). დასავლეთს კი უფრო ახასიათებდა ადამიანურის, პიროვნულის წინა პლანზე წამოწევა, მიწიერ-მატერიალურისკენ მისწრაფება და ინდივიდუალიზმი. დასავლეთის საფრთხეს, ჟან გებზერის ანალოგიით, შეგვიძლია ვუწოდოთ მე ჩვენ გარეშე. ეს საფრთხე თან ახლავს ყოველ ინდივიდუალისტურ კულტურას. ორივე უნარი აუცილებელია. შესაბამისად, ორივესთვის სასურველი იდეალი უნდა იყოს მექანიკა

შექმნილი ჩვენ, ანუ ინდივიდუალური პიროვნებებზე დამყარებული და არა კოლექტი-ვისტური ერთობა.

სამოქალაქო სამართლის სამშობლო დასავლეთია და მან უკვე ძველ რომში მიაღწია საოცარ სრულყოფილებას. თუმცა ის მხოლოდ რომაელი მოქალაქის პრი-ვილეგია იყო და არარომატულზე არ ვრცელდებოდა. შუა საუკუნეების ცნობილი *Magna Charta*- დან მოკიდებული, ადამიანის, პიროვნების პატივისცემამ ევროპულ სამო-ქალაქო სამართალში მყარი ადგილი დაიმკვიდრა. XX საუკუნეში ამ პატივისცემის მნვერვალი იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. აღმოსავლეთში კი სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა სათანადო დონეზე დაცვა დღემდე მი-უღწეველია, თუმცა ქალალდზე და სიტყვიერად ბევრი აღმოსავლური ქვეყანა აღია-რებს ამ უფლებებს და ამ დოკუმენტის ხელმომწერთა შორისაცაა.

მაქს ვებერის მიხედვით, დასავლეთში მმართველობის ფორმები განვითარდა ქარიზმულიდან ტრადიციულის გავლით ბიუროკრატიულ მმართველობამდე (15), აღმოსავლეთში კი ყოველთვის დომინირებდა და დღესაც გადამწყვეტია ქარიზ-მული ელემენტები მმართველებსა და მმართველობაში, რაც ხშირად ტოტალიტა-რული ან ავტორიტარული მმართველობის საფუძველი ხდება. ამის მიზეზი ისიცაა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც წინ აღუდგებოდა და გააწინასწორებდა ავტორიტარულ მმართველობას ან ძირშივე შეუძლებელს გახდიდა მას.

დემოკრატია იმით განსხვავდება მმართველობის სხვა ფორმებისგან, რომ აქ ძალაუფლება ქვემოდან იღებს სათავეს, ის მოქალაქეებიდან იწყება და აქედან გა-დაეცემა ზედა, მმართველ სტრუქტურებს. ამ სახით ის უფრო მეტად დასავლეთშია რეალიზებული. აღმოსავლეთში კი ძალაუფლება და ყოველგვარი ინიციატივა დღე-საც ზევიდან მოდის, ისევე როგორც ადრეულ ეპოქებში ყოველი ინსპირაცია ზემო-დან, ღვთაებრივიდან მოდიოდა და, ძალაუფლებაც იქიდან იღებდა ლეგიტიმაციას. თუმცა დღეისათვის ეს ზევიდან ქვევით მოძრაობა ანაქრონიზმია და დეკადენტულ ხასიათს ატარებს. აღმოსავლეთის ქვეყნებში ქვედა რგოლებიდან წამოსულ ინიცი-ატივებს ყოველთვის უნდობლობით ეკიდებიან მმართველი წრეები და მას, როგორც წესი, არ იღებენ. აღმოსავლეთის ქრისტიანულ (და არაქრისტიანულ) ქვეყნებში სა-მოქალაქო საზოგადოება, როგორც ძალაუფლების ნამდვილი წყარო, მხოლოდ ჩა-მოყალიბების საწყის სტადიამია და დიდი სიძნელეებით მიმდინარეობს.

აღმოსავლეთში უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული აღდგომაა, რომელ-შიც ღმერთის მიერ სიკვდილის დაძლევა, სულის მიერ მატერიაზე გამარჯვებაა გა-მოხატული, დასავლეთში კი შობის დღესასწაულია კულმინაცია, ანუ ყრმა იესოს – ღვთაებრივი პოტენციის მატარებელი ადამიანის – დაბადება. აღდგომის დღე-სასწაულზე ქრისტიანულ აღმოსავლეთში, საბჭოთა პერიოდშიც კი, ათიათასობით ადამიანი იკრიბებოდა ეკლესიებთან მოსკოვსა თუ თბილისში და მათ უპირისპირ-დებოდნენპოლიციის მრავალრიცხოვანი რაზმები, რომლებიც ცდილობდნენ, ეკ-ლესიებში არ შეეშვათ ადამიანები. შობაზე ეს ასე არ ხდებოდა და ეკლესიაში წამ-სვლელთა რაოდენობაც ბევრად უფრო ნაკლები იყო. დასავლეთში აღდგომა არ აღიქმება საყოველთაო რელიგიურ დღესასწაულად, შობა კი მართლაც საყოველ-

თაო დღესასწაულია და ჭეშმარიტ რელიგიურ ატმოსფეროს ქმნის. ოდნავ უტრირებას თუ მოვახდენთ, შეიძლება ვთქვათ, რომ აღდგომის ღრმად განცდა უფრო აღმოსავლეთშია შესაძლებელი, ხოლო შობისა – უფრო დასავლეთში.

ზემოთქმულიდან გასაგებია, რომ აღმოსავლეთს გამოცდილება ძირითადად სულიერ-კულტურულ სფეროში აქვს დაგროვილი და სულიერება, კულტურა და ხელოვნება უაღრესად მაღალ დონეზე ჰყავს აყვანილი. ამ მხრივ ის დასავლეთის-თვისაც შეიძლება მისაბაძი მაგალითი იყოს. მაგრამ რაც შეეხება სამართლის და ეკონომიკის სფეროს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ აღმოსავლეთი მასწავლებლად ვერ გამოდგება და შეიძლება მხოლოდ დაუმონაფდეს დასავლეთს. ეს ასეცაა სინამდვილეში: დღესდღეობით აღმოსავლეთი დასავლეთისგან სწავლობს საბაზრო ეკონომიკის და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრინციპებს. თუმცა ხშირად ის არაჯანსაღი ფორმით ცდილობს მათ დამკვიდრებას. განსაკუთრებით სავალალოა და კარიკატურას ემსგავსება, როდესაც აღმოსავლეთი დასავლეთის ეპიგონი ხდება კულტურის და სულიერების სფეროში და იქაური მასობრივი კულტურის გადმოღებას ცდილობს. ეს ხელს არანაირად არ უწყობს კულტურათა დიალოგს, რაც ორივე კულტურისთვის ნაყოფიერი და მომგებიანი იქნებოდა, და დასავლური მდარე კულტურის აღმოსავლეთში ნაძალადევი გადმონერგვის ხასიათს ატარებს, რაც გაღიზიანებას და, ზოგჯერ, აგრესიასაც ინვევს აღმოსავლეთში.

საქართველო გეოგრაფიულად აღმოსავლეთს ეკუთვნის, მაგრამ ის დასავლეთის საზღვარზე მდებარეობს და მისწრაფებითაც დასავლეთისკენ მიისწრაფვის.

აღმოსავლეთში სულიერ-რელიგიურ სფეროში ბატონობა ყოველთვის იმდენად მიმზიდველი იყო, რომ მას ისტორიულად მისთვის სპეციფიკური ცდუნება ჩამოყალიბდა, რომელსაც ცეზარეპაპიზმს უწოდებენ, რაც ნიშნავს სახელმწიფოს მეთაურის – იმპერატორის ან მეფის – სახელმწიფოებრივი სფეროს გარდა, ასევე, სულიერ-კულტურული სფეროს გაძლიერების პრეტენზიას. ვინაიდან, აღმოსავლეთის თავისებურების გამო, აქ საერო წინამდლოლზე უფრო დიდი ავტორიტეტი სულიერ წინამდლოლს ჰქონდა. დასავლეთში კი რელიგიურ-სულიერი სფერო იმდენად პოლიტიზებული იყო, რომ გაჩნდა საპირისპირო მიდრეკილება, ანუ პაპოცეზარიზმი, რომელიც სულიერ-რელიგიური წინამდლოლის (მაგ., რომის პაპის) სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარცების პრეტენზიას ნიშნავს. ამაში ჩანს დასავლეთისთვის დამახასიათებლი მიდრეკილება ამქვეყნიური, მიწიერი ძალაუფლებისადმი, ვინაიდან აქ სულიერ წინამდლოლს არ აკმაყოფილებს მხოლოდ სულიერი ლიდერობა და ის ცდილობს, თავისი უფლებამოსილება საერო საქმეებზეც გაავრცელოს.

ცეზარეპაპიზმის მაგალითებს მრავლად იძლეოდა ჯერ ბიზანტიის იმპერია, შემდეგ კი რუსეთი, სადაც იმპერატორმა პეტრე I-მა სინოდის შექმნით გააუქმა მოსკოვის საპატრიარქე და სახელმწიფოს გადასცა საეკლესიო ძალაუფლების სა-დავეებიც. ხოლო პაპოცეზარიზმის არაერთ მაგალითს ვხვდებით შუა საუკუნეების ევროპაში. საკმარისია გავიხსენოთ პაპსა და იმპერატორს შორის ცნობილი კამათი ინვესტიციურის ირგვლივ, რომელიც პაპ გრეგორ VII-სა და იმპერატორ პაინრის IV-სშორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამ დაპირისპირებაში, როგორც ცნობი-

ლია, პაპი გამოვიდა გამარჯვებული, რაც შუა საუკუნეების ისტორიაში იმპერატორის „კანოსაში სვლის“ სახელითაა ცნობილი (13).

## მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა

ქალკედონის მეოთხე საეკლესიო კრების შემდეგ (451 წ.) საქართველოს ეკლესია მონოფიზიტობიდან დიოფიზიტობაზე გადავიდა (1), რითაც მან ქრისტეში ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური – აღიარა, ანუ ქრისტეში დაინახა „ღმერთი სრული და კაცი სრული“. ეს იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი, ვინაიდან, როგორც ზემოთქმულიდანაც გასაგები უნდა იყოს, აღმოსავლეთი თავისი ბუნებით მონოფიზიტურია და ადამიანურ ასპექტს ვერ ხედავს და, შესაბამისად, სათანადოდაც ვერ აფასებს. ამით ქვეყანამ საკუთარ თავს დიდი ამოცანა დაუსახა – კერძოდ, ადამიანური ასპექტისადმი, პიროვნებისადმი პატივისცემა. მაგრამ დიოფიზიტობაში პერ სე გამოხატული ეს პატივისცემა აღმოსავლეთის არც ერთ დიოფიზიტურ ქვეყანაში (4), და მათ შორის საქართველოშიც, დღემდე არ არის რეალიზებული და კვლავაც გამოწვევად რჩება.

საინტერესოა, რომ რუსი ფილოსოფოსი ვლადიმირ სოლოვიოვი კონსტანტინოპოლის დაცემის მთავარ მიზეზად ბიზანტიის იმპერიის ყალბ დიოფიზიტობას მიიჩნევდა (5). მისი სიტყვებით, ბიზანტია დიოფიზიტური იყო და, შესაბამისად, პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული ქრისტეში ადამიანური ასპექტის პატივისცემისა, რაც იმით უნდა გამოხატულიყო, რომ კონკრეტული ადამიანებისთვის ეცათ პატივი, როგორც ქრისტეს უმრნემესი ძმებისთვის. სინამდვილეში ბიზანტიის დიოფიზიტობა ფარისევლობა იყო და მხოლოდ ქალალდზე იყო აღიარებული, კონკრეტული ადამიანები და მათი მოთხოვნები კი უგულებელყოფილი რჩებოდა. ამის გამო ბიზანტია გაორებული იყო და ყალბი და, შესაბამისად, შინაგანად სუსტი. ამიტომაც სამართლიანად დამარცხდა თურქებთან ომში, ვინაიდან თურქები არ იყვნენ გაორებულები, რადგან, როგორც „მონოფიზიტებს“, არ ჰქონდათ ადამიანის პატივისცემის ვალდებულება და შესაბამისადაც ექცეოდნენ ადამიანებს. სოლოვიოვის აზრით, თურქებს, როგორც მონოფიზიტებს, მხოლოდ თავიანთი ღმერთის პატივისცემა ამოძრავებდათ და არა ადამიანების, ბიზანტიიელებს კი, როგორც დიოფიზიტებს, ადამიანებისთვისაც უნდა ეცათ პატივი თავიანთ სახელმწიფოში. ისინი კი ამას არ აკეთებდნენ, უგულებელყოფილები აღებულ ვალდებულებას და, სულიერი წინსვლის ნაცვლად, თვითკმაყოფილებას ეძლეოდნენ, რისთვისაც სამართლიანად დაისაჯნენ. სოლოვიოვის ეს მოთხოვნა აღმოსავლური ქრისტიანობისადმი – ადამიანის პატივისცემა – ბიზანტიის შემდეგაც მიუღწეველი იყო და დღესაც პრობლემაა ქრისტიანულ აღმოსავლეთში.

## დროის განცდა

აღმოსავლეთსა და დასავლეთში განსხვავებულია ასევე დროის განცდა. აღმოსავლეთში დრო შიგნით განიცდება, ის არ არის ობიექტივირებული და ბოლომდე სტრუქტურირებული და ჯერ კიდევ „ყოფისეული“ (E. Fromm) კატეგორიაა (7), და-

სავლეთში კი დრო ობიექტივირებულია, გარეთაა და კარგადაა სტრუქტურირებული. ეს ეხება შინაგან დროსაც, რომელიც იქ ბევრად უფრო დიფერენცირებულად განიცდება, ვიდრე აღმოსავლეთში. გრამატიკაც გვაძლევს ამის მაგალითს: ინგლისურსა და გერმანულში ბევრად უფრო დიფერენცირებულია მაგ., წარსული დროის გრამატიკული ფორმები, ვიდრე ქართულსა ან რუსულში. დასავლეთში დრო „ფლობითი“ (E. Fromm) კატეგორიაა. რასაც ფლობ, რაც გაქვს, იმას უფრო აკონტროლებს კიდეც. ამიტომაც დასავლურ კულტურაში უკეთ აკონტროლებენ დროს. სწორედ ესაა აღმოსავლური არაპუნქტუალობის და დასავლური პუნქტუალობის ფსიქოლოგიური საფუძველი.

პარადოქსი ისაა, რომ დასავლეთში, თუმცა, დრო ფლობითი კატეგორიაა, ანუ იქ ფლობენ დროს, მაგრამ ის იშვიათად „აქვთ“. აქ ხშირად გაიგონებთ: „დრო არ მაქვს“. აღმოსავლეთში კი დროს კი არ ფლობენ, არამედ დროში ცხოვრობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითქმის ყოველთვის აქვთ დრო. სხვა სიტყვებით, აღმოსავლელი უფრო მდიდარია დროით, ვიდრე დასავლელი, მიუხედავად იმისა, რომ დასავლელს „აქვს“ დრო, აღმოსავლელს კი ის არ „აქვს“.

დროის კვლევაში განასხვავებენ „საათის დროს“ და „ხდომილების დროს“ (R. Levine) – იმის მიხედვით, თუ რა არის ადამიანის მოქმედების განმსაზღვრელი – საათი თუ სხვადასხვა ხდომილებები მის ცხოვრებაში. ვინც საათის მიხედვით ცხოვრობს, მისი ცხოვრების ტემპი უფრო სწრაფია, ვიდრე ადამიანისა, რომელიც ხდომილებების დროით ცხოვრობს. მაგრამ განსხვავება მხოლოდ ცხოვრების ტემპით არ ამოიწურება. დასავლურ კულტურაში, სადაც ძირითადად „საათის დრო“ დომინირებს, ღონისძიებებს იწყებენ და ამთავრებენ საათის ისრის ჩვენების მიხედვით, როგორც ეს წინასწარაა განსაზღვრული მათი დაგეგმვისას. სამსრეთის და აღმოსავლეთის კულტურებში, სადაც „ხდომილების დრო“ დომინირებს, ღონისძიება იწყება მაშინ, როცა ყველა მონანილე შეიკრიბება და მთავრდება მაშინ, როცა მონაწილეებს უჩნდებათ განცდა, რომ უნდა დაიშალონ. ან, თუ რაიმე სადავო საკითხს განიხილავენ, მანამდე არ ამთავრებენ დისკუსიას, სანამ შეთანხმებამდე არ მივლენ ან ბოლომდე არ გამოელევათ ძალა.

კულტურებში, რომლებიც „ხდომილების დროით“ ცხოვრობენ მეტი ყურადღება ექცევა ადამიანებთან ურთიერთობებს, ვიდრე ამა თუ იმ საქმის კორექტულად შესრულებას ან პუნქტუალობის დაცვას: საუბარში ჩაღრმავებული ორი ადამიანი უმაღ დააგვიანებს სხვა დათქმულ შეხვედრაზე, ვიდრე გაწყვეტს მათვის საინტერესო საუბარს, რაც „საათის დროის“ კულტურებში, პრაქტიკულად, არ ხდება (12).

დასავლეთის კულტურაში, სადაც საათი ბატონობს, გაჩნდა გამოთქმა „დრო ფულია“ (ბ. ფრანკლინი) და იქ ეს რეალობადა ქცეული, ხოლო „ხდომილების დროის“ კულტურებში, სადაც დრო მკაცრად ფიქსირებული არ არის და ბუნდოვნად განიცდება, დრო და ფული ორი სრულიად განსხვავებული რამაა. დროისადმი დასავლური დამოკიდებულების ტიპური მაგალითია ჩარლზ დარვინის გამონათქვამი: „მას, ვისაც შეუძლია გაფლანგოს მთელი საათი, ჯერაც არ აღმოუჩენია ცხოვრების აზრი“.

## საკუთარი ისტორიისადმი დამოკიდებულება

დროის განცდასთან პირდაპირ კავშირშია საკუთარი ისტორიისადმი დამოკიდებულება. აღმოსავლეთში ინდივიდუალური ისტორია, ანუ ბიოგრაფია და ერის ისტორია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ორივე ერთად განიცდება, ანუ, მეტაფორულად თუ ვიტყვით, ისტორია ჯერაც არ არის ბოლომდე „დაარქივებული“, ჯერაც არ არის „მუზეუმის კუთვნილება“, არამედ მას ცოცხლად ატარებს ადამიანი თავის არსებაში. დასავლეთში კი ინდივიდუალური ისტორია და ერის ისტორია მკაფიოდაა ერთმანეთისგან გამიჯნული. განსხვავებით აღმოსავლელისგან, დასავლელის მიერ ერის ისტორია არ განიცდება, როგორც „საკუთარი“, პირადული. ესაა ფსიქოლოგიური საფუძველი იმ პიეტეტისა, რომელიც აღმოსავლეთში აქვთ თავიანთი ისტორიული წარსულის ან დიდი წინაპრების მიმართ და რასაც ფაქტობრივად მოკლებულია დასავლური ცნობიერება. ამ წინით საქართველო აღმოსავლეთს ეკუთვნის. ამგვარი პიეტეტი თავისთვად სულაც არ არის ცუდი და დასავლეთისთვისაც შეიძლება მისაბაძი მაგალითი იყოს, თუმცა მას აქვს ჩრდილოვანი მხარეც. კერძოდ, ის ხშირად ხდება საფუძველი აგრესისა მათ მიმართ, ვინც ზედმეტად თამამად ეპყრობა საკუთარ ისტორიას ან დიდ წინაპრებს, თუნდაც ეს ლიტერატურის ფარგლებს არ სცილდებოდეს. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ნაკლებად გვაქვს წარსულის (თუნდაც უახლოესის!) დიდი ადამიანების მეცნიერული, ობიექტური პიოგრაფიები და ძირითადად ვჯერდებით მათ „ჰაგიოგრაფიას“. აქედან გასაგებია, თუ რატომ ტოვებს ინგლისელ მკითხველს გულგრილს, მაგ., შექსპირის ფსიქოანალიზი ან გერმანელს – გოეთეს ფსიქოანალიზი, მაშინ როდესაც ქართველისთვის ან რუსისთვის თავისი დიდი წინაპრების ფსიქოანალიზი აბსოლუტურად მიუღებელია და შეიძლება დიდი საზოგადოებრივი პროტესტიც კი გამოიწვიოს.

ისტორიისადმი ამგვარი დამოკიდებულება აღმოსავლეთში ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ აქ უჭირთ სიახლის მიღება და თავიდანვე სკეპტიკურად უყურებენ ყოველ ცვლილებას. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთის ისტორიულ ასაკს. აღმოსავლეთი უფრო ხანდაზმულია, ვიდრე ევროპა და მით უფრო, ვიდრე ამერიკა. აღმოსავლეთის სიმძიმის ცენტრი წარსულშია, ის უფრო წარსულისკენაა მიქცეული და მასზეა ორიენტირებული. ის თავისი დიდი ისტორიით, უძველესი კულტურით და ტრადიციებით ამაყობს. როდესაც ესოდენ დიდია წარსულის „შლეიფი“, ძალზე ძნელია მასზე უარის თქმა და ახლით მისი ჩანაცვლება. ეს გაცილებით უფრო ეადვილება დასავლეთს, რომელიც ისე ხანდაზმული არ არის, როგორც აღმოსავლეთი. ვისაც წარსულისკენ დიდი გადასახედი არ აქვს, ის უფრო მომავლისკენაა მიქცეული და მასზე ორიენტირებული. მას უფრო ეადვილება ახლის მიღება და ძველის დაძლევა. ეს განსაკუთრებით ამერიკაზე ითქმის. ის ჯერ კიდევ ბავშვია, რომელსაც ყველაფერი წინ აქვს და სხვის წარსულსაც ჯეროვნად ვერ აფასებს და მის მიმართ ნიპილიზმს იჩენს. ეს გარემოება ხშირად გამხდარა ისტორიაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ომების და დაპირისპირების მიზეზი. და ეს საფრთხე დღესაც არსებობს, თუმცა ის სხვადასხვა მოტივებითაა შეფუთული. ამ

თვალსაზრისით, ევროპა შეუძლია და ამერიკას შორის და წარსულისადმი პატივისცემაც ახასიათებს და სიახლების მიღებასაც არ უშინდება, მეტიც, ის ხშირად თავადა ახალი იდეების გენერატორი და ნოვატორი.

## **სივრცის განცდა**

არანაკლებ საინტერესოა სივრცის განცდა. აღმოსავლეთში გარე სივრცისგანაც უფრო ნაკლებადა ადამიანი გამოყოფილი და მის მიერ სივრცის აღქმაც უფრო ბუნდოვანია, ვიდრე დასავლეთში. ამის მრავალ მაგალითს იძლევა ჩვენი ყოველ-დღიურობა. მაგ., ჩვენთან ხშირად შეხვდები, თუ როგორ დგანან ქუჩაში ყველაზე უადგილო და ვიწრო ადგილას და დიდხანს საუბრობენ, რაც სხვას გავლაში ხელს უშლის, თუმცა მოსაუბრები ამას ან ვერ ამჩნევენ, ან არაფრად აგდებენ; ან სუპერმარკეტში ურიკას ისეთ ადგილას გააჩერებენ, რომ ძალაუნებურად ხელს უშლიან სხვებს და ვერც ამჩნევენ ამას, რადგან სივრცის აღქმა მათთვის ბუნდოვანია და არ არის სტრუქტურირებული. დასავლეთში ამას ნაკლებად შეხვდები, ვინაიდან დასავლელისთვის სივრცე ბევრად უფრო სტრუქტურირებულია და, შესაბამისად, სუპერმარკეტსა და მის გარემოს შორის საზღვრებიც მკაფიოდ და დიფერენცირებულად განიცდება. სხვადასხვაა აღმოსავლელისა და დასავლელის პროქსემიკულ სივრცე-ში ორიენტაციის უნარი – დასავლელი, მაგ., ამერიკელი, როგორც ინდივიდუალისტური კულტურის წარმომადგენელი, ზოგადად, უფრო იცავს მეორე ადამიანთან დისტანციას და ადვილად არ უშვებს მას ე. წ. ინტიმურ და პიროვნულ ზონაში (ე. ჰოლის მიხედვით, 0-1,5 მ. დაშორება); აღმოსავლეთში კი, როგორც კოლექტივისტურ კულტურაში, ადამიანთა შორის ურთიერთობები ხშირად ინტიმურ და პიროვნულ ზონაში მიმდინარეობს.

## **სხვა ადამიანის აღქმა**

სადაც დრო არ არის სტრუქტურირებული და სივრცული საზღვრებიც არ განიცდება მკაფიოდ, იქ ადამიანები ფსიქოლოგიურადაც არ არიან ერთმანეთისგან გამოყოფილნი და დაცულნი. ურთიერთდამოკიდებულებაც უფრო ფამილიარულია, რასაც ზოგი დადებითი მომენტი ახლავს თან, მაგრამ ხშირად არაერთი პრობლემაც მოსდევს. დასავლეთში როგორც პიროვნულ, ისე ინდივიდუალურ კულტურაში კარგად იციან პიროვნების საზღვრები და პატივს სცემენ ერთმანეთს, როგორც პიროვნებას. ერთმანეთთან შეთანხმება პიროვნებებს შორის შეთანხმებაა და მთელი სერიოზულობით სრულდება. აღმოსავლეთში კი შეთანხმებები ხშირად არ სრულდება და ამის ერთ-ერთი მიზეზი სხვა პიროვნებისადმი არასაკმარისი პატივისცემაა, რაც ჩვენშიც საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა (როგორც ერთი ქალაქური სიმღერა გვეუბნება: „არ გეწყინოს, ჭირიმე, უცებ რომ გიღალატო“). ამის ფსიქოლოგიური საფუძველი ისაა, რომ ჩვენში სხვა ადამიანი არქეტიპულად თუმცა მოყვასია და „ლვთისაა“, რომლისთვისაც შეიძლება ბევრი რამ გააკეთო და არანაირ საფრთხესაც

არ მოერიდო (შეად., ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“), მაგრამ ის ნაკლებად აღიქმება, როგორც დამოუკიდებელი, ავტონომიური პიროვნება, თავისი, ზოგჯერ ჩვენთვის მიუღებელი, თვისებებით და უფლებებით.

აღმოსავლეთი უფრო სტუმართმოყვარეა, აქ სხვა ადამიანი, თუნდაც ის უცნობი იყოს, ღვთისგან მოვლენილი არსება (შეად., ქართული გამოთქმა: „სტუმარი ღვთისაა“), რომელსაც ლამის სამ საათზეც კი ვულებთ კარს და, საჭიროების შემთხვევაში, სუფრასაც გავუშლით. დასავლეთში კი, თუ საღამოს ცხრა საათის შემდეგ დაურევავ ნაცნობს, მისგან გაფრთხილებას მიიღებ, რათა სხვა დროს იგივე არ გაიმეორო, ვინაიდან ამით მის სიმშვიდეს არღვევ. ეს მხოლოდ ახლო მეგობარს თუ ეპატიება. მაგრამ, მეორე მხრივ, აღმოსავლეთში ეს „ღვთისგან მოვლენილი არსება“ არ აღიქმება, როგორც სუვერენული პიროვნება, რომელსაც აქვს საკუთარი ნება. ხშირად არ ვითვალისწინებთ მის თავისუფლებას, თავს ვახვევთ მას ჩვენს ნებას და, რაც მთავარია, ვერც ვამჩნევთ ამას. მართალია, მისთვის სიკეთე გვინდა, მაგრამ შეიძლება ამისთვის ძალდატანებასაც არ მოვერიდოთ, ვინაიდან ვერ აღვიქვამთ მას დამოუკიდებელ პიროვნებად. ამიტომაც პიროვნული საზღვრების გადალახვა ჩვენთან, როგორც წესი, უცერემონიოდ ხდება. დასავლეთში კი ადამიანი, მართალია, ღვთაებრივ არსებად არ აღიქმება, მაგრამ ის აღიქმება, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული პიროვნება და მას მსგავსი ფამილიარობისგან ყველას მიერ აღიარებული კონვენციური ნორმები იცავს. იქ, მაგალითად, სხვადასხვა კონფერენციებზე ან შეხვედრებზე ხშირად შეხვდებით შემდეგ სურათს: ორი ადამიანი ესაუბრება ერთმანეთს, მესამე კი, რომელსაც ერთ-ერთ მათგანთან საქმე აქვს, უცდის საუბრის დასრულებას. ჩვენთან კი მაშინათვე მიეჭრებიან მოსაუბრებს და გააწყვეტინებენ საუბრას, რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ის მათვის, რათა იმ მომენტში საკუთარი სურვილი შეისრულონ. აქაც უნდა ითქვას, რომ ორივე თვისება მნიშვნელოვანია – აღმოსავლური დიდსულოვნებაც და დასავლური საზღვრების დაცვაც – და ერთმანეთისგან მათი სწავლა სავსებით შესაძლებელია.

## ფაქტების კულტურა – ვერსუს ინტერპრეტაციის კულტურა

ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოსავლელ და დასავლელ ადამიანებს შორის ისიცაა, რომ პირველი ისე არ სცემს პატივს ფაქტებს, როგორც მეორე. მთელი დასავლური კულტურა, ერთი ასპექტით, ფაქტების კულტურაა. ამის საფუძველზე შექმნა დასავლეთმა თანამედროვე მეცნიერებები. აღმოსავლეთი, როგორც ზემოთაც ითქვა, უფრო რელიგიის და სულიერების სფეროშია შემოქმედი და აქ დასავლეთი მისი მოწაფეა. დასავლური მეცნიერება იმიტომაც ტონის მიმცემი და იმითაც გრანდიოზული, რომ მან ზუსტად იკვლია და შეისწავლა აურაცხელი ფაქტი ბუნების და ადამიანური მოქმედების სხვადასხვა სფეროში, იქნებოდა ეს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული თუ სოციალური მეცნიერებები. ეს მისაბაძია აღმოსავლეთშიც და ეს უკანასკნელი არსებითად დასავლეთისგან სწავლობს მათ. არისტოტელებან მოკიდებული, დასავლელი მეცნიერის უდიდესი იდეალია ფაქტებისადმი პატივის-ცემა, მათი ზედმინევნით კვლევა სინე ირა ეტ სტუდიო. ეს არა მარტო დასავლელ

მეცნიერს, არამედ, ზოგადად, დასავლელ ადამიანსაც ახასიათებს. აღმოსავლელის-თვის კი უფრო ზოგადის ხედვაა დამახასიათებელი და მას კონკრეტული ფაქტები ისე არ აინტერესებს, როგორც დასავლელს. ძენის ფილოსოფიის ღრმად მცოდნე ინგლისელ-ამერიკელი მკვლევარი ალან უოტსი (ლან ჭ. ჭატტის) ასე ახასიათებს ამ განსხვავებას აღმოსავლელ და დასავლელ ადამიანებს შორის: „დასავლელი ადამიანი თავის სწრაფვაში, შეიმეცნოს უნივერსუმი, მოგვაგონებს მეცნიერს, რომელიც უზარმაზარ ტაძარში ჯიბის ნათურით იკვლევს უწვრილმანეს დეტალებს და ასე ცდილობს მრავალი თაობის ძალისხმევაზე დაყრდნობით შეიქმნას მასზე წარმოდგენა. მისი შორეულაღმოსავლელი კოლეგა კი ტაძრის ჭერზე ამაგრებს ნათურას. ის, მართალია, მკაფიო დეტალებს ვერ ხედავს, მაგრამ საკმაოდ კარგად წარმოიდგინს საერთო სურათს“ (6 და 14). ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ თავის ადგილას ორივე აღწერილი თვისება მნიშვნელოვანია.

თუმცა უოტსი აქ ჩინელებს და იაპონელებს გულისხმობს, მაგრამ ეს სიტყვები არსებითად ქრისტიანული აღმოსავლეთის მშვინვიერი კონფიგურაციის დასახასიათებლადაც გამოდგება. ყოველივე ამის გამო, ამა თუ იმ კონკრეტული მეცნიერების განვითარებაში შეუდარებლად უფრო დიდია დასავლეთის როლი, ვიდრე აღმოსავლეთისა, ვინაიდან იქ უფრო განვითარებულია ფაქტებზე დაკვირვების, მათი ზედმინევნით შესწავლის და ანალიზის უნარი. ამიტომაც შეგვიძლია, დასავლეთის კულტურას ვუწოდოთ ფაქტების კულტურა. დასავლეთში იწერება დიდი ადამიანების ბიოგრაფიები, რომლებიც იძლევიან მათი ცხოვრების დეტალურ აღწერას და არ ერიდებიან მათი მანკიერი მხარეების გადმოცემასაც; თუკი ისინი ფაქტობრივად დასტურდება, ვინაიდან ადამიანის სრულ სურათს ქმნის მისი ბიოგრაფიის პირუთვნელი გამოკვლევა და ამით ის ბევრად უფრო საინტერესო ხდება, მით უმეტეს, თუ ის დიდი ადამიანია. სადაც ფაქტები ზუსტადაა დადგენილი, იქ მათი ინტერპრეტაციაც, როგორც წესი, უფრო დამაჯერებელია.

აღმოსავლეთში უფრო ინტერპრეტაციების, ვარაუდების უნარია განვითარებული. აღმოსავლეთის კულტურა, ზოგადად, უფრო ინტერპრეტაციის კულტურაა, აქ საინტერესო ვარაუდების გამოთქმა ბევრად უფრო მიმზიდველია, ვიდრე „მოსაწყენი“ ფაქტების შესწავლა. ფაქტი ჯერაც რომ არ იყოს ბოლომდე დადგენილი, უკვე უამრავი ვარაუდი ჩნდება. ეს ვარაუდები და ინტერპრეტაციები ნაკლებად ემყარება ფაქტებს, მეტიც, ხშირად ფაქტების დეფორმაციის მიზეზადაც იქცევა. სადაც დასავლელს რომელიმე პოლიტიკოსის გამონათქვამის ფაქტობრივი, შინაარსობრივი მხარე აინტერესებს, რათა ის გააანალიზოს და მხოლოდ შემდეგ სცადოს გამონათქვამის ზუსტი ინტერპრეტაცია, იქ აღმოსავლელს უფრო ის აინტერესებს, თუ რა დგას ამ გამონათქვამის უკან, რა დამალა და არ თქვა პოლიტიკოსმა და რატომ გააკეთა ეს, რა უპირატესობის მოპოვებას ცდილობს ის ამით და ა. შ. ყოველივე ეს ნოყიერ ნიადაგს ქმნის ე. წ. „შეთქმულების თეორიებისთვის“ სხვადასხვა სფეროში და ხშირად უნდობლობის წყაროც ხდება ადამიანთა შორის ურთიერთობაში. თუმვა, მეორე მხრივ, ამის წყალობით, აღმოსავლელს საკმაოდ მაღალ დონეზე აქვს განვითარებული სხვა ადამიანების ინტუიციური წვდომის უნარი. ამავე თვისების

გამო, ის, როგორც წესი, ზოგადად უფრო კარგადაა ჩახედული პოლიტიკური ცხოვრების კულისებში, ვიდრე საშუალო დასავლელი ადამიანი.

აღმოსავლეთში უურნალისტებიც ფაქტებზე უფრო ინტერპრეტაციებს და ვარაუდებს გვთავაზობენ საინფორმაციო გადაცემებში, რაც მსმენელის მხრიდან უნდობლობას იწვევს და ნოყიერ ნიადაგს ქმნის სწორედ შეთქმულების თეორიების-თვის. როგორც წესი, არ ხდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების ბოლომდე გარკვევა, როგორიცაა გახმაურებული მკვლელობები, დიდი სკანდალები და ა. შ. და ხშირად, საკუუნისწინანდელ თუ რამდენიმე წლის წინ მომხდარ მოვლენებზე მხოლოდ ჭორების დონეზე და არა ფაქტებზე დაყრდნობით მსჯელობაა შესაძლებელი. საკუთარი წარსულის და დიდი ადამიანების მიმართ ზემოაღნიშნული პიეტეტის გარდა, ეს უკანასკნელი გარემობაცაა იმის მიზეზი, რომ ნაკლებად გვაქვს ცნობილ ადამიანთა ზუსტი ბიოგრაფიები, რომლებიც დაწვრილებით მოგვითხრობდნენ მათი ცხოვრების ნათელ თუ ჩრდილოვან მხარეებზე.

## ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოში

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. ქართული კულტურის და ცნობიერების ლაიტმოტივია მისწრაფება დასავლეთისკენ, რასაც რ. სირაძემ „აღმოსავლეთის დაძლევა“ უწოდა (2) და რაც თავის დროზე ქრისტიანობის დამკვიდრებით დაიწყო საქართველოში. თუმცა ეს ქრისტიანობა თავდაპირველად მონოფიზიტური, ანუ აღმოსავლური ხასიათის იყო, მაგრამ დიოფიზიტობაზე გადასვლა უკვე ნიშნავდა დასავლური, პიროვნულ-ინდივიდუალური ასპექტისადმი პატივისცემის ვალდებულებას. აღმოსავლეთის დაძლევის ეს მცდელობა წითელ ზოლად გასდევს ქვეყანას მთელი მისი ისტორიული განვითარების მანილზე და ის შეიმჩნევა დღესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს განათლება, ხელოვნება, ლიტერატურა, ზოგადად, ესთეტიკა თუ ყოფითი კულტურა. იგივე ითემის პოლიტიკასა და ეკონომიკაზე.

მე-19 საუკუნეში არაჯანსაღი აღმოსავლეთის მოჭარბებულ გავლენას ქართულ კულტურაზე, განსაკუთრებით, ქართულ პოეზიაზე, აქტიურად შეებრძოლა ილია ჭავჭავაძე (3) და თავის თანამოაზრებთან და თანამოკალმეებთან ერთად მძღვრი ბიძგი მისცა ქვეყნის თვითმყოფადი ქრისტიანული კულტურისკენ შემობრუნებას. კულტურული თვითმყოფადობისთვის ბრძოლა ბოლომდე დღესაც არ არის დასრულებული საქართველოში, ვინაიდან გლობალიზაციის ეპოქაში აღმოსავლეთის ისტორიულ გავლენას ჩაენაცვლა დასავლეთის მდარე მასობრივი კულტურის გავლენა, რაც არანაკლებად სახიფათოა ქვეყნის კულტურული იდენტობის-თვის და ამიტომ აუცილებლად უნდა იქნეს დაძლეული. ეს მასობრივი კულტურა, რომელიც დასავლეთშიც მეტოქეობას უწევს დიდ ჰუმანისტურ კულტურას, აღმოსავლეთშიც საოცარი სისწრაფით ვრცელდება და წალეკვით ემუქრება მის უძველეს სულიერებას და თვითმყოფადობას.

ამ გავლენების დაძლევის საფუძველი უნდა გახდეს მათი დაძლევა ცნობიერებაში, ფსიქიკაში, რისი უპირველესი პირობაც, ჩვენი აზრით, იმ არქეტიპების

გაცნობიერებაა, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. მეორე საფეხურია გაცნობიერებულის მიღება (და არა უარყოფა!), ხოლო მესამე საფეხური იქნება მთელი ძალისხმევის წარმართვა მათი რეალური დაძლევისკენ. ამასთან, დაძლევა არ არის რაიმეს ხელალებით უარყოფა. დაძლევა ნიშნავს საკუთარი იდენტობის უცილობლად შენარჩუნებას და, იმავდროულად, ყოველივე ჯანსაღის, ყოველივე ახლის და აუცილებლის ცნობიერად მიღებას, აღმოსავლეთიდან იქნება ეს მოსული თუ დასავლეთიდან. თავსმოხვეული დასავლეთი ისევე მიუღებელია, როგორც თავსმოხვეული აღმოსავლეთი იყო მიუღებელი საუკუნეების მანძილზე. ამიტომ დასავლეთის მიღებაც არ უნდა მოხდეს ცნობიერების, კრიტიკული აზროვნების მიღმა. აქაც, როგორც ბევრ რამეში, ერთადერთი სწორი ფილტრი აზროვნებაა. აღმოსავლური არქეტიპების ასე გაგებული დაძლევა ხანგრძლივი პროცესია და მხოლოდ დასავლურ სტრუქტურებში სწრაფი გაერთიანებით არ მიიღწევა, თუმცა ამგვარი გაერთიანების აუცილებლობაც ეჭვგარეშეა.

#### **ლიტერატურა:**

1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1980, გვ. 487
2. რ. სირაძე, სახისმეტყველება. თბილისი, 1982, გვ. 215.
3. ა. ლაისტი, საქართველოს გული. თბილისი, 1963, გვ. 43-44.
4. В. Соловьев, Великий Спор и христианская политика. В книге: Византизм и Славянство. Москва 2001.
5. В. Соловьев, Восточный вопрос. В книге: Три разговора. Приложения. Пасхальные письма. С.-Петербург 1901, Стр. 256-260.
6. V. F. Birkenbihl, Stroh im Kopf. München/Landsberg am Lech 1993, S. 157.
7. E. Fromm, Haben oder Sein. München 1980, S. 124ff.
8. J. Gebser, Asien lächelt anders. Schaffhausen 1999, S. 35.
9. G. W. F. Hegel, Vorlesungen über die Philosophie der Geschichte. Einleitung. Frankfurt/M 1989, S. 32.
10. C.G. Jung, Archetypen. München 1990.
11. H. E. Lauer, Die Volksseelen Europas. Stuttgart 1965, S. 30-35.
12. R. Levine, A Geography of Time. New York 1997, pp. 90-145.
13. R. Riemek, Glaube.Dogma.Macht. Geschichte der Konzilien. Stuttgart 1985, S. 105-114.
14. Alan W. Watts, The Way of Zen. New York 1957, p. 180.
15. M. Weber, Wirtschaft und Gesellschaft. Tübingen 1985, S. 541-688.

NODAR BELQANIA

## The human being in the Eastern and Western Christianity

In order to understand the human being in Eastern and Western Civilizations it is necessary to get acquainted with some historical archetypes being shaped from the ancient times and currently they are almost entirely transferred to subconscious. They are revealed in internal attitude, behavior and stereotypes of the human being.

**The East and the West.** The East has always been distinguished by its divine and spiritual aspiration, characterized with its penetration into divinity and spirituality. It is no mere coincidence that the homeland of all World Religious is the East. Meanwhile its civilization was collectivistic and essentially neglected human, individual aspect. J. Gebser, the well-known researcher of culture characterized the Asia as: "We" without "I". The West was always distinguished by placing ahead human and personal, with earthly-material aspiration, individualism. Beginning with medieval Magna Carta Libertatum respect of human and person took the solid place in European Civil Law. The ultimate stage in this respect in the XX century was adoption of Universal Declaration of Human Rights. In the East protection of human rights by the state has not been achieved yet.

Democracy differs from other forms of governing by the sign that power takes inception from the low level, it begins from the citizenry and is transferred to higher, governing layers. In this form it is realized in the West. In the East, even at present, power and all kind of initiatives come from the top, as it occurred in earlier epochs when all inspirations were coming from the top, divine and power acquired legitimization there.

Easter is the greatest Christian festival in the East, expressing how the God won the victory over death i.e. divine aspect is major, whereas in the West Christmas i.e. birth of Baby Jesus is the culmination, where human factor is seen more obviously.

Supremacy in spiritual and religious areas was always so attractive in the East that historically it created specific temptation called Caesarepapism, which means pretension to lead governing area as well as spiritual-cultural spheres by the head of the state – emperor or king. In the West spiritual-cultural sphere is so much politicized that originated contra inclination called Papocaesarism, which means pretension of interference of spiritual-religious leader (e.g. Pope) into state affairs. There are numerous examples of Caesaropapism in Byzantine Empire, later in Russia (e.g. Peter I the Great). We meet numerous examples of Papocaesarism in medieval Europe (e.g. Walk to Canossa of Heinrich IV "broken" by Pope Gregory VII).

After Fourth Church Council of Chalcedon (AD 451) Eastern church became mainly Dyophysitic since it recognizes the two natures of the Christ – divine and human. With this fact the Eastern Christianity assigned a big task to itself, particularly respect of human and person

aspect. But this respect has not been realized in any Eastern Dyophysitic countries and it still remains a challenge.

**Perception of time** in the East differs from its perception in the West. In the East time is felt inside. It is not objectified, structured to the end and still remains the category of "to be" (E. Fromm). In the West time is objectified, is outside and well structured. Time is category of "to have" in the West (E. Fromm). What you possess, what you have you control it. Therefore time is better controlled in western civilization. That is psychological bases of eastern unpunctuality and western punctuality.

While researching time "clock time" and "event time" (R. Levine) is differentiated according to the fact what determines the human activity – clock or various events in his life. One who lives in accordance to the clock that person's living velocity is higher in comparison with the person who lives with the event time.

In western civilization where "clock time" dominates basically, events start and terminate according to the clock hand, planned in advance. In eastern and southern civilizations where "event time" dominates, the event starts when all participants are available and terminates when the feeling emerges that they have to finish the meeting, or if they discuss some disputable topic they don't finish the discussion till they come to the agreement or they lose their strength.

In western civilization where clock dominates, an expression "time is money" was created (B. Franklin) and the expression turned into reality, while in "event time" civilizations, where time is not fixed strictly and is perceived vaguely, time and money is absolutely distinguished phenomena.

**Attitude to own history** is directly connected to time perception. In the East individual history (biography) and history of nation is bound and both are perceived. History is not "archived" yet completely, it's not "museum belonging" yet, it wears the human being alive in his essence. In the West individual and history of nation is distinctly dissociate. Westerner doesn't perceive the nation's history as his "own" personal. This is the psychological basis of the pietism, that the people possess in the East in relation to their ancestors, actually western mentality is deprived of this. From this viewpoint Georgia belongs to East. Therefore it is understandable why English reader remains indifferent towards e.g. Shakespeare's psychoanalysis or German Goethe's psychoanalysis, whereas for Georgians psychoanalysis of their famous ancestors is absolutely unacceptable.

**Perception of space** is not less interesting. In the East human is less separated from external space and perception of space is more vague than in the West. Our everyday life gives us numerous examples of it. e.g. One can often deal with the situation when persons are standing in very narrow place and having conversation, they hinder others to pass but they don't notice or ignore it; or they stop the cart in supermarket in the way, they hinder others but they don't notice since space perception is vague for them and is not structured. In the West space is much more structured and accordingly borders between the subject and its environment is perceived distinctly and differentiated.

**Perception of the other person.** Humans are not isolated and protected from each other psychologically where time is not structured and space borders are not perceived clearly. Their relations are more familiar accompanied by some positive things but often it causes some problems. In the West as in personal, individual culture they are well aware about borders of the person and respect each other as a person. Agreement with each other is the agreement between persons and is implemented in full, whereas in the East agreements are not often fulfilled and one of its reasons is insufficient respect of the person, which is an usual practice e.g. for Georgian society. Its psychological basis is that in Georgia archetypically the other person is a fellow man and “divine” and you are ready to do a lot and to overcome threats for his sake. The East is hospitable. There the human being is a creature sent by God (“Guest comes from God”), but he is not perceived as a person having free will. His freedom is not often taken into consideration. The Easterner wants all the best for the other person but he won’t even avoid compulsion to assist him, since he doesn’t perceive him as an independent person. Therefore crossing personal borders is being carried out familiarly in the East. In the West on the contrary you often face such situations: Two persons are talking, the third person who wants to talk to one of them is waiting for finishing the conversation. In the East they don’t wait when they finish the conversation, they rush to them and interrupt it notwithstanding the importance of the topic of conversation.

**Process of transformation.** The major line of Georgian culture and mentality is striving for the West. It is called by Georgian researchers “Overcoming the East”, that started after conversion of Georgia to Christianity. Though primarily Christianity was Monophysitic i.e. it had oriental character. After Georgian church was shifted from Monophysitism to Dyophysitism, that meant the commitment to respect personal-individual aspect as in the West. The attempt of overcoming the East is characteristic to Georgia during her historical development and one can notice it even today in all spheres of public life, in culture, literature, general esthetics and in daily life. The same could be said regarding politics and economics. But the first condition for all these efforts is overcoming the East in the mentality, mentioned above. The second stage is acceptance and recognition (not rejection as it often occurs) of these features, and the third stage will be directing all the efforts for their actual overcoming. Herewith overcoming means maintaining own identity and accepting consciously all new and necessary, being it from the East or the West. Imposed West is not acceptable as it was not acceptable imposed East for centuries. Therefore acceptance of the West should be performed within mentality. The only right filter is thinking. Such understanding of overcoming the East is very long process and cannot be only achieved by integration into western structures, however, the necessity of such integration is beyond any doubt.

## ელიზბარ ელიზბარაშვილი

### ეხმის სტატუსი თომის ცანიშახაბის მიხედვით

ინდოევროპული აზროვნების ისტორიაში ჩვენ გვაქვს უძველესი დროიდან გავრცელებული, ყოფით თვალსაზრისთან სრულიად შეუთავსებელი დროის არსის გააზრების სტატიკური თეორია. დრო, ამ თვალსაზრისის მიხედვით, მთლიანობითი, მარადიული სამყაროს უძრავი არსის შიგნით ცნობიერების მოძრაობით მოდელირდება. ეს არის ცნობიერების „შეჯახება“ ახალ-ახალ წერტილ-ობიექტებთან. ამის შედეგად ყალიბდება დროის არსის გაგება, როგორც სამყაროულ უძრავ ხაზებზე ცნობიერების გადაადგილების.

დროის სტატიკური თეორია დროის სუბიექტურობის თეორიაა, რომელიც დროის მსვლელობა-დინების რეალურობას კი არ აღიარებს, არამედ – ცნობიერების მსვლელობა-დინების რეალურობას, ამ დროს კი ცნობიერებას ექმნება ილუზია „დროის გასვლის“ შესახებ. დრო არ გადის – ეს ჩვენ გავდივართ – ამის თქმა სწორედ ამ კონცეფციის შიგნით არის შესაძლებელი. დროის ამდაგვარი გაგება გვეუბნება, რომ ობიექტურია ცნობიერების მოძრაობა, ხოლო სუბიექტურია დროის მოძრაობა. ცნობიერების მოძრაობაა ის, რაც არის ნამდვილი, ობიექტური დრო, რასაც ვერ ხედავდა დროის დინამიკური თეორია.

დროის არსის ასეთი გაგების მეტაფორა არის არა მდინარე, რიგის მონაცვლეობა, როდესაც ჩვენ ვდგავართ მდინარეში, მდინარე კი მოძრაობს (აღმქმელი გაჩერებულია – სამყარო-დრო მოძრაობს), არამედ ტბა, უძრავი, მომცველი არსი, ერთიანობა-მთლიანობა-ტოტალობა, როდესაც ის გაჩერებულია და ჩვენ ვცურავთ მასში (სამყარო, სინამდვილე გაჩერებულია – აღმქმელი მოძრაობს) – ცნობიერება მოძრაობს ობიექტურ, გაჩერებულ სამყაროში და ამ მოძრაობისას იბადება აღქმების თანმიმდევრობა – დროის ილუზია. ტბის მეტაფორა ჩვენ აღებული გვაქვს „კაუშიტაკი უპანიშადადან“, სადაც ვკითხულობთ – „რომელთაც უწყიან ოდენ ანინდელისა, დაიღრჩვიან ტბასა შესულნი“ (2. კარი პირველი. 4.). აქ ტბა გვევლინება მთელი სინამდვილის მომცველ მეტაფორად, რომელიც უძრავია და რომელშიც ცნობიერებამ უნდა გასცუროს – იმოძრაოს. ცურვის დროს კი შეიძლება შეიქმნას ილუზია – თითქოს ტბა მოძრაობს და არა ჩვენ. ხოლო თუ არ გასცურე, თუ არ იმოძრავე, დაიხრჩობი ტბაში შესული. და ვინ არიან „რომელთაც უწყიან ოდენ ანინდელისა?“, ანუ მხოლოდ ანიყოს რეალურობას ვინც აღიარებს? ესენი არიან დროის დინამიკური თეორიის პოზიციაზე მყოფები, რომელთაც სჯერათ, რომ თვითონ არ მოძრაობენ, ცნობიერება არ მოძრაობს, არამედ სამყარო-ტბა მოძრაობს. ისინი „დაიღრჩვიან“ – ანუ ვერ დაინახავენ მთლიან სინამდვილეს.

ვედებში დინამიკური დროის მითოგენური განსახიერებაა ქალღმერთი უშასი, რომელსაც უპირისპირდება უპანიშადებში სტატიკური დროის განსახიერება – დროის ღმერთი კალა. კალა არის დროის მთლიანობითი პრინციპი, რომელიც სა-

კუთარ თავში აერთინებს დროის ყველა მონაკვეთს – საუკუნე, წელი, თვე, საათი, წუთი და ა.შ. – და ყველა მოდუსს – წარსული, აწმყო, მომავალი. კალა ძველინდურ მითოლოგიაში არის დროის პერსონიფიკაცია. კალა შედგება ყველაფრისგან ერთდროულად, იგი არის ობიექტური სამყარო-დროის ყოვლისმომცველი „ტბა“. იგი სტატიკური დროის კონცეფციის მითოგენური პერსონაჟია.

ინდოევროპულ აზროვნებაში დროის სტატიკური თეორიის პირველ გადმოცემას ვხვდებით უპანიშადებში, კონკრეტულად უძველეს – „ბრიპადარანიაკა უპანიშადებში“, სადაც ფილოსოფიური და მითოლოგიური ერთიანი ენით სტატიკური დროის გაგების ყველა ძირითადი პრინციპი არის ჩამოყალიბებული.

III თავში ვაჩაკნავას ასული გარგი უსვამს შემდეგ კითხვას იაჯნიავალკიას: „რაზედა, იაჯნიავალკია, სიგრძივ და განივ მოქსოვილი იგი, რაიცა ზესკნელშია და რაიცა ქვესკნელშია, და რაიცა ზესკნელსა და ქვესკნელს შუაა და რასაც ეწოდება გარდასულიცა, აწინდელიცა, მოწევნადიცა“.

იაჯნიავალკიამ მიუგო: „გარგი, იგი, რაიცა ზესკნელშია, და რაიცა ქვესკნელშია, და რაიცა ზესკნელსა და ქვესკნელს შუაა, და რასაც ეწოდება გარდასულიცა, აწინდელიცა, მოწევნადიცა – იგი სიგრძივ და განივ მოქსოვილია სივრცეზედ“.

შემდეგ მეორე კითხვას უსვამს გარგი: „ხოლო რაზედაა სიგრძივ და განივ მოქსოვილი სივრცე?“ „და იაჯნიავალკიამ მიუგო: „ჭეშმარიტად, გარგი, ბრამინნი გარდაუცვლელს უწოდებენ მას“ (2. ბრიპადარანიაკა უპანიშადა. თავი III ბრამინა მერვე). „ამა გარდაუცვლელზედ, გარგი, სიგრძივ და განივ მოქსოვილია სივრცე“. „ამ წარუშლელზეა განფენილი და მოქსოვილი სიგრძე-სიგანით სივრცე“. – აგრძელებს იაჯნიავალკია (1. ბრიპადარანიაკა უპანიშადა).

გარდაცვლილი, წარუშლელი აქ გვევლგვარ ნიშნებს მოკლებულ უმაღლეს დასაბამად – რომელიც იმყოფება უცვლელ ზეყოფიერებაში, როგორც ამას მთრგმნელი ლერი ალიმონაკი განმარტავს. ეს არის ბრამინი.

რა შევიძლია ჩვენ ვთქვათ ამ ფრაგმენტებზე? პირველ რიგში, აქ მინიშნება იმაზე, რომ დროის სამივე მოდუსი – წარსულიც, აწმყოც და მომავალიც – უნდა გავიაზროთ, როგორც სივრცეში არსებული, სივრცის ბუნების მქონე, „სივრცეზედ მოქსოვილი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარსულიც, აწმყოც და მომავალიც არსებობს ისე, როგორც სივრცე, როგორც სივრცის სხვადასხვა ნაწილები, ისინი დაიყვანებიან სივრცეზე, როგორც მისი სხვადასხვა „რეგიონები“. ისინი სადღაც, რომელიდაც იდუმალ სივრცეში განფენილ ადგილებს იკავებენ და ერთმანეთს არასოდეს ენაცვლებიან. ისევე, როგორც ღმერთ კალაში თავის ცალკეულ ადგილს იკავებს ყოველი საუკუნე, ყოველი წუთი და ყოველი წამი. აქ ლაპარაკია, რომ დრო უნდა გავიაზროთ სივრცით პარამეტრებში, როგორც ყოვლისმომცველი სივრცე – ყოვლისმომცველი სამყარო-ტბა, სადაც მისი ყოველი არსი, ყოველი მოდუსი სახეზეა, როგორც არსებული. სადაც ყოველი ადგილი თავის ალაგას რჩება და არსად მიდის. შეიძლება მხოლოდ აღმქმელი ცნობიერება გადიოდეს ამ ადგილებს.

მეორე მინიშნება აქ იმაზეა, რომ დროის ეს სივრცე იმყოფება ღმერთში და არის მარადიული და უცვლელი. როგორც სივრცის არც ერთი ნაწილი არ ქრება იმის

გამო, რომ იგი უკვე დატოვა აღმქმელმა ცნობიერებამ ან იმის გამო, რომ იმ ადგილზე ჯერ არ მისულა აღმქმელი ცნობიერება, ასევე, დროის არცერთი ნაწილი-მოდუსი (წარსული, აწმყო, მომავალი) არ ქრება იმის გამო, რომ იგი უკვე დატოვა აღმქმელმა – ცნობიერებამ ან იმ ადგილზე ჯერ არ მისულა აღმქმელი ცნობიერება. ყველაფერი რჩება თავის უცვლელ ადგილზე. ეს არის ტბა, რომლის ნაპირებსაც ვხედავთ, განსხვავებით მდინარისაგან, რომლის დასაწყისს და ბოლოს ვერ ვხედავთ.

შემდეგი ფრაგმენტი კიდევ უფრო გვიმყარებს ჩვენს ამ შეხედულებას: იაჯნიავალკა მიმართავს გარგის: „და ჭეშმარიტად! ამა გარდაუცვლელისა ძალით, გარგი, იპყრობენ თვის-თვისთა ალაგთ მზე და მთვარე. და ჭეშმარიტად! ამა გარდაუცვლელისა ძალით, გარგი, იპყრობენ თვის-თვისთა ალაგთ ცა და მიწა და ჭეშმარიტად! ამა გარდაუცვლელისა ძალით, გარგი, იპყრობენ თვის-თვისთა ალაგთ წამნი და საათნი, დღენი და ღამენი, და ნახევართვენი, და თვენი, და წელიწადის დრონი, და წელიწადი“ ( 2. ბრიჟადარანიაკა უპანიშადა. თავი III ბრაჟმანა მერვე ).

მაშასადამე, უძრავი, უცვლელი სინამდვილე ღმერთში, რომელშიც განვითნილია დრო – ეს არის სტატიკური დრო, რომლის ყველა ნაწილი, მონაკვეთი, მოდუსი არსებობს ობიექტურად, უცვლელად და უძრავად თავის „ადგილზე“. აქედან გამომდინარე, დრო ობიექტურად, იმ სახით, რა სახითაც მასზე დინამიკური თეორია საუბრობს, არ არსებობს. სამყარო მთლიანად სტატიკურია, ყველა ხდომილება თავის ადგილზე იმყოფება მარადიულად და არსად მიდის, არსად ქრება. – რაც იყო, ის არის და ყოველთვის იქნება.

მაშინ ჩნდება კითხვა: – როგორ იქმნება დინამიკური დროის ილუზია, თითქოს დრო მოძრავი იყოს და ის გადიოდეს? რატომ არსებობს კაცობრიობის ისტორიაში ეს ყველაზე გავრცელებული ეპიფენომენი – დინამიკური დრო? პასუხს ისევ უპანიშადებში ამოვიკითხავთ. მანდუკია უპანიშადაში ვკითხულობთ: „აუმ“, აპა ბგერა-მომცველი ყოველივესი. ამგვარად განიმარტების იგი: გარდასული, აწმყო, მოწევნადი – აპა ბგერა აუმ. ხოლო იგი დანარჩენიც, რაიც სამი დროის საზღვართა მიღმაა – აგრეთვე ბგერა აუმ-ია, რამეთუ ყოველივე ეს – ბრაჟმანია“ ( 2. ბრიჟადარანიაკა უპანიშადა. თავი III ბრაჟმანა მერვე ). აქ ყოველ ბგერას შეესაბამება დროის გარკვეული მოდუსი და ცნობიერების გარკვეული მდგომარეობა.

ა-ს შეესაბამება წარსული და სიფიზლე, უ-ს შეესაბამება აწმყო და მსუბუქი ძილი, მ-ს შეესაბამება მომავალი და ღრმა ძილი. მთლიანობაში აუმ კი არის უმაღლესი მიღმასამყაროული მდგომარეობა. ეს არის ცნობიერების მეოთხე ტრანსცენდენტური მდგომარეობა – ტურია (turia), რომელიც იგივეობრივია ატმანი-სულის.

ამ ფრაგმენტში ჩვენ ვხედავთ, რომ, გარდა იმისა, რომ დროის ყველა მოდუსი – წარსული, აწმყო, მომავალი – ღმერთშია და მარადიულია, ასევე ჩანს აშკარა მინიშნება იმაზე, რომ ამ მოდუსებს შორის განსხვავებას ქმნის ცნობიერების მდგომარეობებს შორის განსხვავება: წარსული ბოლომდე, ნათლად გაცნობიერებულია, აწმყო სანახევროდ გაცნობიერებულია, მომავალი ჯერ გაუცნობიერებელია.

ვხედავთ, რომ დროის ამ მოდუსებს შორის განსხვავება მათ ობიექტურობის ხარისხებს შორის განსხვავება კი არ არის, არამედ მათ გაცნობიერებებს შორის ხა-

რისხობრივი სხვაობა. აწმყოს აქ აშკარად არა აქვს პრივილეგირებული მდგომარეობა. ყველაზე მეტად აქ ცნობიერების „ველში“ მყოფი წარსულია, ყველაზე ნაკლებად კი – მომავალი.

აქ არის სწორედ მთავარი მინიშნება, რაც დროის სტატიკური თეორიის მთავარ ნიშანს გამოავლენს.

უპანიშადების მიხედვით, ჩვენ წინაშეა, ერთი მხრივ, უძრავი, მარადიული სამყარო, რომელშიც სივრცისებურად განვითნილია დროის ყველა მონაკვეთი, და მეორე მხრივ, ცნობიერება, რომელიც გადის ამ უძრავი სამყაროს ყოველ მონაკვეთს და თავის გზაზე სულ ახალ და ახალ „მონაკვეთებს“, „წერტილ-ობიექტებს“ აცნობიერებს, უკვე გაცნობიერებულს კი უკან ტოვებს წარსულის სახით. ანუ წარსული არის ის, რაც აღმქმედმა ცნობიერებამ უკვე გაიარა, აწმყო არის ის, რასაც ახლა გადის, ხოლო მომავალი არის ის, რასაც ამის შემდეგ გაივლის. დროის სამი მოდუსი იმიტომ კი არ არის, როგორც ამას არისტოტელე იტყოდა, რომ წარსული აღარ არის, მომავალი ჯერ არ არის და მხოლოდ აწმყო არის, არამედ იმიტომ, რომ აღმქმედმა ცნობიერებამ მეოთხე განზომილების სივრცის რაღაც მონაკვეთი უკვე გაიარა (წარსული), რაღაც მონკვეთს ახლა გადის (აწმყო) და რაღაც მონაკვეთს მერე გაივლის (მომავალი).

მაშასადამე, დროის სტატიკური თეორია ლაპარაკობს ილუზიაზე „დროის გასვლის“ შესახებ, რომ დინამიკური დრო არის ეპიფენომენი, რომ უშასიანური დრო არის მირაჟი, თითქოს წარსული და მომავალი სადღაც იყვნენ გამქრალნი.

უპანიშადები უშასიანურ დროსთან საპირისპიროდ ამკვიდრებს კალასტურ დროს – დროის სტატიკურ გაგებას, რომლის ძირითადი ნიშნებია:

1) დროის სამივე მოდუსი – წარსული, აწმყო და მომავალი ობიექტურად არსებობს და არსებობის ხარისხით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

2) დროის ეს სამივე მოდუსი განვითნილი სახით იმყოფება ღმერთში და არის მარადიული და უცვლელი.

3) ცნობიერება გადის ამ უცვლელ, მარადიულ არსა და მის ყოველ გაცნობიერებულ მონაკვეთს უკან ტოვებს.

ახლა ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ როგორი ურთიერთშედარების შესაძლებლობაა დროის დინამიკურ და სტატიკურ თეორიებს შორის:

1) დროის დინამიკური თეორია ამბობს, რომ დრო გადის, სამყარო მიედინება და აღმქმელი ცნობიერება გაჩერებულია, ხოლო დროის სტატიკური თეორია ამბობს, რომ სამყარო გაჩერებულია, უცვლელია და აღმქმელი ცნობიერება მოძრაობს – მიედინება. თუკი დინამიკური თეორიის მეტაფორაა მოძრავი მდინარე, რომელშიც ჩვენ ვდგავართ, სტატიკური თეორიის მეტაფორაა უძრავი ტბა, რომელშიც ჩვენ ვმოძრაობთ – ვცურავთ. ეს შეიძლება ჩაითვალოს „კოპერნიკისეულ გადატრიალებად“ დროის წაკითხვაში – მოძრაობს არა ობიექტური სინამდვილე, არამედ სუბიექტური აღმქმელი.

2) დროის დინამიკური თეორია ამბობს, რომ რეალურია მხოლოდ აწმყოს მომენტი, წარსული და მომავალი არ არსებობს, ხოლო დროის სტატიკური თეორია

ამბობს, რომ დროის სამივე მოდუსი – წარსული, ანტიური და მომავალი – ერთნაირი ხარისხის ობიექტური რეალობით არსებობს განფენილი სახით მარადიულ და უცვლელ არსში. უპანიშადები მას ღმერთს უწოდებენ.

3) დროის დინამიკური თეორია ამბობს, რომ დროს აქვს მიმართულება ანუ „ისარი“, რომლის შებრუნება შეუძლებელია, ხოლო დროის სტატიკური თეორია საერთოდ უარყოფს დროის იმ სახით არსებობას, რა სახითაც დინამიკური თეორია მიიჩნევს ამას. მისთვის დრო ილუზიაა, რომელიც სხვა სივრცითი განზომილების გავლისას წარმოქმნება ცნობიერებაში და რადგანაც იგი ილუზიაა, ილუზიის „ისარზე“ არამართებული იქნება საუბარი.

### ლიტერატურა:

1. აღმოსავლური კლასიკური რელიგიური ტექსტები და ასკეტთა სწავლებანი. თბილისი, 2002.
2. უპანიშადები. თარგმანი ლერი ალიმონაკის – „ხომლი“, თბილისი, 1995.
3. ჟურნ. „ლარი“ № 1. ჰერაკლიტე. ფრაგმენტები. თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის ,თბილისი, 1991.
4. Ригведа. Перевод выполнен Т.Я. Елизаренковой <http://scriptures.ru/vedas/rigveda.htm>

ELIZBAR ELIZBARASHVILI

### Static Theory of Time by Upanishads

The article discusses the theory of time static transfer case in the ancient Indian texts – Upanishads within the history of the Indo-European thinking. The article shows that the static theory of time is a non-traditional theory, which opposes the understanding of time in Vedas texts. Time understanding as a metaphor is not a river, a row of alternating, when we stand in the river watching it move, (Heraclitus), but rather a lake, a motionless condition: unity, wholeness, totality. When it is not moving, but we swim in it.

According to the Upanishads, we describe all the main features of time static theory, which makes this theory a classic look.

## სერგი ავალიანი

### ჩა ახის ფსევდობსოცეტის ფიცოსოფია

#### შესავალი

ფსევდოაბსოლუტური ფილოსოფიის ასაკი ნახევარ საუკუნეს აღემატება. სხვადასხვა დროს ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა მისი სხვა-დასხვა შემოკლებული ვარიანტი. იგი საკმაოდ ვრცლად გადმოცემულია ჩემს წიგნში „ფსევდოაბსოლუტური ფილოსოფია“ (თბილისი, 2006; აგრეთვე მეორე წიგნში: „ჩემი განვლილი ფილოსოფიური ცხოვრების ნიშანსვეტები“, თბ.2013). ამჟამად კი ამ თემას იმიტომ ვუპრუნდებით, რომ ამ თეორიის მიერ შემოთავაზებული იდეები მეტ ყურადღებას მოითხოვს მათგან, ვისაც შემეცნებისა და ცნობიერების პრობლემები აინტერესებს, რაც ჯერჯერობით არ ჩანს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1989 წელს ბერლინის უნივერსიტეტში ჩატარებულ კოლოკვიუმს, რომელიც ფსევდოაბსოლუტურ ფილოსოფიას მიეძღვნა). მით უმეტეს, თანამედროვე ქართულ აზროვნებაში, როცა თეორიული პრობლემებით დაინტერესებული მკითხველი იშვიათი მოვლენა გახდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამომავლოდ ვითარება რადიკალურად შეიცვლება და ფსევდოაბსოლუტურ ფილოსოფიასაც გამოუჩნდება მკითხველი და მკვლევარი.

#### I. სამყარო და აღამიანი

მატერიალური სამყაროს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ვრცეული და დროული სასრულობა წარმოადგენს. ფიზიკურ საგნებს აქვთ სიდიდე, რაც მათ სასრულობას ადასტურებს. ნებისმიერი საგნის სიდიდეს ასრულებს სხვა საგნები, როგორც სიდიდეები. მატერიალური საგნების სასრულობა მათ გარკვეულობას ქმნის. „ეს არის ეს, და არა სხვა“, ვინაიდან სხვაც არსებობს. წიგნი არის წიგნი და არა სკამი ან მაგიდა. მისი გარკვეულობა სხვა საგნების არსებობით არის განპირობებული. ეს „სხვა“ არის ის, რაც მას ასრულებს. გარდა ამისა, არსებობს სხვაგვარი ვრცეული სასრულობაც; საგნები და მოვლენები ურთიერთკავშირშია, ერთმანეთზეა დამოკიდებული; დამოკიდებული კი არ შეიძლება უსასრულო იყოს; სხვაზე დამოკიდებულება მას სასრულს ხდის. ყველაფერი ზემოთქმული იმას ადასტურებს, რომ მატერიალურ სამყაროში უსასრულობა არ არსებობს.

სასრულია არა მარტო მატერიალური საგნები, არამედ თვითონ სამყაროც. ამას აინშტაინის რელატიურობის თეორია ასაბუთებს. ამოდის რა სივრცის სიმრუდის იდეიდან, აინშტაინი ამტკიცებს, რომ ერთი მიმართულებით გაშვებული სინათლის სხივი მილიონი და მილიარდი წლების შემდეგ მეორე (საპირისპირო) მხრიდან დაბრუნდება. ეს ნიშნავს, რომ სამყარო, მართალია, განუზომლად დიდია, მაგრამ

უსასრულო მაინც არ არის. ამრიგად, ვრცელი სასრულობა ახასიათებს მთელ მატერიალურ სამყაროს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აინშტაინი ერთმანეთისაგან განასხვავებს სასრულობასა და განუსაზღვრელობას და ამტკიცებს, რომ სამყარო სასრულია, მაგრამ განუსაზღვრელი.

მატერიალური სამყარო სასრულია არა მხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც. სამყაროში არაფერია მარადიული, ყველაფერი წარმოშობილია, არსებობს დროის გარკვეულ მანძილზე და შემდეგ ქრება, სხვა რაიმედ გარდაიქმნება. უზარმაზარი მთები, ზღვები, ოკეანეები ოდესლაც არ არსებობდა. როცა დედამიწა გავარვარებული იყო, მაშინ, ცხადია, ზღვები და ოკეანეები არ შეიძლება არსებულიყო. ვულკანური პროცესები წარმოშობს მთებს, მწვერვალებს. მაშასადამე, ყველაფერი მატერიალურ სამყაროში დროში სასრულია. იგივე ითქმის მთელ სამყაროზეც, როგორც ეს XX საუკუნის კოსმოლოგიამ (ე.წ. „დიდი აფეთქების თეორია“) დაასაბუთა. დაახლოებით ასანთის კოლოფის ტოლმა რაღაცამ, რომელსაც ვერაფერს უწოდებ, რადგან ყველაფერი მისი აფეთქების შემდეგ წარმოიშვა (მზე, მთვარე, ვარსკვლავები, გალაქტიკები, მატერიალური საყაროს შემადგენელი ელემენტარული ნაწილაკები), როგორც გასაოცრად ორგანიზებული სამყარო. ამრიგად, დროში სასრულობა ახასიათებს არა მარტო მატერიალურ საგნებსა და მოვლენებს, არამედ, აგრეთვე, მთელ მატერიალურ სამყაროს. უსასრულობა მატერიალურ სამყაროში არ არსებობს.

სასრულობა რელატიურობას ნიშნავს. როცა ერთი საგანი მეორე საგანს სასრულს ხდის, მაშინ ისინი ურთიერთარსებობას განაპირობებენ, ანუ ორივე რელატიურია. უსასრულო მხოლოდ აბსოლუტური შეიძლება იყოს, რომელიც აგრეთვე მარადიულია ანუ დროში უსასრულოა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მატერიალურ სამყაროში ყველაფერი რელატიურია, არაფერია აბსოლუტური.

ასეთ სამყაროში ცხოვრობს ადამიანი და, ბუნებრივია, რომ მისი მენტალური უნარები სასრული და რელატიური იყოს. განსაზღვრული და სასრულია ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკური შესაძლებლობანი, არამედ, აგრეთვე, მისი თეორიული და პრაქტიკული ცნობიერებაც. თანამედროვე მეცნიერებამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მაგრამ მისი შესაძლებლობანი მაინც განსაზღვრულია, სასრულია. ერთი სიტყვით, არ შეიძლება ადამიანის თეორიული და პრაქტიკული უნარების უსასრულო შესაძლებლობის ილუზიის შექმნა. რელატიური და სასრული სამყაროს მკვიდრი ადამიანის უნარები არ შეიძლება აბსოლუტური და უსასრულო იყოს.

სწორედ ამას ემყარება ფილოსოფიაში ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნების შეუძლებლობის შესახებ. აქვე მიჩნეულია, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ აბსოლუტური შეიძლება იყოს. სხვაგვარი (რელატიური) ჭეშმარიტება არ არსებობს. ჰეგელი ამბობდა, რომ ფილოსოფიასა და რელიგიას ერთი და იგივე საგანი აქვს. ეს არის ღმერთი, რომელიც აბსოლუტურია და ერთადერთ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ღმერთი არის ჭეშმარიტება, ამბობს ჰეგელი. იგი მიუწვდომელია, შეუმეცნებადია. ასეთია სწორედ აბსოლუტური ჭეშმარიტება. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ ფილოსოფია, კერძოდ, ონტოლოგია,

როგორც პირველი ფილოსოფია, არის ღმერთზე, როგორც აბსოლუტურ არსზე, მოძღვრება, რომელიც ერთადერთ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ამ აზრით, ონტოლოგია არის **ფილოსოფიური თეოლოგია**. ამ იდეაზეა აგებული ჩვენი თეორია მეცნიერული ონტოლოგიის შესახებ (იხ. სერგი ავალიანი, მეცნიერული ონტოლოგია, თბილისი, 1994). იმას, რასაც ფილოსოფიაში აბსოლუტური ჭეშმარიტება ეწოდება, რელიგიის ენაზე ღმერთი ჰქვია.

ამრიგად, აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუწვდომელია. მთელი ჩვენი ცოდნა და ლირებულებითი სამყარო რელატიურია. სწორედ ეს განაპირობებს შემეცნების უსასრულო განვითარებას. აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომა შემეცნების დასასრულს ნიშნავს. შემეცნებას ხომ სხვა არაფერი ამოძრავებს, გარდა აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვისა. ჩვენი ცოდნა განვითარების ნებისმიერ ეტაპზე რელატიურია, შეცდომების შემცველია. რელატიურობა შემეცნებისა და ცოდნის სფეროში შეცდომების შემცველობას ნიშნავს, რომელთა პერმანენტული გამორიცხვა ცოდნის განვითარებას წარმოადგენს.

აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნების შეუძლებლობა, როგორც ზემოთ ვთქვით, ფსევდოაბსოლუტური ფილოსოფიის ქვაკუთხედია, მისი ამოსავალი დებულებაა.

## II. არისტოტელეს კანონი

სულ სხვა პოზიციებზე იდგნენ წინასოკრატელი სოფისტები, განსაკუთრებით, მათი ლიდერი პროტაგორა. ისინი რელატივიზმის უკიდურესი ფორმის დამცველნი იყვნენ და ამტკიცებდნენ, რომ ჭეშმარიტია ნებისმიერი ადამიანის აზრი, თუნდაც იგი სხვა ადამიანების აზრს ეწინააღმდეგებოდეს. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტების საზომად ადამიანს თვლიდნენ. „ყოველ საგანთა საზომი არის კაცი, არსებულთა რომ ისინი არსებობენ და არარსებულთა, რომ ისინი არ არსებობენ“. პლატონი პროტაგორას ამ აზრს ასე გამოთქვამს: „ყოველი საგანი არის ჩემთვის ისეთი, როგორიც მე მეჩვენება, შენთვის კი ის არის ისეთი, როგორიც შენ გეჩვენება; კაცი ხარ ხომ შენც და მეც“. ამასთანავე, როგორც პლატონი შენიშნავს, „კაცის“ ცნებაში ცალკეული ადამიანი იგულისხმება და არა „კაცი საერთოდ“, ანუ ადამიანთა მოდგმა. ეს არის რელატივიზმის უკიდურესი ფორმა; ჭეშმარიტების ცნებაში კი პროტაგორას აბსოლუტური ჭეშმარიტება ესმოდა, ანუ იგი ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდა აბსოლუტურსა და რელატიურ ჭეშმარიტებას.

სოფისტურ რელატივიზმის დაუპირისპირდნენ სოკრატე, პლატონი და არისტოტელე. სოკრატე უარყოფდა მრავალი ჭეშმარიტების არსებობას; ის ერთია და ცნებისეული (ზოგადი) ხასიათი აქვს. სოკრატემ ცნებისეული ზოგადობა აღმოაჩინა და სოფისტურ რელატივიზმს დაუპირისპირა. ამიტომ იგი შემეცნების მეცნიერული თეორიის აღმომჩენად ითვლება. სოკრატეს გზა განაგრძეს პლატონმა და არისტოტელემ. მათ კიდევ უფრო გააფართოვეს სოფისტური რელატივიზმის კრიტიკა და პერაკლიტეს დიალექტიკაშიც რელატივიზმი აღმოაჩინეს. პერაკლიტე წი-

ნააღმდეგობის ცნებიდან ამოდიოდა და ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია ერთსა და იმავე საგანს ერთდროულად ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშნები მივაწეროთ. ამიტომ პლატონი და არისტოტელე ჰერაკლიტესა და მის მიმდევრებს „ორთავიანებს“ უწოდებდნენ, რადგანაც ჰერაკლიტეს მიმდევრები და სოფისტები შესაძლებლად თვლიდნენ, რომ ერთსა და იმავე საგანს ერთდროულად ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშნები ჰქონდეს. ჰერაკლიტესა და სოფისტების წინააღმდეგ არისტოტელე ამტკიცებდა, რომ „არსებობა და არარსებობა ერთდროულად შეუძლებელია“. აზრის გამოთქმა გარკვეულის გამოთქმას ნიშნავს. ერთი მნიშვნელობის არქონა ნიშნავს არც ერთი მნიშვნელობის არქონას. „შეუძლებელია რაიმეს მოაზრება, თუ ყოველთვის არ მოიაზრებ რაიმე ერთს“. ერთი სიტყვით, პლატონი და არისტოტელე უარყოფნენ სოფისტურ რელატივიზმს და თვლიდნენ, რომ აზროვნება და მეტყველება ერთნიშნობის გარეშე შეუძლებელია. ერთნიშნობა კი აბსოლუტურის გნოსეოლოგიური ნიშანია. რელატიურობა კი ბუნდოვანებასა და გაუგებრობას იწვევს; მისი მოხსნა მხოლოდ აბსოლუტურს – ერთნიშნას – შეუძლია. ამოდიოდა რა ამ იდეიდან, არისტოტელემ ჩამოაყალიბა წინააღმდეგობის შეუძლებლობის გენიალური კანონი: „შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე ერთად ეკუთვნიდეს და არც ეკუთვნიდეს ერთსა და იმავეს ერთი და იმავე აზრით“. მაგალითად, შეუძლებელია ვთქვათ, რომ „პეტრე მალალია ან დაბალი“, თუ არა ვთქვით, ვის მიმართ და როდის. დროსა და მიმართებას აქ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. პეტრე შეიძლება ივანესთან შედარებით იყოს მაღალი ან დაბალი, მაგრამ, იმავდროულად, პავლესთან შედარებით, შეიძლება დაბალი აღმოჩნდეს. ამ კანონის მნიშვნელობა იმაშია, რომ მას, ერთი მხრივ, აზროვნებაში გარკვეულობა ანუ ერთნიშნობა შემოაქვს, რითაც შესაძლებელს ხდის აზროვნებას, ხოლო, მეორე მხრივ, აბსოლუტურის არებობის აუცილებლობას აჩვენებს შემეცნების პროცესში.

აქ გვინდა ამ კანონთან დაკავშირებით ერთი მოსაზრება გამოვთქვათ: არისტოტელე უარყოფს რელატიური ჭეშმარიტების არსებობას და თვლის, რომ ჭეშმარიტება შეიძლება იყოს მხოლოდ აბსოლუტური. მაგრამ თუ ამ კანონს ღრმად გავიაზრებთ, აღმოვაჩენთ, რომ იგი თვითონ არის რელატიური, თუმცა სულ სხვაგვარად რელატიური. სახელდობრ, არისტოტელე ექებს აბსოლუტურს და კიდეც პოლობს გარკვეული მიმართებისა და დროის ფარგლებში, მაგრამ აბსოლუტური ვერავითარ შეზღუდვას – ამ შემთხვევაში, მხოლოდ მიმართებისა და დროის ფარგლებში ყოფნას – ვერ ითმენს. ასეთი მხოლოდ რელატიური შეიძლება იყოს. მიმართებაში ყოფნა რელატიურობას ნიშნავს. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ნათელს გახდის ფსევდოაბსოლუტურის ფორმების ანალიზი.

ამრიგად, არისტოტელეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი გარკვეული მიმართებისა და დროის ფარგლებში აბსოლუტურია, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც დროითა და მიმართებით შეზღუდული ჭეშმარიტება, მხოლოდ რელატიური შეიძლება იყოს. ეს არის რელატიური ჭეშმარიტების ახალი ფორმა, რომელიც რელატიურსა და აბსოლუტურს აერთიანებს.

### III. ფსევდოაბსოლუტური ჭეშმარიტება

ამრიგად, არისტოტელემ სრულიად დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ შემეცნება და, საერთოდ, ლოგიკური აზროვნება და მეტყველება აბსოლუტურის, ერთნიშნობის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე დამაჯერებლად დაასაბუთებულია, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება შეუმეცნებადია; ვინაიდან ადამიანი სასრული არსებაა, ამიტომ მისთვის როგორც აბსოლუტური არსი, ასევე აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუწვდომელია. სასრული უსასრულოს ვერ სწვდება. ადამიანის მთელი ცოდნა რელატიურია, რელატიური კი მრავალნიშნაა, ბუნდოვანია, გაურკვეველია, მის საფუძველზე აზროვნება შეუძლებელია. ასე ჩამოყალიბდა პარადოქსული ვითარება: ერთი მხრივ, ადამიანის აზრები რელატიურია, მაგრამ, მეორე მხრივ, აზროვნების არსებობა ფაქტია. რელატიურობის პირობებში ადამიანმა უზარმაზარი ცოდნა დააგროვა, აზროვნებს ერთნიშნად და ასევე ერთნიშნად გადასცემს თავის აზრს სხვა ადამიანებს. როგორ უნდა ავხსნათ ეს ურთიერთსანინაალმდეგო ვითარება? როგორ ხდება აბსოლუტური ჭეშმარიტების შეუმეცნებადობის პირობებში ესოდენ წარმატებული თეორიული მოღვაწეობა? ამ პრობლემის ახსნას და, მაშასადამე, ზემოაღნიშნული წინაალმდეგობიდან გამოსავალს იმაში ვხედავთ, რომ ადამიანი თვითონ ქმნის ისეთ აბსოლუტურს, რომელიც ფუნქციის მიხედვით ჭეშმარიტი აბსოლუტურისაგან არაფრით განხვავდება, გარდა სუბიექტური წარმომავლობისა. ასეთ აბსოლუტურს ჩვენ ვუწოდებთ ფსევდოაბსოლუტურს, ანუ ყალბ აბსოლუტურს. მისი სიყალბე იმაშია, რომ ჭეშმარიტი აბსოლუტური მარადიულია, შეუქმნადია; ფსევდოაბსოლუტური კი ადამიანის მიერაა შექმნილი. მიუხედავად ამისა, ფსევდოაბსოლუტური ჭეშმარიტი აბსოლუტურის ყველა ფუნქციას ასრულებს, რაც შესაძლებელს ხდის აზროვნებას. როგორც ვხედავთ, ფსევდოაბსოლუტური არის მესამე რეალობა აბსოლუტურსა და რელატიურს შორის. იგი არც ერთ მათგანზე არ დაიყვანება, თუმცა ორივეს თვისებებს ატარებს.

ფსევდოაბსოლუტურია ყველა საზომი ერთეული, ყველა ნორმა, ეტალონი, ათვლის სისტემა. ვთქვათ, გვინდა სიგრძის ან ფართობის გაზომვა. ამისათვის აუცილებელია საზომი ერთეულის დაწესება. საზომი ერთეულები ბუნებაში არ არსებობს; სამყაროში ხომ ყველაფერი რელატიურია, სასრულია. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, რელატიური სიდიდეებიდან ერთ-ერთი ავირჩიოთ, ჩავთვალით საზომ ერთეულად, ანუ პრივილეგიური მნიშვნელობა მივანიჭოთ, გავააბსოლუტუროთ და სიგრძის საზომ ერთეულად ვაქციოთ. ასეთია სიგრძის საზომი ერთეულები: მეტრი, არშინი, კილომეტრი და ა.შ., დროის საზომი ერთეული – საათი, ტემპერატურის საზომი ერთეული – თერმომეტრი და ა.შ. ყველა მათგანს კონვენციური მნიშვნელობა აქვს, არჩეულია სიმარჯვისა და მოხერხებულობის მიხედვით. სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ მეტრი ვუწოდოთ ას სანტიმეტრს, კილომეტრი – ათას მეტრს, საათი – სამოც წუთს და ა.შ. ამ შემთხვევაში ჩვენი არჩევანი კონვენციურია; ვთანხმდებით, რომ მეტრი ას სანტიმეტრს ვუწოდოთ, საათი – სამოც წუთს და ა.შ. საკმარისია მხოლოდ ის, რომ ისინი გაზომვისათვის სხვა სიდიდეებზე უფრო მარჯვე და

მოხერხებული იყოს, დანარჩენი თავისუფალი არჩევანის შედეგია. მათი გააბსოლუტურება ანუ აბსოლუტური მნიშვნელობის მინიჭება მხოლოდ მათ პრივილეგიებში გამოიხატება, კერძოდ იმაში, რომ საზომი ერთეული ზომავს, თავის მიხედვით აფასებს გასაზომ სიდიდეებს, მაგრამ თვითონ კი არასოდეს არის გაზომვის ობიექტი. არავინ მოითხოვს საზომი ერთეულის გაზომვას, ვინაიდან ასეთი მოთხოვნა უაზრობა იქნებოდა. თუ საზომი ერთეულის გაზომვას დავიწყებთ, მაშინ იგი გასაზომ სიდიდედ გადაიქცევა, რომლის გაზომვაც სხვა საზომ ერთეულს მოითხოვს და ასე უსასრულოდ.

მაშასადამე, საზომი ერთეულის არჩევა რელატიურის გააბსოლუტურებას, ანუ ფსევდოაბსოლუტურის შექმნას ნიშნავს. მისი ფსევდოაბსოლუტურობა იმაშია, რომ იგი ხელოვნურად გააბსოლუტურებული რელატიური, ანუ წარმომავლობის მიხედვით რელატიურია, მაგრამ გააბსოლუტურების შემდეგ აბსოლუტურის ყველა ფუნქციას ასრულებს და მისგან არაფრით განსხვავდება. სწორედ ეს ფსევდოაბსოლუტური ხდის შესაძლებელს შემეცნებასა და აზროვნებას, მის გარეშე ორივე მათგანი შეუძლებელი იქნებოდა.

ფსევდოაბსოლუტურია ადამიანის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფერო. მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს აქსიოლოგიაშიც, კერძოდ, ლირებულებითი ცნობიერების ბუნების გასაგებად. ადამიანს, გარდა თეორიული (შემეცნებითი) ცნობიერებისა, ღირებულებითი ცნობიერებაც აქვს, რომელსაც ადამიანისათვის თეორიულ ცნობიერებაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს. ადამიანი ხომ არა მარტო იმეცნებს, არამედ კიდეც აფასებს. მას რაღაც მოსწონს, რაღაც არ მოსწონს, ერთ ქცევას სიკეთედ თვლის, მეორეს – ბოროტებად. ერთი სიტყვით, ადამიანი ღირებულებითი ცნობიერების სფეროში ცხოვრობს. მას პიროვნებად სწორედ ღირებულებითი ცნობიერება ქმნის. მისი ღირებულებანი სხვა ადამიანების ღირებულებებისაგან განსხვავდება. ამაში მდგომარეობს მისი ინდივიდუალობა და პიროვნულობა. ყველა ადამიანს რომ ერთი და იგივე ღირებულებითი ცნობიერება ჰქონდეს, მაშინ მათ შორის განსხვავება წაიშლებოდა, პიროვნულობა დაიკარგებოდა და ადამიანი მასაში გაითქვითებოდა, ანუ იქნებოდა უპიროვნო ადამიანი.

ისმება კითხვა: რა განაპირობებს ადამიანთა ღირებულებითი ცნობიერების განსხვავებას? რატომ აქვს სხვადასხვა ადამიანს სხვა ადამიანებისაგან განსხვავებული, ზოგჯერ, საპირისპირ გემოვნება? ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ თითოეული ადამიანის ღირებულებით ცნობიერებას საფუძვლად სხვადასხვა იდეალი აქვს. ერთის იდეალი ასეთია, მეორისა – სხვა. არიან ადამიანები, რომელთაც მოსწონთ ჭექა-ქუშილი, ზღვის დელვა, საზოგადოებრივი არეულობა (რევოლუცია) და ა.შ. სხვებს კი ისინი სძულს. ამ იდეალთაგან რომელია სწორი? ამ კითხვას აზრი არა აქვს, ვინაიდან ყველა იდეალი, როგორც იდეალი, სუბიექტურია, რელატიურია. იდეალთა განსხვავებულობა მათ რელატიურობისა ნიშნავს. მაგრამ იდეალი, მიუხედავად მისი რელატიურობისა და სუბიექტურობისა, ადამიანის ღირებულებით ცნობიერებაში აბსოლუტური ღირებულების როლს ასრულებს. ყველა ადამიანი დარწმუნებულია, რომ მისი გემოვნება უპირატესია, ერთადერთი სწორი გემოვ-

ნებაა. აქ უკვე აშკარაა ღირებულებითი ცნობიერების საფუძვლად მყოფი იდეალის ფსევდოაბსოლუტურობა. ადამიანის ღირებულებით ცნობიერებას ფსევდოაბსოლუტური იდეალი მართავს. იდეალის ზემოაღნიშნული ჩვენებული გაგება, რომელიც ტრადიციული გაგებისაგან პრინციპულად განსხვავდება, უფრო ვრცლად გადმოცემულია ჩვენს წიგნში: „Природа знания и ценности“ (თბ., 1989), აგრეთვე სტატიაში: „რამდენიმე აუცილებელი განმარტება“<sup>1</sup>

არსებითად იგივე ვითარებაა ნორმატიული კანონზომიერების სფეროში. მაგალითად, იურიდიული კანონები დადგენილია ადამიანთა მოთხოვნებისა და მათი უფლებების დასაცავად. აბსოლუტური იურიდიული კანონი არ არსებობს. იგი წარმომავლობის მიხედვით რელატიურია, მაგრამ როცა მას პარლამენტი ან სხვა კანონმდებელი ორგანონ დაამტკიცებს, მაშინ იგი აბსოლუტურ მნიშვნელობას შეიძენს და არავითარ კონტროლს აღარ ექვემდებარება. იგი გადაიქცევა ადამიანთა ქცევის საყოველთაო ნორმად, თუმცა იგი სხვა არაფერია, გარდა ფსევდოაბსოლუტური, ადამიანთაგან გააბსოლუტურებული რელატიურისა. იგივე ითქმის მორალურ კანონებზეც, რომელთაც ადამიანები ცნობიერად ან არაცნობიერად ისტორიული განვითარების ხანგრძლივ მანძილზე აყალიბებენ. ადამიანები ხშირად არღვევენ იურიდიულსა და მორალურ კანონებს. ეს გარემოება მათ ფსევდოაბსოლუტურობას კი არ უარყოფს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათ ნორმატიულობას ასაბუთებს.

#### IV. ფსევდოაბსოლუტურის ფორმები

არსებობს ფსევდოაბსოლუტურის სამი ძირითადი ფორმა, რომელიც ფსევდოაბსოლუტურის ბუნებას სხვადასხვა კუთხით ახასიათებენ. ამ ფორმებიდან ყველაზე პირველსა და უძირითადეს წამოადგენს ხელოვნურად გააბსოლუტურებული რელატიური, რომელსაც გაზომვის პროცესში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. დამატებით მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ იგი ცნობიერი აქტია. არჩევა ცობიერების გარეშე შეუძლებელია. მის ფუნდამენტურობას კი ის წარმოადგენს, რომ გაზომვა ბუნების მეცნიერების ძირითადი მეთოდია, რომელიც ფსევდოაბსოლუტური ათვლის სისტემების არსებობას მოითხოვს. ფსევდოაბსოლუტური, როგორც ხელოვნურად გააბსოლუტურებული რელატიური, ფსევდოაბსოლუტურის ცნების შინაარსს სრულიად აშკარად გამოავლენს.

ფსევდოაბსოლუტურის მეორე ფორმა წარმოადგენს ობიექტის რომელიმე უპირატესი თვისების უნივერსალიზაციას, ხოლო მეორე და მესამე – ხარისხოვანი თვისებების უგულებელყოფას. ფსევდოაბსოლუტურის ამ ფორმას მიმართავენ სტატიისტიკური კანონზომიერების კვლევის დროს, აგრეთვე, თანამედროვე დეტერმინიზმში. მაგალითად, როდესაც სოციოლოგები ამა თუ იმ პროცესის მოსალოდნელ შედეგებს იკვლევენ, გამოკითხავენ რესპონდენტთა საკარის დიდ დიდ რიცხვს, ვთქვათ, რამდენიმე ათასს. თუ გამოკითხულთა დადებითი პასუხები ბევრად სჭარბობს უარყოფითს, მაშინ ამ უკანასკნელს უგულებელყოფენ და დადებითი პასუხების უნივერსალიზაციას ეწევიან, ანუ ააბსოლუტურებენ. ეს მეთოდი თითქმის ყოველთვის

1 იხ. კრ. „ფილოსოფიური ძიებანი“, XIII, 2009.

ამართლებს ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის (პრეზიდენტის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის) არჩევის პროცესში. ამგვარი აბსოლუტური, ცხადია, ფსევდოაბსოლუტურია, ვინაიდან უგულებელყოფილია სხვა შესაძლებელი პასუხები, რომელ შედარებით მცირე და ნაკლებმნიშვნელოვანი.

ფსევდოაბსოლუტურის ეს ფორმა კიდევ უფრო აშკარად ჩანს სტატისტიკურ დეტერმინიზმში. თანამედროვე დეტერმინიზმში უდავოდ მიჩნეულია, რომ არ არსებობს აუცილებლობისა და შემთხვევითობის პოლუსები, ანუ აბსოლუტური აუცილებლობა ან აბსოლუტური შემთხვევითობა. მატერიალური პროცესები სხვადასხვა დონის და ხარისხის აუცილებლობისა და შემთხვევითობის მატარებელია. ამ შემთხვევაში აუცილებლობასა და შემთხვევითობაზე ლაპარაკობენ ერთ-ერთი მათგანის უპირატესობის მიხედვით. ფრანგ მათემატიკოს ე. ბორელს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ცეცხლზე დადგმული წყალი ადულდება, მაგრამ გამორიცხული არ არის მისი გაყინვა, თუმცა ამის ალბათობა კატასტროფულად მცირეა. ადამიანმა მილიონი წელი რომ იცოცხლოს, ასეთ შემთხვევას ვერ ნახავს. სწორედ ამიტომ იმის მტკიცება, რომ ცეცხლზე დადგმული წყალი აუცილებლად ადულდება, მიჩნეულია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად; მისი სანინაალმდეგო შესაძლებლობა უგულებელყოფილია, თუმცა თეორიულად მისი გამორიცხვა შეუძლებელია. სწორედ ამაზეა დაფუძნებული ცეცხლზე დადგმული წყლის ადულდების ვარაუდი.

ფსევდოაბსოლუტურის მესამე ფორმას წარმოადგენს ე.ნ. „შემოსაზღვრული აბსოლუტური“. ასეთია, მაგალითად, ევკლიდური გეომეტრიის აქსიომები. ისინი აბსოლუტურია მხოლოდ ევკლიდური გეომეტრიის ფაგლებში; მის გარეთ კი ისინი აბსოლუტური აღარ არის. ეს არის „შემოსაზღვრული აბსოლუტური“ ანუ ფსევდოაბსოლუტური, ვინაიდან ჭეშმარიტი აბსოლუტური ვერავითარ შემოსაზღვრას ვერ ითმენს.

იგივე ითქმის თვითონ არისტოტელეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის შესახებ, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. არისტოტელე ლაპარაკობს ერთნიშნობის ანუ აბსოლუტურის აუცილებლობის შეახებ მხოლოდ მოცემულ დროსა და მიმართებაში. ამგვარი აბსოლუტური შემოსაზღვრული ანუ ფსევდოაბსოლუტურია, ვინაიდან იგი აბსოლუტურია მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში და არა მის გარეთ.

## V. ფსევდოაბსოლუტურის მენტალური უნივერსალურობა

ამ პარაგრაფში შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ ფსევდოაბსოლუტურობა ადამიანის თეორიული გონების ანუ მისი ცნობიერების ფუნდამენტური ნიშანია.

ვფიქრობთ, ზემოთ საკითხოები დავასაბუთოთ, რომ რეალური არსი რელატიური და სასრულია. მის სფეროში არაფერია აბსოლუტური. ამ მოსაზრებას დიალექტიკის თეორიაც ადასტურებს. დიალექტიკა ხომ მთელ სამყაროში წინააღმდეგობისა და ურთიერთდაპირისპირების არსებობას ამტკიცებს. წინააღმდეგობაში ყოფნა კი სასრულობისა და რელატიურობის მაჩვენებელია. დიალექტიკური წინააღმდეგობა, განსხვავებით მექანიკურისაგან, ურთიერთუარყოფასთან ერთად, ურთიერთდა-

საბუთებასაც გულისხმობს. აბსოლუტური კი არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. ეს აზრი ნიკოლაი კუზიანელმა დამაჯერებლად დაასაბუთა.

არსის რელატიურობა აზრშიც აისახება, ვინაიდან აზრი არსის ასახვას წარმოადგენს. ადამიანი, როგორც სასრული არსება, არ შეიძლება აბსოლუტურსა და უსასრულოს ფლობდეს. მთელი ადამიანური ცოდნა სასრული და რელატიურია. მართებულად წერს პოპერი: ჩვენ მხოლოდ რელატიური ჭეშმარიტების მფლობელნი ვართ.

არისტოტელემ, რელატივიზმის უარყოფის მიზნით, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი ჩამოაყალიბა, მაგრამ აბსოლუტურის წვდომა კვლავ შეუძლებელი დარჩა. ეს კანონი ფსევდოაბსოლუტურ ცოდნას ემსახურება და არა აბსოლუტურს. დროითა და მიმართებით შემოსაზღვრული ცოდნა არ შეიძლება აბსოლუტური იყოს. აბსოლუტური ხომ უპირობოსა და განუსაზღვრელს ნიშნავს.

ზემოაღნიშნული მოსაზრება შეეხება არა მხოლოდ წინამეცნიერულ ცოდნას, არამედ მეცნიერულსაც. იგი ძალაში რჩება არა მხოლოდ რეალური არსის ამსახველ მეცნიერებაში, არამედ აგრეთვე მათემატიკასა და ლოგიკაშიც, რომლებიც უკიდურესი აბსტრაქტულობით ხასიათდება.

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ თითქოს მათემატიკური დებულებები აბსოლუტური მნიშვნელობისაა; მაგრამ მათემატიკოსთა უმრავლესობა ამ აზრს არ იზიარებს და თვლის, რომ ნებისმიერი მათემატიკური ცოდნა რაღაც პოსტულატის ემყარება, რაც მის აბსოლუტურობას გამორიცხავს და, ადამიანის ცნობიერების სხვა სფეროების მსგავსად, რელატიურობას ამტკიცებს. ზემოთ ლაპარაკი გვქონდა იმის შესახებ, რომ ევკლიდური გეომეტრიის აქსიომების აბსოლუტურობა მხოლოდ ევკლიდური სივრცით შემოიფარგლება. „შემოფარგლული აბსოლუტური“ კი, სინამდვილეში, ფსევდოაბსოლუტურია. იგივე ითქმის არაევკლიდურ გეომეტრიაზეც.

ლოგიკურ აბსტრაქციებსაც გარკვეული საფუძველი გააჩნია; ისინი მიღებულია ინდუქციის წესით, ხოლო ინდუქციური დასკვნები ალბათურია. ამ აზრით, ლოგიკური მტკიცებანიც ფსევდოაბსოლუტურ ხასიათს ატარებს.

ფსევდოაბსოლუტური ხასიათი აქვს ემპირიულ ცოდნასაც. იგი ყოველთვის კონვენციურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ვიდრე ვიტყოდეთ, რომ „ნაპოლეონი გარდაიცვალა 1821 წლის 5 მაისს“, წინასწარ უნდა შევთანხმდეთ, რომ მხედველობაში გვაქვს გრიგორიანული კალენდარი. ასევე, როცა ვამბობთ, რომ „თბილისი იმყოფება სამხრეთით“, მაშინ შეთანხმებული ვართ, თუ რას ვუზოდებთ სამხრეთს ან რის მიმართ იმყოფება სამხრეთით. კონვენცია სხვა არაფერია, გარდა გააბსოლუტურებული რელატიურისა ანუ ფსევდოაბსოლუტურისა; ყოველ შეთანხმებას ფსევდოაბსოლუტური შინაარსი აქვს. ამ მხრივ წინამეცნიერული ცოდნა მეცნიერულისაგან არ განსხვავდება. ამრიგად, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გონება ფსევდოაბსოლუტურია. ამაში მდგომარეობს ფსევდოაბსოლუტური კანონზომიერების უნივერსალურობა. ასევე ფსევდოაბსოლუტურია პრაქტიკული (ლირებულებითი) ცნობიერების სფეროც. იდეალი, რომელიც საფუძვლად უდევს ღირებულებით ცნობიერებას, აშკარად გამოკვეთილი ფსევდოაბსოლუტური შინაარსისაა.

SERGI AVALIANI

## What is the Philosophy of Pseudo-Absolute?

The philosophy of pseudo-absolute is based on the following proofs:

All material things and phenomena are finite in space and time. Various things make each other finite in space. They are finite also in time. Not only material things are finite, but the world on the whole. This idea is proved by the modern cosmological theory (namely the Big Bang theory).

The finite is always relative, while the infinite is always absolute. Human beings live in the finite and relative world. That is why the human abilities are restricted. Human beings can does not recognize the absolute truth. In spite of this our knowledge is finite and relative.

The relative is multiple-meaning and ambiguous. Therefore relativity makes thinking and cognition impossible. The necessary condition of thinking and cognition is unambiguity, single meaning, but such is only the absolute. As human abilities are restricted, man can not recognize the absolute truth.

In this case how can we explain facts of knowledge and thinking, if cognition of the absolute truth is impossible?

In our opinion, we must search for the decision of that difficulty on the basis of the pseudo-absolute philosophy.

But what is the pseudo-absolute philosophy?

Since, on the one hand, the human knowledge is restricted and relative, but on the other hand, the knowledge, thinking and speech are impossible in case of relativity (ambiguity), people consciously or unconsciously create the absolute, neglect the relative nature of the empirical reality and take into consideration only the absolute aspects. Human beings cannot rely on the relative, because relative is ambiguous. Thus created by the man, the absolute is **pseudo-absolute**, which indeed is relative by its origin, but in the process of thinking it plays the role of genuine absolute. It means that the absolute is necessary for human mental purposes. Therefore, where it does not exist, the man creates it and makes it carry out all functions of the genuine absolute. Thus, **pseudo-absolute is the absolute created by the man, which by itself (by origin) is relative, but in the process of thinking it performs all functions of the genuine absolute.** In other words **the pseudo-absolute is relative absolutised by man.** The pseudo-absolute plays a huge methodological role in the field of the human spiritual life.

In most cases we create the pseudo-absolute subconsciously. It means, that the human cognitive faculty is so organized that it continually creates the pseudo-absolute, turns the relative into the absolute. For instance, in case of measurement we consciously choose the unit of measurement, give it a privileged meaning and thus make the pseudo-absolute.

There are three forms of the pseudo-absolute. The most important of them is the pseudo-absolute, which is consciously absolutised relative. It plays a fundamental role in the

theory of relativity and quantum mechanics, as they are impossible without measurement. Generally speaking, measurement is impossible without absolutisation of the relative, i.e. without the pseudo-absolute.

The second form of the pseudo-absolute is a result of universalization of a fundamental feature of an object as a result of disregarding its unimportant features. This form of the pseudo-absolute most obviously appears in statistical laws of nature and is confirmed in the modern determinism. The conception of the probable causality is its most clear demonstration. Probable causality and necessity are the pseudo-absolute causality and necessity.

The third form of the pseudoabsolute is the so called „limited absolute“, i.e. absolute which has a meaning only in a definite sphere of reality. It is known that the genuine absolute has no limit. Such form of absolute is only the pseudo-absolute. For instance, axioms of the Euclidean geometry have the pseudo-absolute meaning, because their absolute meaning is limited (restricted) by the Euclidian space.

Although the pseudo-absolute is a product of human spiritual activity, nevertheless it has an objective content, because its origin is conditioned by the requirement of knowledge and thinking. Thus the necessity of the pseudo-absolute exists in human theoretical and practical activity.

The pseudo-absolute and the absolute do not differ from each other by their function. In this sense the pseudo-absolute is the absolute. Nevertheless, the pseudo-absolute and the absolute are different. The pseudo-absolute has a subjective origin, but it is impossible to speak about the subjective origin of the absolute.

Thus, the pseudo-absolute is a „third reality“ besides the absolute and the relative. It is a dialectical unity of the absolute and the relative.

The pseudo-absolute plays a fundamental role in various spheres of human theoretical and practical life. It is known that our cognition often has a conventional character. Of course, the convention is not the cognition; it is a free agreement, but it plays an auxiliary role in the cognitive process. Conventions are introduced for the purpose of cognition in those cases when the cognition is impossible. It is the main gnoseological function of the convention. Conventions are units of measurement. They are in themselves neither true, nor false. They serve for cognition of the truth. Conventions are artificially created absolutes or the pseudo-absolutes. For instance, choice of the unit of measurement is free. It is nothing else, but an artificial transformation of the relative into the absolute. It means creation of the pseudo-absolute which has a privileged meaning.

The pseudo-absolute has fundamental significance in axiology, which is a study of the value. The value is an important sphere of human spiritual life. The value and cognition are various spheres of our consciousness. This means that we must make a distinction between the theoretical and practical consciousness. The evaluative consciousness is not interested in what an object is in itself; all human beings have emotions. Existence of the evaluative consciousness is a necessary condition for human life.

Valuation is possible if we have a standard, a criterion, which is the basis of valuation. Without a criterion valuation would be impossible. Such a criterion is the ideal, which is the

basis of the evaluative consciousness. The ideal by itself is infinite. The infinity of the ideal signifies only impossibility of the complete realization of the ideal.

An infinity of the ideal first of all means that it is the absolute. The ideal is an unrealized value, but the value is a realized ideal.

The ideal is relative because each man has his ideal. But the ideal, as infinite, is absolute. The ideal as standard is an absolutized relative i.e. the pseudo-absolute. Thus all ideal, as a standard, is pseudoabsolute, which performs all functions of the genuine absolute.

An individual is a person if he has own evaluative consciousness. The man lives in the world of values; his tastes and emotions are based on his ideals. Moreover, on the basis of the same ideal a man estimates all phenomena from his own point of view. As far as a man has certain ideals, it is impossible to dispute with him about the taste. He is absolutely confident that only his valuation is true. The basis of his confidence is the ideal, which is pseudo-absolute.

Thus, human ideal by itself is pseudo-absolute. Evaluative consciousness has the same nature, because it is the superstructure of the pseudo-absolute ideal.

Axiology, as a theory of value, must investigate the pseudo-absolute character of the value. As a consequence of this investigation it will become clear, that evaluative Judgments are pseudo-absolute. The value and knowledge differ from each other but they both have the similar nature, because they are various forms of the spiritual activity of a man. Their pseudo-absolute character has the similar nature. Namely the unity of the knowledge and value is expressed in this fact.

Therefore the pseudo-absolute has a universal meaning in all fields of human theoretical and practical life.

## **მანანა ქუმსიშვილი**

**მსახური, ცამაზი ეს ბინენიჩი, თუ საშინაო სიავები**

სიკვდილის თემა ყოველთვის იყო ფილოსოფოსთა ყურადღების ცენტრში, მაგრამ „სიკვდილის ფილოსოფიას“ ჯერ კიდევ დასაკავებელი აქვს სათანადო ადგილი „სიცოცხლის ფილოსოფიის“ გვერდით. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, ისევე როგორც არსებობა – არარსებობის და ყოფნა-არყოფნის პრობლემა, არა მხოლოდ ეგზისტენციალური ფილოსოფიის, არამედ, საერთოდ, ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. სიცოცხლის ფილოსოფიასთან შედარებით, სიკვდილის ფილოსოფია უფრო მეტაფიზიკური ფილოსოფიაა და უფრო რთული ფილოსოფიაც. ჩვენთვის ამოუცნობია სიცოცხლის საიდუმლო და, მით უმეტეს, ამოუცნობია სიკვდილის საიდუმლო.

„სიკვდილი დედა ყოფილა, სიცოცხლე – დედინაცვალი“, – ეს სიტყვები ვახუშტი კოტეტიშვილს მნარე ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ათქმევინა. თითქოს არავინ დაობს იმაზე, რომ „ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“. გარკვეული აზრით, სიკვდილი, როგორც არყოფნა, მართლაც არის დედა, რადგან ჩვენ არყოფნიდან მოვდივართ და ისევ არყოფნას უბრუნდებით, მაგრამ, მეორე მხრივ, გვიყვარს კი სიკვდილი, როგორც „შვილებს“, დედაშვილური სიყვარულით? მაინც რა პასუხი უნდა გავცეთ შექსპირისეულ კითხვას: „ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის“? „ყოფნა-არყოფნის“ დაპირისპირებულ წყვილში უპირატესობა აუცილებლად ყოფნას უნდა მივანიჭოთ, ისევე როგორც ძილთან შედარებით – ღვიძილს, ისევე როგორც „არსებობა-არარსებობისა“ და „სიკვდილ-სიცოცხლის“ წყვილებში – არსებობას და სიცოცხლეს. მართალია, ეს მეტად „ადამიანური“ თვალსაზრისია, მაგრამ, ჩემი აზრით, ფილოსოფიური ცნებებისა და კატეგორიების დალაგებას თუ მოვინდომებთ იერარქიული რიგითობის მიხედვით, მაშინ პირველობა აუცილებლად არსებობის და სიცოცხლის კატეგორიას უნდა მივანიჭოთ.

„გახსოვდეს სიკვდილი!“ – გვახსენებს, გვაფრთხილებს და ჩვენს ყურადღებას სიკვდილისკენ წარმართავს ლათინური ფრთიანი გამონათქვამი. სპინოზას აზრით კი, თავისუფალი ადამიანი არაფერზე ფიქრობს ისე ცოტას, როგორც სიკვდილზე, და მისი სიბრძნეც მდგომარეობს არა სიკვდილის შესახებ, არამედ სიცოცხლის შესახებ ფიქრში (4. გვ. 545). მაგრამ მე უფრო ვემხრობი იმ ფილოსოფოსებს, რომელთა აზრითაც, ფილოსოფია სიკვდილისკენ სვლა, სიკვდილის სწავლა ან სიკვდილის-თვის მზადებაა, ხოლო სიკვდილი ფილოსოფიის მუზაა.

ხშირად პოეტები შესაშური დადებითი ეპითეტებით ამკობენ სიკვდილს. მაგალითად: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“, – ამბობს ვაჟა ფშაველა და ამ სიტყვებით იმის თქმა სურს, რომ სიკვდილის გარეშე სიცოცხლეს აზრი ეკარგება და სწორედ სიკვდილი აძლევს ღირებულებას სიცოცხლეს, როგორც წუთისოფელს და საწუთოს. ვაჟა ფშაველას მსჯელობა, ერთი მხრივ,

სწორია, თუმცა, მეორე მხრივ, გულის სიღრმეში შეიძლება არც დავეთანხმოთ და გაუგებრადაც მოგვეჩვენოს, თუ როგორ შეიძლება, რომ სიცოცხლე სიკვდილით იწონებდეს თავს და სიკვდილი ალამაზებდეს და ამშვერებდეს სიცოცხლეს. ლადო ასათიანის ლექსის სიტყვები კი სიცოცხლის სადიდებელ ჰიმნად უდერს: „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“ სიკვდილი მრავალნაირი შეიძლება იყოს, მაგრამ ადამიანთა უმეტესობისთვის სიკვდილი უარყოფით ემოციებთან, მოგონებებთან ან ასოციაციებთანაა დაკავშირებული. მაინც როგორია სინამდვილეში სიკვდილი? ამას ვერასოდეს გავიგებთ, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ სიკვდილის შეფასებებში გარკვევას. ფილოსოფიასა და მხატვრულ ლიტერატურაში სიკვდილი შეიძლება ხასიათდებოდეს ისეთი დადებითი ეპითეტებით, როგორიცაა მსუბუქი, ლამაზი და ბედნიერი, მაგრამ არის კი სიკვდილი მართლა ასეთი?

„ლამაზი სიკვდილი“ უწოდეს ერთადერთი ქალიშვილის კიბოთი სიკვდილს მშობლებმა, რომარი და ვიქტორ ზორზებმა, წიგნში „გზა სიკვდილისაკენ. იცხოვრო ბოლომდე“. ამ წიგნში აღნერილია 25 წლის ინგლისელი ქალიშვილის, ჯეინ ზორზას, უკანასკნელი დღეები უკურნებელი სენით შეპყრობილ მომაკვდავ ავადმყოფთა სპეციალურ საავადმყოფოში, ე.წ. „პოსპისში“, სადაც ყველა პირობა იყო შექმნილი იმისთვის, რომ სასიკვდილოდ განწირული ადამიანებისთვის შეძლების-დაგვარად შეემსუბუქებინათ სიცოცხლესთან განშორების მტანჯველი და ტკივილიანი წუთები. ჯეინ ზორზა, სრული შეგნებით და სავსებით საღ გონებაზე მყოფი, თვითონ ირჩევს ამ ქვეყნიდან ნასვლის დღეს და მას ცნობიერების გამთიშავ სპეციალურ ნემსს უკეთებენ. თავისთავად ცხადია, რომ წიგნი ნებისმიერ მკითხველზე საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, დიდ გულისტყვილს იწვევს და, რბილად რომ ვთქვათ, ჯეინ ზორზას სიკვდილის მომენტის სილამაზის აღქმას აძნელებს.

„ძალიან მსუბუქი სიკვდილი“ უწოდა დედის სიკვდილისადმი მიძღვნილ მოთხოვნას ეგზისტენციალისტმა ფილოსოფოსმა ქალმა სიმონა დე ბოვუარმა. სიმონა დე ბოვუარს ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დედა პარიზის ერთ-ერთ პრესტიულ თუ ძვირადლირებულ საავადმყოფოში მოეთავსებინა. ექიმები ფრანსუაზა დე ბოვუარს ტკივილგამაყუჩებლებსაც უკეთებდნენ, ორი ქალიშვილიც ედგა თავს, ნათესავები და ნაცნობ-მეგობრებიც ყურადღებას არ აკლებდნენ, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მე მაინც ვერ ვუწოდებდი მის სიკვდილს „ძალიან მსუბუქს“, მით უმეტეს, რომ, ფიზიკურ ტანჯვა-წვალებასთან ერთად, ფრანსუაზა დე ბოვუარმა სიკვდილის შიშიც სრული შეგნებით გამოსცადა.

მოთხოვნაში სიმონა დე ბოვუარი იხსენებს თავის ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებს ბებიის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ბებიის სიკვდილი საკმაოდ განსხვავდებოდა დედის სიკვდილისგან. ღრმად მორწმუნე ბებიას უთქვამს, ბოლო თოხლო კვერცხს შევჭამ და წავალ ჩემს გუსტავთანო. როგორც ჩანს, ბებიასთან შედარებით, ფრანსუაზა გაცილებით მეტს ფიქრობდა სიკვდილზე და უფრო მეტადაც ეშინოდა სიკვდილის. ქალიშვილები უმაღლავდნენ, მაგრამ ბოლოს ფრანსუაზამ მაინც გაიგო სიმართლე, სიკვდილის საშინელების გაცნობიერების პირის-

პირ მარტო დარჩა და სიკვდილ-სიცოცხლის გამყოფი სიფრიფანა ბარიერის იქით აღმოჩნდა.

სიმონა დე ბოვუარის ამ მოთხოვაში კარგადაა ნაჩვენები ეგზისტენციალის-ტური ე.წ. „საზღვრითი სიტუაცია“, სიკვდილ-სიცოცხლეს შორის აღმართული სიფრიფანა ბარიერი და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, სიკვდილის პირისპირ მარტოდ დარჩენილი ადამიანის აზრები, გრძნობები და განცდები. ბლეზ პასკალის აზრითაც, ადამიანები მარტოობაში კვდებიან. სიმონა დე ბოვუარის მოთხოვაში კითხვისას კი სულ მახსენდებოდა ჰანს ფალადას ერთ-ერთი ნაწარმოების სათაური: „სიკვდილის დროს ყველა მარტო“. ავტორმა, თავისდაუნებურად, ეგზისტენციალური „საზღვრითი სიტუაციის“ მოსწრებული და ხატოვანი დახასიათება მოგვცა. სიმონა დე ბოვუარმაც მთელი სიმძაფრით შეიგრძნო სიკვდილის საშინელების წინაშე დედის მარტოობა და მწერლის ხელით აღწერა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მიმდინარე რბოლა, რომელიც საბოლოოდ ყოველთვის სიკვდილის გამარჯვებით მთავრდება. მწერალმა ქალმა ეგზისტენციალურად გაიაზრა დედის სიკვდილის ფაქტი და მას საკუთარი სიკვდილის რეპეტიციაც კი უწოდა.

ბედნიერი სიკვდილი უწოდა გურამ რჩეულიშვილმა თავის მოთხოვაში – „სიკვდილი მთაში“ – ტრაგიული შემთხვევის შედეგად გერმანელი მწერლის მეუღლის დაღუპვას. ქალი მთებში ისვენებდა ოჯახთან ერთად, როდესაც შემთხვევით ცხენიდან ჩამოვარდა, თავი ქვას დაარტყა და ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვალების მომენტში ის ბედნიერი იყო და ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ქალმა სიკვდილის საშინელების და თავსდატეხილი უბედურების გაცნობიერება ვერ მოასწრო. „ბედნიერი სიკვდილი“ ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის და მწერლის, ალბერ კამიუს ნაწარმოების სათაურია. ახალგაზრდა მდიდარი კაცი მერსო ნაადრევად კვდება ჭლექით, მაგრამ ის ფილოსოფიურად მოაზროვნე პიროვნებაა და მას თითქოს არც ეშინია სიკვდილის. უკანასკნელ წუთებში ის ფხიზელი გონებით აკვირდება საკუთარ აგონიას და, ალბათ, სიკვდილის საიდუმლოსთან ზიარების იმედიც აქვს. მაგრამ იყო კი მერსოს სიკვდილი ბედნიერი სიკვდილი? არა მგონია. როგორც ნაწარმოებიდან ირკვევა, მერსომ ცხოვრებაში არ გამოსცადა ნამდვილი ადამიანური ბედნიერება. ის მარტოსული იყო სიცოცხლეშიც და მარტოსულადვე კვდებოდა. მერსოს ვერც სიცოცხლეს და ვერც სიკვდილს ვუწოდებ ბედნიერს. კამიუმ მერსოს სიკვდილს ბედნიერი სიკვდილი, ალბათ, ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური გაგებით უწოდა, როგორც გაცნობიერებულ მდგომარეობაში სამყაროსთან შერწყმის განსაკუთრებულ შემთხვევას. მაგრამ ხომ არ იყო ეს მერსოს მხრიდან თავის მოტყუება? თუკი მან სიკვდილის საიდუმლოსთან ზიარებისას რაღაც განიცადა, საეჭვოა, რომ ამ რაღაცას ადამიანურ ბედნიერებასთან რაიმე საერთო ჰქონდა.

ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ სიკვდილი იყოს ბედნიერი, ლამაზი ან მშვენიერი. ჩვეულებრივი ადამიანური გაგებით, სიკვდილი მხოლოდ უარყოფითი ეპითეტებით შეიძლება დახასიათდეს, როგორც საშინელება, უბედურება და სიმახინჯე. მე ვერც ფრანსუაზა დე ბოვუარის სიკვდილს ჩავთვლი ძალიან მსუბუქ სიკვდილად; ვერც გერმანელი მწერლის მეუღლის და ვერც კამიუს პერსონაჟ მერ-

სოს სიკვდილს – ბედნიერ სიკვდილად და ვერც ჯეინ ზორზას სიკვდილს აღვიქვამ ლამაზ და მშვენიერ სიკვდილად. სიკვდილს თუნდაც იმიტომ არ შეიძლება ეწოდოს მსუბუქი, რომ მომაკვდავ ადამიანებს სიკვდილის შიშის დაძლევაც უწევთ. ალბათ, მხოლოდ მეტაფიზიკური ან რელიგიური კუთხით განხილული სიკვდილი შეიძლება ჩაითვალოს მსუბუქ, მშვენიერ ან ბედნიერ სიკვდილად, მაგრამ ისიც – პირობითად. ჩვეულებრივი ადამიანური თვალსაზრისით კი, სიკვდილი მხოლოდ საშინელებაა და მეტი არაფერი. ამიტომ, ბოვუარის, კამიუს და ზორზას საპირისპიროდ, შემიძლია დავეთანხმო ჩერნიშვესკის და ვთქვა, რომ მშვენიერება არის სიცოცხლე და სიცოცხლე მშვენიერია, ხოლო სიკვდილი სიმახინჯეა.

სიკვდილთან დაკავშირებული პრობლემები არა მხოლოდ ნამდვილი მეტაფიზიკური პრობლემებია, არამედ ფსიქოლოგიური, სოციალური და ეთიკური პრობლემებიცაა. სიკვდილთან და სიკვდილის სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, უდავოდ, საინტერესოა ტოლსტოის მოთხოვობა „სამი სიკვდილი“, სადაც სიკვდილის სამი, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსხვავებული დონის თუ ხარისხის გარიანტია წარმოდგენილი, მაგრამ სამივე შემთხვევაში სიკვდილი საშინელი ფერებითაა დახატული. ჭლექისგან კვდება ორი ადამიანი, რომელიც განსხვავებულ სოციალურ ფენას ეკუთვნის: მდიდარი და განათლებული ქალბატონი და ღარიბ-ღატაკი, უთვისტომო მეტლე. ახლობლების ყურადღებით განებივრებული ქალბატონი მაინც უკმაყოფილოა. ის ბოლო წუთამდე ებლაუჭება სიცოცხლეს და ვერაფრით პოულობს სულიერ სიმშვიდეს.

მდიდარი ქალბატონისგან განსხვავებით, სრულიად სხვაგვარ ვითარებაში, ღარიბულ ქობში, ჭლექისგან კვდება უპატრონო და უსახლკარო ღარიბი მეტლე. მისი მდგომარეობა დიდად არავის ანალვლებს და ისიც უდრტვინველად ეგუება თავის ბედს. მდიდარ ქალბატონთან შედარებით, ის უფრო რეალურად აღიქვამს სიტუაციას და ობიექტურად აფასებს ვითარებას. ის დაუნანებლად ჩუქნის თავის ახალ ჩექმებს ახალგაზრდა მეტლეს, რადგან იცის, რომ მათ ვეღარასოდეს ჩაიცვამს. ახალგაზრდა მეტლე კი მომაკვდავისთვის მიცემულ პირობას მთლად პირნათლად ვერ ასრულებს და გარდაცვალებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, საფლავის ქვის დადების მაგივრად, ხის ჯვარს გამოუთლის ტყეში მოჭრილი ხისგან. მდიდარი ქალბატონი და ღარიბი მეტლე განსხვავებულ სოციალურ ფენას ეკუთვნიან და ამ ორი ადამიანის სიკვდილს შორის სოციალური განსხვავება იმაშიც ჩანს, რომ ქალბატონის საფლავზე ქვის სამრეკლო აღიმართება, ღარიბი მეტლე კი საფლავის ქვის დადებასაც ვერ ეღირსება და მხოლოდ ბალახით დაფარული ბორცვი და უბრალო ხის ჯვარი იქნება მისი საფლავის ადგილმდებარეობის მიმანიშნებელი. სწორედ აქ ჩნდება ტოლსტოის მოთხოვობაში მესამე მომაკვდავი პერსონაჟი, ტყეში გახარებული უდანაშაულო ხე, რომელიც „ტრაგიკულად იღუპება“ და მისი სიცოცხლე რელიგიურ რიტუალს, მოხუცი მეტლის საფლავის ჯვარს ენირება. ხის სიკვდილს ტოლსტოი ჩვეული ისტატობით და დიდი გულსტკივილით აღწერს. ტყეში ლალად გაზრდილი ახალგაზრდა ხე „ძალადობრივი სიკვდილით“ კვდება. ძნელია ზუსტად იმის დადგენა, თუ რისი თქმა სურდა ტოლსტოის ამ მოთხოვობით, განსაკუთრებით

კი, ხიდან საფლავზე დასადგმელი ჯვრის გაკეთების ფაქტის აღწერით, მაგრამ ხის სიკვდილის სცენაში ის მაინც კარგად ჩანს, რომ ტოლსტოისთვის სიკვდილი საშინელებაა თუნდაც იმიტომ, რომ ის სიცოცხლის წარმევაა. ჯანმრთელი სიცოცხლე კი, მით უმეტეს, ახალგაზრდა სიცოცხლე – ზეიმია, სიხარულია, სილამაზეა, ბედნიერებაა. ამ სამ განსხვავებულ სიკვდილს შორის საერთო ისაა, რომ სამივეგან სიკვდილის საშინელი სახეა ნაჩვენები.

One of the largest countries in the world, Brazil is still a Young nation. It was in 1500 that Portugal began the colonizer enterprise, and Brazil was the biggest portion to be submitted in the new world. Therefore, the initial Brazilian philosophy was under Portuguese influence, and must be understood in the context of strong Counter-Reformation. The Jesuitical presence in the beginning of colonization was the only source of education in all areas, with Philosophy as servant of Theology. During the Lightning, the Jesuits were expelled from Portuguese possessions, and simultaneously a number of Brazilians went to study abroad, making contact with other authors and perspectives. However, it was just in XIX century, with a permission to have the first Higher Education institution in Brazil that the field of Philosophy began to develop.

In the first moment, there was a strong influence of Comte's positivism and scienticism, with emphasis on ways to organize the society in scientific mode. There is also a scholastic philosophy, practiced in catholic colleges and very disseminated. The most important characters (and almost all) in Brazilian Philosophy were clergies. Paim (2007, p. 129) analyses the work of Father Leonel Franca, for whom modern Philosophy is full of error, and only Catholic, thomistic scholastic can restore the Philosophy greatness.

The XX century produces a more fruitful philosophy, within the context of a young republic and democracy. As in ancient Greece, Brazil also has a connection between democracy and Philosophy. The scienticism is replaced by others perspectives, as Kant, Marx, Weber, existentialism, phenomenology became object of study. In Sao Paulo, that became the bigger city in Brazil, the University of Sao Paulo received the so called French Mission, a group of French intellectuals and professors that includes

However, the great tradition in Brazil is still hermeneutical, and always referred to what is produced in Europe and most recently United States of America. The occurrence of episodes of dictatorship in Brazilian history produces an irreplaceable loss in terms of human resources,

with a great part of philosophers suffering the exile, persecution of teachers and professions considered dangerous to the nation. Many universities had to close Philosophy courses, many books were prohibited, with imprisonment risk for those who were caught reading it.

The re-democratization period began in 1985, with a transition for democracy and presidential elections in 1989. Since them, many professors have returned to teach at Brazilian universities after a long period abroad. This way, they also brought new perspectives, new authors, and new discussions. Themes like environmental ethics, Bioethics, neuroethics, logic, and education, philosophy of law, culture and policy are object of studies and discussion, mostly in a perspective that comes from Europe or the U.S.A. however, and the most prominent philosophical line is the culturalism. According to Carvalho, the success of culturalism in Brazil occurs because of the “possibility of promoting the unity of the spirit, as they turn themselves to the cultural experience, not just the natural experience ...”, what is essential in a very diverse country as Brazil.

Presently, as we still have an hermeneutical tradition, the investigate themes are wider and in connection with other areas, as Law, policy, education, science and questions about national identity, cultural diversity and health questions, for example. There is no need of a French or German mission: Brazil has, again, a generation of philosophers that assume the role of public intellectuals, recognized professors and national consciousness. Right now, in April, 2015, a philosopher became Minister of Education. A meaningful symbol of the new role of philosophy in Brazil.

## References:

1. de Carvalho, José Maurício. “Contribuição contemporânea à história da filosofia brasileira.” (Contemporary contribution to history of Brazilian philosophy). 1999.
2. Paim, Antônio. *História das idéias filosóficas no Brasil*. (History of philosophical ideas in Brasil). Ed. Grijalbo, 1967.
3. Paim, Antônio, Mário Guimarães Ferri, and Shozo Motoyama. “Trajetória da filosofia no Brasil.” (Trajectory of philosophy in Brazil). *História das Ciências no Brasil* 1979.

## **ვალერია ტრიგუერიო სანტოს ადინოლფი**

**ფიცოსმფერები აზხო ბაზირიაში**

### **მოკლე მიმოხილვა**

მე-20 საუკუნის ბრაზილიაში პოლულარულია კანტი, მარქსი, ვებერი, ექსისტენციალიზმი და ფენომენოლოგია. სან პაულუს უნივერსიტეტში მუშაობს ფრანგ ფილოსოფოსთა და პროფესორთა ჯგუფი. ბრაზილიური ფილოსოფია ძირითადად ევროპული და ამერიკული ფილოსოფიის ინტერპრეტაციაა, ბრაზილიული ფილოსოფოსები არ არიან. დღეს პოპულარული საკვლევი სფეროებია: ეკოლოგიური ეთიკა, ბიოეთიკა, ნეიროეთიკა, ლოგიკა, განათლებს ფილოსოფია, კულტურის და პოლიტიკის ფილოსოფია. ყველაზე პოპულარული და გავლენიანია კულტურული კვლევები. ბრაზილიაში წარმოდგენილია ჰერმენევტიკული ტრადიციაც, რომლის საკვლევი თემებია: პოლიტიკა, ჯანმრთელობა, სამართალი, განათლება და ეროვნული თვითცნობიერება და კულტურული მრავალფეროვნება.

## ახალი თარგმანები

### NEW TRANSLATIONS

---

#### ესიცვალი და მისი წიბნი „ჩასეთი და ცვრცა“

ნიკოლაი დანილევსკის ამ სქელტანიანი ნაშრომიდან რამდენიმე თავის ქართულად თარგმნა ითვალისწინებდა ჩვენი სამეცნიერო, და არა მარტო სამეცნიერო, საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს პოსტსაბჭოთა რუსეთის პოლიტიკური არჩევანის მიმართ. XIX საუკუნის ცნობილი ისტორიის ფილოსოფოსის, ნატურალური თეოლოგის ფუძემდებლის, კულტუროლოგის, სოციოლოგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლაი დანილევსკის (1822-1885) წიგნში „რუსეთი და ევროპა“ (1869) წარმოდგენილია მსოფლიოში არსებული კულტურულ-ისტორიული ტიპების თეორია. რუსეთის ისტორიულ მისიას დანილევსკი ხედავდა სლავური კულტურულ - ისტორიული ტიპის შენარჩუნებასა და განვითარებაში. მისი შეხედულების თანახმად, საჭიროა სლავური წარმოშობის ერების სოლიდარობის გაძლიერება, რათა დასავლეთს არ მიეცეს მათი დამორჩილების ან ასიმილირების საშუალება. დანილევსკის ნაშრომი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა, ცხარე დისკუსიების თემა გახდა. მეცნიერის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა ცნობილი რუსი მედასავლეთე ვლადიმერ სოლოვიოვი.

დანილევსკისთვის მიუღებელია ცივილიზაციათა უსასრულო პროგრესის იდეა. ნატურალიზმით აღფრთოვანებული მკვლევრისთვის ცივილიზაცია ბიოლოგიური ორგანიზმია, რომლისთვისაც დამახასიათებელია განვითარების განსაზღვრული სტადიები: ზრდა, დასუსტება და კვდომა. ხოლო რაც შეეხება საერთო-საკაცობრიო ცივილიზაციას, ის არასოდეს არსებობდა და არც იარსებებს. მისთვის ის ცალკეული ცივილიზაციების ერთობლიობაა.

ქრონოლოგიურად დანილევსკიმ გამოყო 10 კულტურულ-ისტორიული ტიპი, ანუ ცივილიზაცია: 1. ეგვიპტური, 2. ჩინური, 3. ასურულ-ბაბილონურ-ფინიკიური, 4. ინდური, 5. ორანული, 6. ებრაული, 7. ბერძნული. 8. რომაული, 9. ახალსემიტური ან არამეული, 10. გერმანულ-რომანული ან ევროპული. აქვე იგი ასახელებდა ორ ამერიკულ ტიპს – მექსიკურსა და პერუს, რომელთაც ვერ მოასწრეს განვითარების დასრულება და ძალადობრივი სიკვდილით დაიღუპნენ. ამ კულტურულ-ისტორიულმა ტიპებმა მთლიანად ან ნაწილობრივ ამონურეს თავიანთი შესაძლებლობანი. თვისებრივად ახალ, ისტორიულად პერსპექტიულ ტიპად დანილევსკი მიიჩნევდა „სლავურ-რუსულ ტიპს“.

დანილევსკი მათ კლასიფიკაციასა და შეფასებას ახდენდა იმის მიხედვით, თუ რამდენად იყო მათში განხორციელებული შემოქმედებითი მოღვაწეობის ოთხი ტიპიდან – რელიგიური, მხატვრულ-კულტურული, პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური – ერთ-ერთი.

საგულისხმოა, რომ დანილევსკის კულტურულ-ისტორიულ ტიპთა კონცეფცია ლოკალურ ცივილიზაციათა კონცეფციის წინამორბედი აღმოჩნდა, რომელიც მე-XX საუკუნეში შეიმუშავეს ოსვალდ შპენგლერმა და არნოლდ ჯ. ტოინბიმ.

ნაშრომში წარმოდგენილია რუსული მესიანიზმის თეორიული საფუძვლები და ის იდეები, რომელთა რეალიზებასაც ისახავენ მიზნად დღევანდელი ევრაზიელები. ევრაზიიზმის კონცეფციის მიმდევრები. ევრაზიიზმი ცივილიზაციურ-სამეცნიერო-კვლევით კონცეფციადაა მიჩნეული. იგი შესაძებელია მომავალში განივრცოს და კვლავაც განვითარდეს.

რუსეთ-დასავლეთის ცივილიზაციურ განსხვავებათა ავტორისეული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, უკეთ დავინახოთ საკუთარი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, ჩვენი აწმყო და მომავალი, რათა გააზრებული არჩევანი გავაკეთოთ ორ განსხვავებულ სამყაროს შორის.

მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს წიგნის III თავიდან, რომელშიც, მედასავლეთებისგან განსხვავებით, ავტორი საუბრობს რუსეთზე და, ზოგადად, სლავურ სამყაროზე, როგორც რომანულ-გერმანულისგან განსხვავებულ, თვითმყოფად ცივილიზაციაზე. საგულისხმოა, რომ დანილევსკის კულტურათა სისტემატიზაციაში კავკასიელი ერები არ განიხილება განსხვავებულ კულტურულ ერთეულებად, მეტიც, ავტორი გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ დასავლეთი ენინააღმდეგება თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხების რუსეთის მიერ „ცივილიზებას“.

თარგმანი და კომენტარები  
გიორგი სიამაშვილისა

## ნიკოლაი დანილევსკი

### ვვჩონაა ამ ჩასეთი?

როდესაც ძველი სამყაროს სამ ნაწილად დაყოფა ხდებოდა, ამას გააჩნდა მკვეთრად განსაზღვრული მნიშვნელობა. მიმდინარეობდა ზღვებით გაყოფილი ხმელეთის დიდი მასების დაყოფა და ამ გარემოების გათვალისწინებით მათი მსოფლიოს ნაწილებად დანაწევრება. ის, რაც ძველთათვის ზღვის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ევროპად იყო სახელდებული, რაც სამხრეთით, აფრიკა დაარქვეს, რაც აღმოსავლეთით – აზია. ძველი ბერძნები აზიას უწოდებდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს – იმ ქვეყანას, რომელიც კავკასიის ქედის ჩრდილოეთ დაბლობზე მდებარეობდა, სადაც, გადმოცემის თანახმად, კლდეს მიაჯაჭვეს პრომეთე, რომლის დედას თუ დას აზია ერქვა; აქედან ეს სახელწოდება გადატანილ იქნა ნახევარკუნძულზე, რომელიც მცირე აზიის სახელით არის ცნობილი, ხოლო შემდგომ მსოფლიოს იმ ნაწილზე გავრცელდა, რომელიც ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობდა [\*1]. როდესაც მატერიკების მონახაზები გამოიკვეთა, დადასტურდა აფრიკის ევროპისაგან და აზიისგან ცალკე ყოფნა, ხოლო აზიის ევროპისგან გამოყოფა უსაფუძღლო აღმოჩნდა, მაგრამ ასეთია ჩვევის ძალა, დამკვიდრებული წარმოდგენების პატივისცემა და, ეს რომ არ დაერღვიათ, ხელოვნურად დაიწყეს საზღვრების გავლება.

მიეკუთვნება თუ არა რუსეთი ევროპას? მე უკვე გავეცი პასუხი ამ კითხვაზე. თუ გნებავთ – მიეკუთვნება, თუ არ გნებავთ – არ მიეკუთვნება, გნებავთ – ნაწილობრივ მიეკუთვნება, ვისაც რამდენითაც სურს, იმდენით მიეკუთვნება. თუმცალა, იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც განვიხილავთ ამ საკითხს, არავითარი ევროპა არ არსებობს, არის მხოლოდ აზიის დასავლეთი ნახევარკუნძული, რომელიც თავიდან სხვა აზიურ ნახევარკუნძულებთან შედარებით, ნაკლებად განსხვავდებოდა მისგან, ხოლო დაბოლოებაში სულ უფრო დანაწევრებულ, დაყოფილ სახეს იძენდა.

ნუთუ ასეთი უღერადი სიტყვა – „ევროპა“ – არაფერს გამოხატავს, უაზრო, ცარიელი ბგერაა? რა თქმა უნდა, არა! მისი შინაარსი საკმაოდ ტევადია – ოღონდ არა გეოგრაფიული, არამედ კულტურულ-ისტორიული, და ევროპასთან მიკუთვნებულობის ან არმიკუთვნებულობის საკითხში გეოგრაფიას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. რაღას წარმოადგენს ევროპა ამ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობით? პასუხი სრულიად გარკვეული და დადებითია. ევროპა გახლავთ რომანულ-გერმანული ცივილიზაციის სარბიელი, არც მეტი არც ნაკლები, ან, მეტაფორულად თუ ვიტყვით, ევროპა თავად არის რომანულ-გერმანული ცივილიზაცია. ეს სინონიმებია, მაგრამ მარტო რომანულ-გერმანული ცივილიზაცია ემთხვევა მნიშვნელობით სიტყვას ევროპა? ხომ არ შეიძლება განვმარტოთ ის, როგორც „ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაცია“ ან, თუნდაც, როგორც მისი გვირგვინი?

იმავე ევროპულ ნიადაგზე ხომ არ ამოზრდილა ბერძნული და რომაული ცი-

ვილიზაციები? არა, ამ ცივილიზაციათა სარბიელი სხვა იყო – ეს იყო ხმელთაშუა ზღვის აუზი, იმისგან სრულიად დამოუკიდებლად, თუ სად მდებარეობდნენ ამ უძველესი ცივილიზაციის ქვეყნები – ჩრდილოეთით, სამხრეთით თუ აღმოსავლეთით; ზღვის ევროპულ, აფრიკულ თუ აზიურ ნაპირებთან. ჰომეროსი, რომელშიც როგორც სარკეში, აისახებოდა მთელი საბერძნეთის ცივილიზაცია, გადმოცემის თანახმად, ეგეოსის ზღვის მცირე აზიის სანაპიროზე დაიბადა. ეს მცირე აზიის კუნძულოვანი ნაპირი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ელინური ცივილიზაციის მთავარ სარბიელს ნარმოადგენდა. აქ ჩაისახა არა მარტო ბერძნების ეპიკური პოეზია, არამედ ლირიკა, ფილოსოფია (თალესი), ქანდაკება, ისტორია (ჰეროდოტე) მედიცინა (პიპოკრატე), და ყოველივე ეს აქედან გადავიდა ზღვის მეორე ნაპირზე. მართალია, ამ ცივილიზაციის მთავარ ცენტრად შემდგომში ათენი იქცა, მაგრამ ნაყოფი გამოისხა არა ევროპულ ქვეყანაში, არამედ ალექსანდრიაში, ეგვიპტეში, სადაც დასრულდა კიდევ. შესაბამისად, ძველმა ელინურმა კულტურამ განვითარების პროცესში შემოიარა სამყაროს ეგრეთ წოდებული სამიერ ნაწილი – აზია, ევროპა და აფრიკა და არ წარმოადგენდა მხოლოდ ევროპის კუთვნილებას. იგი არ დაწყებულა მასში და არც მასში დასრულებულა.

ბერძნები და რომაელები, უპირისპირებდნენ რა თავიანთ განათლებულ ქვეყნებს ბარბაროსთა სამყაროს, პირველთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნებსაც – ზუსტად ისე, როგორც რომანო-გერმანელები უპირისპირებენ ევროპას დანარჩენ სამყაროს. კულტურულისტორიული თვალსაზრისით, ის, რაც რომანო-გერმანული ცივილიზაციისთვის არის ევროპა, ბერძნული და რომაული ცივილიზაციისთვის იყო მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზი; და თუმცა არსებობენ მათი მონათესავე ქვეყნები, უსამართლობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ევროპა წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის სარბიელს ან თუნდაც მის საუკეთესო ნაწილს; ის გახლავთ მხოლოდ დიდი რომანო-გერმანული ცივილიზაციის სარბიელი, მისი სინონიმი და მხოლოდ ამ ცივილიზაციის განვითარების შემდეგ სიტყვამ „ევროპა“ მიიღო ის მნიშვნელობა, რომლითაც დღეს გამოიყენება.

მიეკუთვნება თუ არა ამ თვალსაზრისით რუსეთი ევროპას? სამწუხაროდ ან საბედნიეროდ – არა, არ მიეკუთვნება. იგი არ იკვებებოდა არც ერთი იმ ფესვით, რომლითაც ევროპა. ის მის მიერვე დანგრეული ძველი სამყაროს ნიადაგიდან შეიწოვდა როგორც სასიკეთო, ასევე მავნე წვენებს. რუსეთი არც იმ ფესვებით იკვებებოდა, რომელიც საზრდოს გერმანული სულის სილრმეებიდან ღებულობდა, და არც კარლოს დიდის მიერ აღმომინებული რომის იმპერიის ნაწილი იყო, იმ იმპერიის, რომლის ტანიდანაც შეიქმნა ევროპის განტოტილი ხე; ასევე, არ შედიოდა იმ თეოკრატიულ ფედერაციაში, რომელიც კარლოსის მონარქიის ადგილას წარმოიქმნა; არ წარმოადგენდა იმ ფეოდალურ-არისტოკრატიული ქსელის ნაწილს, რომელსაც, როგორც კარლოსის დროს, ასევე რაინდობის აღზევების ხანაში, თითქმის არაფერი გააჩნდა ნაციონალური და წარმოადგენდა ზოგადევროპულ ორგანიზაციას – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შემდეგ, როდესაც დადგა ახალი საუკუნე და ჩაი-

სახა ახალი წესრიგი, რუსეთი ასევე არ მონაწილეობდა ფეოდალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელმაც უზრუნველყო სამოქალაქო თავისუფლება; რუსეთს არც ყალბი ქრისტიანობის ულლისგან თავდასალნევად უბრძოლია (კათოლიციზმად წოდებული სიყალბის, ამპარტავნების და უვიცობის წინააღმდეგ) და არ საჭიროებს იმ რელიგიურ თავისუფლებას, რომელსაც პროტესტანტობა ეწოდება; ასევე არ განუცდია სქოლასტიკის წნევი და მისი აღმზრდელობითი ძალა, არ გამოუმუშავებია აზროვნების ის თავისუფლება, რომელმაც შექმნა თანამედროვე მეცნიერება; არ უცხოვრია იმ იდეალებით, რომლებმაც ხორცი შეისხეს რომანულ-გერმანული ხელოვნების ფორმებში. ამრიგად, ის არც ევროპულ სიკეთესაა ნაზიარევი და არც ევროპულ ბოროტებას; როგორდა უნდა მიეკუთვნებოდეს იგი ევროპას? არც ჭეშმარიტი თავმდაბლობა აძლევს რუსეთს საშუალებას, მიიჩნიოს საკუთარი თავი ევროპად და არც ჭეშმარიტი სიამაყე. მას არ დაუმსახურებია ეს პატივი და თუ სხვა პატივის მიღება სურს, არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია იმაზე, რაც მას არ ეკუთვნის. მხოლოდ მეტიჩრები, რომლებსაც არც თავმდაბლობა ახასიათებთ და არც კეთილშობილება, ესწრაფვიან იმ წრეში მოხვედრას, რომელიც მაღალ წრედ მიაჩნიათ, ღირსების მქონე ადამიანები კი თავის წრეში რჩებიან, არ მიაჩნიათ იგი დამამცირებლად და ცდილობენ მის გაკეთილშობილებას ისე, რომ არავისი შურდეთ.

მაგრამ არსებობს ამგვარი მოსაზრებაც: თუ რუსეთი არ მიეკუთვნება ევროპას კანონიერი შვილის უფლებით, მიეკუთვნება მას, როგორც შვილობილი; მან აითვისა ( ან უნდა შეეცადოს, რომ აითვისოს ) ის, რაც ევროპის მიერ არის გამომუშავებული; ის გახდა (ან უნდა ეცადოს, რომ გახდეს) მისი საქმისა და ტრიუმფის მონაწილე. მაგრამ ვინ იშვილა რუსეთი? რაღაც ვერ ვხედავთ ევროპის შშობლიურ გრძნობებს მის მიმართ; საკითხავი ის არის, თუ რამდენად შესაძლებელია ასეთი შვილობა? შესაძლებელია კი, რომ ორგანიზმი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში თავისი ფესვებით საკუთარ ნიადაგში მოპოვებული წვენით იკვებებოდა, სხვა ორგანიზმს მიეწოვოს, გაახმოს თავისი ფესვები და დამოუკიდებელი მცენარიდან გადაიქცეს პარაზიტად? თუ ნიადაგი მწირია, აკლია მცენარის სრულყოფილი განვითარებისთვის საჭირო ელემენტები, საჭიროა მისი განაყოფიერება, ელემენტებით გამდიდრება, მოხვნა – მისი ელემენტების უკეთ ასათვისებლად და არა საკუთარი ფესვების გახმობა და უცხო სხეულზე მიწოვა. თუმცა ამის შესახებ კიდევ გვექნება საუბარი და დავინახავთ, თუ რამდენად და რა ფორმით არის შესაძლებელი უცხოს ათვისება, ჯერჯერობით კი იყოს ასე; თუ არა დაბადებით, შვილობით მაინც, რუსეთი იქცა ევროპად; ახალგაზრდა მცენარეზე დამყობილია ევროპული კალამი. რა სარგებელი მოაქვს ამგვარ დამყნობას, ამასაც მოგვიანებით დავინახავთ, მაგრამ მოდით, დროებით წარმოვიდგინოთ ასეთი გარდასახვა. ამ შემთხვევაში ჩვენი დევიზი უნდა იყოს: *Europaeus sum et nihil, europaei a me alienum esse puto* [\*2] ყველა ევროპული ინტერესი უნდა გადაიქცეს რუსულ ინტერესად. საჭიროა ვიყოთ თანმიმდევრულნი, უნდა ვაღიაროთ ევროპული სურვილები, ევროპული მისწრაფებანი საკუთარ სურვილებად და მისწრაფებად; უნდა დავქორწინდეთ მათზე, ილ ფა-

უტ ლეს ეპოუსერ, როგორც ხატოვნად ამბობენ ფრანგები. ევროპად ყოფნისას, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ საკითხში შესაძლოა არ ეთანხმებოდე გერმანიას, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, მაგრამ ევროპას, როგორც საკუთარ თავს, აუცილებლად უნდა ეთანხმებოდე, უნდა უარი თქვა ყოველივე იმაზე, რასაც ევროპა – მთელი ევროპა – ერთსულოვნად მიუღებლად მიიჩნევს თავისი ინტერესებისა და შეხედულებებისათვის, საჭიროა იყო კეთილსინდისიერი და თანმიმდევრული ნაკისრი ვალდებულებების მიმართ.

რა როლს გვაკისრებს ევროპა მსოფლიო-ისტორიულ სცენაზე? უნდა ვიყოთ ევროპული ცივილიზაციის მატარებლები და გამავრცელებლები აღმოსავლეთით, – აი, ის საპატიო როლი, რომელიც წილად გვხვდა, როლი, რომელშიც მშობლიური ევროპა თანაგრძნობას გამოგვიხატავს, გვაკურთხებს, ტაშს დაუკრავს ჩვენს ცივილიზატორულ ქმედებებს, რაც დიდ სიამოვნებას მოჰკვრის ჩვენს პუმანიტარ პროგრესისტებს. ღმერთით გაეშურეთ აღმოსავლეთისკუნე! მაგრამ, უკაცრავად, რომელი აღმოსავლეთისკუნე? ჩვენ ვფიქრობდით, თურქეთით დაგვეწყო. რა შეიძლება ყოფილიყო ამაზე უკეთესი? იქ ჩვენი სულიერი და ხორციელი ძმები ცხოვრობენ, ცხოვრობენ ტანჯვასა და წამებაში, ელიან შველას; ჩვენ გავუნიდებთ მათ დახმარების ხელს, ეს ხომ ჩვენი წმინდა ვალია. საით? სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფთ – გვიკიუნებს ევროპა. ეს თქვენი აღმოსავლეთი არ არის, ისედაც გამრავლდნენ სლავები, რომელებიც არ გვეპიტნავებიან. აქეთ დუნაით მოემართება კეთილშობილი გერმანელი Drang nach dem Osten [\*[3] გერმანელებმა ზოგან შეძლეს სლავებთან გამკლავება, აქაც ისინი თქვენზე უკეთ შეძლებენ მათ გაევროპელებას. ამასთანავე, ევროპამ, რომლისთვისაც ესოდენ ძვირფასია ეროვნებათა წმინდა პრინციპი, სიკეთედ მიიჩნია, წაერთმია გერმანელებისთვის იტალია, რომელიც მათ გარეშეც წამდვილი, ბუნებრივი და არა შვილობილი ან დამყნობილი ევროპა იყო, – საჭიროდ მიიჩნია ავსტრიის გერმანიიდან განდევნის ნება მიეცა; ხომ უნდა გაართო რაღაცით საწყალი ავსტრიელი გერმანელები მადიარებთან ერთად: და ეს გააევროპელონ ეს აღმოსავლეთი, თქვენ კი გააგრძელეთ თქვენი გზა. ასევე შეუდევით კავკასიას – ისიც ხომ აღმოსავლეთია. ძალიან გაგვიწყრა დედიკო: ყვიროდა, ხელი არ ახლოთ მაგრაინდებს, თავისუფლების პალადინებს; რა გესაქმებათ მაგ კეთილშობილ ტომებთან; ჰოდა, კიდევ კარგი, ამჯერად არ დავუჯერეთ, დავივიწყეთ ჩვენი ევროპული მოწოდება. სპარსეთში ხომ არ დაგვეწყო ცივილიზაციისა და ევროპეიზმის მარცვლების გაფანტვა? გერმანელები ალბათ ნებას დაგვრთავდნენ. ისინი თავიანთ „დრანგს“ ასეთ შორ მანძილზე გავრცობას, მგონი, არ ფიქრობენ; ინგლისელებმა ინდოეთი უკვე თავის თავზე აიღეს; რა გინდა, რომ თქვა, მშვენივრად გააკეთებენ საქმეს, პირველი ხარისხის ცივილიზატორები არიან, ამ რწმენაზე დგანან. ნუ შეაწუხებთ თავიანთ სამეზობლოში, გაეშურეთ სხვაგან. ჩინეთში ხომ არ გვიბრძანებთ? არა – არა, სულაც არ არის საჭირო იქ გამგზავრება; თუ ჩაი გნებავთ – კანტონისას, რამდენსაც გინდათ, იმდენს ჩამოგიტანთ. ცივილიზაცია, ევროპეიზაცია, როგორც ყოველგვარი მასწავლებლობა, ტყუილად ხომ არ ხდება; რაღაც პონორა-რების მიღებაც არის. ჩინეთი მდიდარი ქვეყანაა, აქვს გადახდის საშუალება, – ჩვენ

თავად გავანათლებთ მათ. და წარმატებებსაც, ღვთის წყალობით, მივაღწევთ – ინ-დურ ოპიუმს მშვენივრად ეწევა [+3] ; არ ხართ თქვენ აქ საჭირო. აბა, სად ვართ? ლმერთო ჩემო, ჩვენი აღმოსავლეთი, რომლის ცივილიზებაც რჯულის კანონში გვი-წერია? შუა აზია – აი, ჩვენი ადგილი; ყველა ჭრიჭინას უნდა ახსოვდეს თავის ალაგი. ჩვენ იქ ვერც ერთი მხრიდან ვერ შევაღწევთ, არც სახარბიელოა იქ დიდად რაიმე. კი მაგრამ, იქ არის თქვენი წმინდა ისტორიული მისის აღსრულების ადგილი, – აი, რას გვეუბნება ევროპა და მის ამ მონოდებას იმეორებენ ჩვენი ევროპელები. აი, ის დიადი როლი, რომელსაც, თავისი ინტერესების შესაბამისად, ევროპა გვაკისრებს; არავითარი სხვა: დანარჩენი როლები განაწილებულია მათზე, ვინც უფრო სუფთაა, როგორც ამას მზარეული ბრძანებს გოგოლის „რევიზორში“.

ათასი წელი სისხლის და ოფლის ღვრით იმიტომ შენდებოდა ოთხმოცმილიონიანი სახელმწიფო (აქედან სამოცი მილიონი ერთი გვარისა და ტომის წარმომადგენელია, რისი მაგალითიც, ჩინეთის გარდა, მსოფლიომ არ იცის), რომ ევროპული ცი-ვილიზაციით გაუმასპინძლდეს ხუთ თუ ექვს მილიონ კოკანდელ, ბუხარელ და ხიგა-ნელ გაღლეტილ მაჩანჩალას, ხო, ამათ შესაძლოა კიდევ ორი-სამი მილიონი მომთა-ბარე მონღლოლი დაემატოს, რადგან ასეთია ცივილიზაციის აზიური მატერიკის სიღ-რმეში გავრცელების მოწოდების აზრი. აი, ის დიადი დანიშნულება, ის მსოფლიო-ისტორიული როლი, რომელიც რუსეთმა უნდა შეასრულოს, როგორც ევროპული განმანათლებლობის მატარებელმა. ვერაფერს იტყვი, სახარბიელო როლია, ღირდა მისთვის ცხოვრება, სამეფოს შენება, სახელმწიფო ტვირთის ზიდვა, ბატონყმობის, პეტრე დიდის რეფორმების, ბირონივეშინის და სხვა ექსპერიმენტების ატანა. ამას ჯობდა დრევლიანების, პოლიანების, ვიატიჩების და რადიმიჩების სახით ველებსა და ტყეებში ხეტიალი და ტომობრივი თავისუფლებით ტკბობა, სანამ, ღვთის მად-ლით, მუხლებში ძალა არ გამოველეოდა. “Parturiunt montes, nascitur ridiculus mus“ [\*4]. მართლაც, როგორც იტყვიან, მთის მიერ შობილ თაგვს, – უშველებელ ისტო-რიულ პლეონაზმს [\*5] რაღაც გიგანტურ ზედმეტობას წარმოადგენს ჩვენი რუსეთი ევროპული ცივილიზაციის მატარებლის სახით.

მეტყვიან, რა საჭიროა ხედვის ასეთი დავინროება? ცივილიზაციისა და ევ-როპეიზმის გავრცელებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ მისი სიკეთების შეტანა შუა აზის სტეპებში, არამედ მათი ჩვენ მიერვე ათვისება, გავრცობა რუ-სეთის უკიდეგანო სივრცეზე. ვინც ასე ფიქრობს, წარმოიდგინოს ფანტასტიკური რამ, რომ მთელს ამ დიდ სივრცეზე არ ცხოვრობს ძლევამოსილი რუსი ხალხი და არ არსებობს მის მიერ შექმნილი სამეფო, მის ნაცვლად არის ტყეები, მდინარეები და სტეპები, რომლებზეც დაძრნიან ფინელი მონადირეები: ზირიანები, ვოგულიჩები, ჩერემისები, მორდოველები და მომთაბარე თათრები. ამგვარი სახით არსებულ ქვე-ყანას აღმოაჩენენ ნამდვილი ევროპელი ცივილიზატორები ( თუნდაც ჩენსლერი და ვილოუბი, მაგალითად). ნამდვილ ევროპელს სიხარულისგან გული უნდა აუჩქროლ-დეს ამგვარი სურათის დანახვისას. მონინააღმდეგეთა ნაცვლად, რომლებისთვისაც უროთი უნდა ჩაგეტენა თავში ევროპეიზმი ( ეს საქმე ხომ დღემდე ცუდად მიდის), წამოვიდოდა გერმანელ ახალმოსახლეთა დიდი ნაკადი, ყველაზე კეთილშობილი

გერმანელების, ანგლოსაქსური რასის ხელმძღვანელობით. ამ სივრცეებზე გაჩნდებოდა აღმოსავლეთევროპული ან დასავლეთაზიური, – როგორც გნებავთ, ისე დაარქვით, – შეერთებული შტატები. ცივილიზაცია ნიამდვარივით წამოვიდოდა და დღეისათვის ყველაფერი კარგად იქნებოდა. უამრავი არხი, რკინიგზა ათიათასობით ვერსზე იქნებოდა აშენებული, ტელეგრაფებზე აღარ მაქვს საუბარი. ვოლგაზე, როგორც მისისიპიზე, ასეულობით კი არა, ათასეულობით ორთქლმავალი ივლიდა; არა მარტო ვოლგაზე! – დონიც სანაოსნო მდინარე იქნებოდა და დნეპრის ზღუდეებიც – აფეთქებული ან გათხრილი; და რა კარგი jar East [\*6] გაიხსნებოდა შორეულ პერსპექტივაში. და სპიჩები რამდენი იქნებოდა. ყველაზე პატარა შტატში უფრო მეტი, ვიდრე ყველა დღევანდელ ერთად აღებულ საერობო და სათავადო კრებებზე. განათლებული გონისთვის მიუღებელი თემი საერთოდ არ იარსებებდა. ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაცია, თუ, რა თქმა უნდა, ევროპული მართლაც არის მთელი კაცობრიობისთვის ერთადერთი შესაძლებელი ცივილიზაცია, უდავოდ, მოიგებდა, თუ სლავური სამეფოს და სლავი ხალხის ნაცვლად, რომელიც დღეს რუსეთში ცხოვრობს, სამი ან ოთხი საუკუნის წინ იქნებოდა ცარიელი სივრცე, და იქ იხეტიალებდნენ ველური ტომები ისევე, როგორც შეერთებულ შტატებში ან კანადაში მაშინ, როდესაც ეს მიწები ევროპელებმა აღმოაჩინეს.

თუ დაუშვებთ იმას, რომ რუსეთი ევროპის შვილობილია, მივალთ დასკვნამდე, რომ ის არა მარტო გიგანტურად ზედმეტი, უშველებელი ისტორიული პლეონაზმია, არამედ – საკმაოდ ძნელად გადასალახავი წინაღობა ნამდვილი ზოგადსაკაცობრიო, ანუ ევროპული, რომანულ-გერმანული ცივილიზაციისთვის. ამგვარი შეხედულება აქვს ევროპას რუსეთზე. ეს შეხედულება, ჩვენ მიერ ოდნავ მკვეთრად გამოხატული, ძალიან გავრცელებულია საზოგადოებრივი აზრის კორიფეებსა და მათ განათლებულ მიმდევრებს შორის. ამ თვალსაზრისიდან გასაგები ხდება (არა მარტო გასაგები, არამედ, გარკვეული აზრით, კანონიერიც და კეთილშობილურიც) თანაგრძნობა და სწრაფვა ყოველივე იმისაკენ, რაც რუსული საწყისის დასუსტებისკენ არის მიღრეკილი მის პერიფერიებში; იმ მხარეების განცალკევებისკენ, რომლებშიც, რუსულის გარდა, არსებობენ უცხოური ელემენტები, მათი მფარველობა და ზოგჯერ ხელოვნური გაძლიერება, პრივილეგირებულ მდგომზრებაში ჩაყენება რუსულის ხარჯზე. თუ რუსეთი, როგორც თვითმყოფადი სლავური სახელმწიფო, წინაღობას წარმოადგენს ევროპეიზმისა და ჰუმანიტარულობისთვის და თუ, სამწუხაროდ, შეუძლებელია მისი tabula rasa – დ [\*7] გადაქცევა, რათა მის ადგილას მივიღოთ ჭეშმარიტად ევროპული კულტურა, pur sang [\*8], რაღა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ თანდათან დავასუსტოთ ის სახალხო საწყისი, რომელიც ძალასა და სიმტკეცეს ანიჭებს ამ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზმს? ეს არის ჩვენი ევროპისა და კაცობრიობის სამსხვერპლოზე მიტანილი ძლვენი. კაცობრიობის ამ ამაღლებულ და კეთილშობილურ სიყვარულს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სახალხო ეგოიზმს და ნაციონალიზმის ვიწრო თვალსაწიერს, იდეალურად წარმოაჩენს მარკიზ პოზა, შილერის სრულყოფილი თხზულების პერსონაჟი [+4], რომლის წინაშეც ბავშვობიდან ვიხრით ქედს. ხომ მოგზაურობდა კეთილშობი-

ლი ესპანელი მარკიზი ევროპაში და ეძებდა იქ თავისი სამშობლოს მტრებს, რომ-ლებსაც კაცობრიობის თავისუფლების და კეთილდღეობის წინაღობად მიიჩნევდა და სოლიმანსაც კი არწმუნებდა, გაეგზავნა თურქეთის ფლოტი ესპანეთში. ასეთი აბერაცია, ბუნებრივი ადამიანური გრძნობის ასეთი დამახინჯება ლოგიკური დასკვინის საფუძველზე, რა თქმა უნდა, უფრო ეპატიება წინა საუკუნის გერმანელ პოეტს, რადგან მას, სადღაც ვიურტენბერგში დაბადებულს, არ გააჩნდა სამშობლო და არ მოუპოვებია იგი მანამ, სანამ ვალენშტაინის სახით [+] არ გააცნობიერა, რომ ეს სამშობლო – მთელი გერმანიაა. მაგრამ სამშობლო მის მიერ აღიქმებოდა მხოლოდ გონებით და არა უშუალო გრძნობით. რუსისთვის სულის ამგვარი მდგომარეობა ნაკლებად შესაძლებელია და აიხსნება წინააღმდეგობით, რომელიც არსებობს სახალხო გრძნობასა და იმ იდეას შორის, რომელიც გულისხმობს მდაბლის ამაღლებულისთვის მსხვერპლად მოტანას და, თუნდაც დამახინჯებული ფორმით, ავლენს წმინდა სლავური უანგარობის ნიშანს, ასე ვთქვათ, სლავური სათონების მანკიერებას. ამით აიხსნება ისიც, რომ რუსული პატრიოტიზმი ვლინდება მხოლოდ კრიტიკულ წუთებში. ცალმხრივი იდეის გამარჯვება გრძნობაზე შესაძლებელია ხოლმე მხოლოდ სულიერი სიმშვიდის მდგომარეობაში, მაგრამ როგორც კი რაიმე მოვლენა აღავრინებს სახალხო გრძნობას, ლოგიკურ დასკვნას ეკარგება ხოლმე ყოველგვარი ძალა და ყოფილი პროგრესისტი ჰუმანიტარი, პოზის თაყვანისმცემელი, დროებით ნამდვილ პატრიოტად იქცევა ხოლმე. პატრიოტიზმის ასეთ გამონათებებს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია შეცვალოს შეგნებული, საკუთარ თავთან თანხმობაში მყოფი ხალხურობის გრძნობა, და გასაგები ხდება, რატომ არ რუსდებიან პეტრეს შემდეგ რუსეთს მიერთებული ქვეყნები, არც მიუხედავად მთავრობის სურვილისა, მიაღწიოს ამას, არც ხალხზე გაძლიერებული ზემოქმედების მცდელობისა, მაშინ როდესაც უნინ ყველა შენაძენი, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, რომელიც არც ხელისუფლების, და არც, საერთოდ, რუსი ხალხისთვის იყო დამახასიათებელი, სწრაფად იქცეოდა წმინდა რუსულ მხარედ.

საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მყოფი ასეთივე სახით (რაც მეტ თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ ნაკლებად ლოგიკურია) წარმოგვიდგება სხვა შეხედულება, რომელიც განსაკუთრებით ბოლო დროს გავრცელდა. მის თანახმად, ევროპულს უსაზღვრო უპირატესობა გააჩნია რუსულის წინაშე და ერთიანი გადამრჩენი ევროპული ცივილიზაციისადმი ურყევ რწმენას გულისხმობს; ყოველი აზრი განსხვავებული ცივილიზაციის თაობაზე სულელურ ოცნებად მიაჩნია და ამასთანავე უაყოფს მსგავსი შეხედულების ლოგიკურ შედეგებს; სურს გააჩნდეს გარეგანი ძალა და სიმტკიცე შინაარსის გარეშე, რომელიც მას გაამართლებდა, სურს ნაჩვრეტი მაგარ ნაჭუჭმი. როგორც ჩანს, აქ სახალხო გრძნობამ სძლია ლოგიკურ აზრს და ამიტომაც ეს შეხედულება მეტ თანაგრძნობას იწვევს. სახალხო გრძნობა, რა თქმა უნდა, არ საჭიროებს არავითარ ლოგიკურ გამართლებას; იგი, როგორც ყველა ბუნებრივი ადამიანური გრძნობა, თავის თავში პოულობს გამართლებას და ამიტომაც ყოველთვის მეტ თანაგრძნობას იწვევს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბრალოა ხალხი, რომელიც იძულებულია, მხოლოდ ამას დასჯერდეს, იძულებულია, ასე იფიქროს:

მე მიყვარს ჩემი მამული, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მას არავითარი სარგებელი არ გააჩნია. ამგვარი გარეგანი პოლიტიკური პატრიოტიზმის უკან მწარე დაჭვება იმაღება საკუთარ თავში, ბანკროტიზმის შეგრძნება. ის თითქოს უცბნება საკუთარ თავს: მე არაფრად ვლირვარ; მე ვიღაცამ დასავლეთიდან უნდა მომანიჭოს ძალა და შთამბეროს სული; მე ვიღაცამ ძალით უნდა მიმიყვანოს დასავლეთში, ჩამტენოს მასში – ხომ შესაძლებელია, ამის შედეგად გამოიძერწოს რაღაც ისეთი, რაც მთლიანად გამოხატავს კაცობრიობის ღირსეულ ფორმას. ჩვენს ლიტერატურაში ოცდაათ წელზე ოდნავ მეტი ხნის წინ გაჩნდა ან გარდაცვლილი ჩადაევის საჟურნალო სტატია, რომელმაც თავის დროზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია [+6]. მასში მწარე სინანული იყო გამოთქმული იმის გამო, რომ რუსეთი, მისი ისტორიის თავისებურებათა გამო, მოკლებული იყო ისეთ საწყისებს (როგორიც, მაგალითად, კათოლიციზმია), რომელთა განვითარების წყალობით ევროპა იქცა იმად, რადაც იქცა. გამოთქვამს რა ამის გამო მწუხარებას, ავტორი უიმედოდ უყურებს სამშობლოს მომავალს, რადგან არაფერი ესმის და ვერაფერს ხედავს ევროპეიზმის მიღმა. სტატიის ღირსება ის გახლდათ, რომ იგი დიდი შინაგანი გულწრფელობით არის დაწერილი. არსობრივად, მწარე სინანულის იგივე გრძნობა უდევს საფუძვლად ჩვენს უახლეს, წმინდა გარეგან პოლიტიკურ პატრიოტიზმს; ის, უბრალოდ, ნაკლებად გულწრფელია საკუთარ თავთან, ნაკლებად თანმიმდევრული, ცდილობს მოიმკას იქ, სადაც არ უთესია. თუ მართლაც ევროპეიზმი საკუთარ თავში შეიცავს მთელ იმ სიცოცხლეს, რაც კი არის კაცობრიობაში, მასსავით მრავალმხრივია და მისი ტოლფარდი; თუ ყოველივე ის, რაც მის ფორმულაში არ ენერება ყალბი და უვარგისია, განწირულია დასაღუპად, როგორც ყოველივე არაგონივრული, ხომ არ არის სასწრაფოდ მოსაშორებელი ყოველივე, რაც განსხვავებული ფესვებიდან ამოიზარდა? რატომ უნდა ვიზრუნოთ ნაჭუჭზე, რომელშიც არ არის ჯანსაღი გული, – მით უფრო, რა საჭიროა ამ ნაჭუჭისთვის მეტი სიმტკიცის მინიჭება? მყარი გარეკანი ინახავს შინაარსს; ყოველი მყარი, მჭიდრო, კომპაქტური მასა ძნელად ექვემდებარება გარეგან ზემოქმედებას, არ ატარებს სასიცოცხლო მზის სხივებს, სითბოს და გამანაყოფიერებელ ნესტს. თუ გარეგანი ზემოქმედება სასიკეთოა, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ფართოდ გაგველო მისთვის კარი, მიგვეცა მოქმედების საშუალება მაღალორგანიზებული უცხო ელემენტებისთვის, რომლებმაც, ღვთის წყალობით, აქა იქ შეაღწიეს მასაში? უფრო სწრაფად არ განიმსჭვალება მასა ამ სასიკეთოდ მოქმედი ელემენტებით? უფრო სწრაფად არ გაადამიანურდება და განიმსჭვალება ევოპეიზმით რუსეთი, როდესაც მისი პერიფერიული ნაწილები გაევროპელდებიან, მათში ხომ უკვე არის ევროპული საფუარი, რომელიც, თუ ხელს არ შეუმლი, სწრაფად გამოიწვევს ამ პერიფერიული ნაწილების დუღილს. ეს დუღილი უეჭველად გადაეცემა დანარჩენ მასას და დაშლის ყოველივე იმას, რაც ბარბაროსულია, აზიატური, აღმოსავლური; მხოლოდ დასავლური დარჩება. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ხალხთა ორგანიზმში შესაძლებელი იქნება ქიმიური ჩანაცვლებები, რაშიც ეჭვი არ ეპარება განმანათლებლურ პოლიტიკურ პატრიოტიზმს. რაღატომ უნდა შევუშალოთ ხელი სასიკეთო პროცესს? *Corpora non agunt nisi fluida* [\*9].

თუ, მაგალითად, რომის იმპერიის პოლიტიკური ორგანიზმი შეინარჩუნებდა თავის სიმტკიცეს, განიცდიდნენ კი მის შემადგენლობაში შესული ხალხები გერმანიზმის კეთილმყოფელობას? არა, როგორც გნებავთ: ბატონი შედო-ფეროტი მართალია. [+7] სამართლიანია აგრეთვე ულტრარუსული პარტიის სახელწოდება, რომელიც წმინდა გარეგან პოლიტიკურ პატრიოტიზმს გამოხატავს. თუ რუსეთი რუსეთია, სასაცილო მასში რუსულ პარტიაზე საუბარი. მაგრამ თუ რუსეთი იმავ-დროულად არის ევროპა, რატომ არ უნდა იყოს მასში რუსული, ევროპული, ულტრარუსული და ულტრაევროპული პარტიები? მაგრამ სხვა სახელმწიფოებში რატომ არ არის არაფერი მსგავსი, – რატომ არ შეიძლება არსებობდეს საფრანგეთის ულტრაფრანგული პარტია? იმიტომ, რომ საფრანგეთი ამასთანავე არის ნამდვილი ევროპა, რომ საფრანგეთსა და ევროპას შორის არ შეიძლება არსებობდეს არსობ-რივი წინააღმდეგობა, ისევე, როგორც არ შეიძლება (ნორმალურ პირობებში მაინც) არსებობდეს წინააღმდეგობა მთლიანსა და მის ნაწილს შორის. მაგრამ შესაძლოა არსებობდეს იშვიათ გარემოებებში, რომლებიც შეიძლება შეიქმნას. მაგალითად, ნაპოლეონ I-ის დროს არსებობდა პარტია, რომელიც მოიცავდა მთელ საფრანგეთს და სურდა დაეპყრო ევროპა. ასევე, დღეს არსებობს პარტია, რომელსაც სურს ბელ-გიოს და მთლიანად რეინის მარცხენა სანაპიროს მიერთება. ასეთ პარტიას შესაძლოა ეწოდოს ულტრაფრანგული, განსხვავებული ევროპულისგან, რომელსაც არ სურს ამგვარი დაპყრობები. მაგრამ რუსეთი, ევროპელთა აზრით, არ არის ევროპის სისხლხორცეული ნაწილი. თავად რუს ევროპელებს მიაჩინათ, რომ რუსეთი ცდი-ლობს, გახდეს ევროპა, დაიმსახუროს მისი შვილობილობა. განა უფლებამოსილი არ არის ევროპა, განუცხადოს მათ: „თუ ჭეშმარიტად გსურთ, გახდეთ ევროპა, რატომ ცდილობთ ხელი შეუშალოთ ბალტიის გერმანიზაციას? – თქვენ ჯერჯერობით მხო-ლოდ ცდილობთ, გახდეთ ევროპელები (არ ვიცით, რამდენად გამოგივათ ეს), აქ კი უკვე არსებობენ ნამდვილი, ბუნებრივი ევროპელი მოღვაწენი, რატომ გსურთ ხელი შეუშალოთ მათ საქმიანობას ევროპის და, შესაბამისად, კაცობრიობის სასიკეთოდ? ესეიგი თქვენი სიტყვები არ არის გულწრფელი; თქვენს კერძო რუსულ ინტერესებს ევროპულზე მაღლა აყენებთ, – შესაბამისად, ულტრარუსული პარტია ხართ“. იგივე შეუძლიათ თქვან დასავლეთის გუბერნიებთან დაკავშირებით და სხვა მრავალ სა-კითხზე. ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც დროდადრო ჩნდება ევროპასა და საფ-რანგეთს შორის, მუდმივია, ყოველ შემთხვევაში, თავად ევროპელთა აზრით. ამის შემდეგ უფლებამოსილი არ გახლავთ ევროპა, ულტრარუსული დაარქვას იმ პარ-ტიას, რომელიც, იზიარებს რა ამ პრეტენზიას, არ სურს, კერძო რუსული ინტერე-სები დაუქვემდებაროს ზოგადევროპულს? როგორ შევარიგოთ ყოველივე ამასთან ხალხოსნობის ბუნებრივი და წმინდა გრძნობა – არ ვიცი; ვფიქრობ, მხოლოდ პოლი-ტიკური პატრიოტიზმის ნიადაგზე ამგვარი შერიგება საერთოდ წარმოუდგენელია.

წმინდა პოლიტიკური პატრიოტიზმი შესაძლებელია საფრანგეთისთვის, ინ-გლისისთვის, იტალიისთვის, მაგრამ შეუძლებელია რუსეთისთვის, რადგან რუსეთი და ეს ქვეყნები ერთი რიგის ერთეულები არ გახლავან. ისინი მხოლოდ პოლიტიკური ერთეულებია, რომლებიც სხვა, უმაღლესი კულტურულ-ისტორიული ერთეულის ნაწილებია – ევროპის, რომელსაც რუსეთი არ მიეკუთვნება მრავალ მიზეზთა გა-

მო. მათ შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი. მაგრამ თუ, ისტორიის საპირისპიროდ, თავად ევროპის სურვილისა და აზრის საპირისპიროდ, შინაგანი ცნობიერებისა და ხალხის მისწრაფებათა საპირისპიროდ – რუსეთი მაინც მოისურვებს მიეკუთვნოს ევროპას, იმისათვის, რომ იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული, სხვა არაფერი რჩება, თუ არა ის, რომ უარი თქვას თავად პოლიტიკურ პატრიოტიზმზე, სიმტკიცეზე, საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მთლიანობასა და ერთიანობაზე, პერიფერიული ნაწილების გარუსებაზე, რადგან ეს ნაჭუჭის სიმაგრე მხოლოდ ხელს უშლის მის ევროპეიზაციას. **ევროპა, რომელიც არ ცნობს (რაც სრულიად ბუნებრივია)** რომანულ-გერმანულისგან განსხვავებულ ცივილიზაციას, განსხვავებულ კულტურულ საწყისს, ასე უცურებს ამ საქმეს. ჩვენი შედო-ფეროტისტები და, ზოგადად, ჰუმანიტარი პროგრესისტები, დიდსულოვნად, ა ლა პოზა, იზიარებენ ამ შეხედულებას, თუმცა მათ გასამართლებლად ის შეიძლება ითქვას, რომ – არა სრული შეგნებით; მხოლოდ ჩვენი შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური პატრიოტები უარყოფნი იმ გზას, რომელიც ყველაზე სწრაფად და იოლად მიგვიყვანდა მიზანთან.

როგორ შევათანხმოთ რუსი ხალხის გრძნობები გონების მიერ აღიარებულ წარმატებისა და პროგრესის პირობებთან? ნუთუ ამგვარი შეთანხმება სლავიანო-ფილურ ოცნებაშია, განსაკუთრებულ რუსულ ან ზოგადსლავურ ცივილიზაციაში, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ყველა მასხარად იგდებდა და დღესაც დასცინიან, თუმცა უკვე ყველა არ დასცინის? **ევროპას არ გამოუმუშავებია ზოგადსაკაცობრიო კულტურის საბოლოო ფორმა, რომელიც უნდა გავრცელდეს მთელს დედამიწის ზურგზე, რათა გაბედნიერდეს ყველა ტომი და ერი?** განა გავლილი არ არის ზოგადსაკაცობრიო ცხოვრების ყველა გარდამავალი ფაზა და მსოფლიო-ისტორიული პროგრესის ნაკადი, რომელიც ამდენ ხანს იმაღლობდა მიწისქვეშა უფსესებებში და ჩანჩქერებად გვევლინებოდა. არ აღმოჩნდა იგი სწორ კალაპოტში, რომელშიც უნდა იდინოს უკუნითი უკუნისამდე, რათა წყურვილი მოუკლას ყველა ხალხებს და თაობებს, მორწყას და გაანაყოფიეროს ყველა ქვეყნები? ამგვარი შეხედულების მთელი უცნაურობის მიუხედავად, რომელსაც მის სისწორეში დასარწმუნებლად არავითარი ანალოგი არ მოექებნება ბუნებაში (რომელშიც ყველაფერს თავისი დასასწისი და დასასრული გააჩნია და ყველაფერი საბოლოო ჯამში სრულდება), იგი წარმოადგენს ისტორიულ დოგმატს, რომელიც სწამს დღევანდელი განათლებული კაცობრიობის უმრავლესობას. ევროპას რომ სწამს მისი, ამაში არაფერია გასაკვირი, – ეს სრულიად შეესაბამება ადამიანის სულის კანონებს. **მხოლოდ ის საქმიანობაა ნაყოფიერი, ის გრძნობაა ძლიერი და წრფელი, რომელსაც ეჭვები არ უჩნდება საკუთარი თავის მიმართ.** ყველა ნამდვილ მხატვარსაც ხომ მის მიერ შექმნილი ფორმები ხელოვნების უკანასკნელ სიტყვად მიაჩნია, რომლის იქით ველარავინ წავა; სამეცნიერო თეორიის ავტორს ასევე მიაჩნია, რომ მან ბოლო სიტყვა თქვა მეცნიერებაში, დაადგინა ჭეშმარიტება, და მის შემდეგ მხოლოდ დეტალების დაზუსტება მოხდება, ხოლო მის მიერ განსაზღვრული მიმართულება სამარადული უცვლელი დარჩება. სახელმწიფო მოღვაწესაც ხომ მიაჩნია, რომ მის მიერ შემოღებული სისტემა სამუდამო ბედნიერებას მოუტანს ქვეყანას. შეყვარებულ-საც ხომ ასე ჰგონია, მიუხედავად ცნობილ ლექსში გამოთქმული აზრისა: „ ხოლო

მარადიული სიყვარული შეუძლებელია“, და უამრავი ადამიანის გამოცდილებისა, რომ მისი გრძნობა გამონაკლისია და იგი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება. **მსგავსი ილუზის** გარეშე არც ჭეშმარიტად დიადი საქმიანობაა შესაძლებელი და არც ნამდვილი გრძნობა არსებობს. რომი მარადიულ ქალაქად იყო მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ დაეცა მემფისი, ბაბილონი, ტიროსი, კართაგენი, ათენი. ამიტომაც რომაელებს მიაჩნდათ, რომ იგი იმსახურებდა მსხვერპლს, რომელსაც მას სწირავდნენ. ისინიც კი, ვისაც ვერ ექნება პრეტენზია, მიეკუთვნებოდნენ ევროპას, ისე არიან დაბრმავებულნი მისი ბრწყინვალებით, რომ ვერ ხედავენ პროგრესის შესაძლებლობას ევროპის მიერ გაკვალული გზის მიღმა, თუმცა დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ ევროპული ცივილიზაცია ისეთივე ცალმხრივია, როგორიც ყველაფერი ამქეყუანად. ახლა მიხვდნენ, რომ ერთი ხალხის მიერ გამომუშავებული პოლიტიკური ფორმები მხოლოდ ამ ხალხისთვის არის გამოსადეგი, მაგრამ არ სურთ ამ აზრის გავრცობა საზოგადოებრივი ორგანიზმის სხვა ფუნქციებზე.

გარდა ჩემი პირადი გრძნობისა დაუსრულებლობის თაობაზე, არსებობს სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც, აზრი ევროპულისგან განსხვავებული ცივილიზაციის გაჩენის თაობაზე უცნაური ეჩვენება უამრავ განათლებულ ადამიანს არა მარტო ევროპაში, არამედ სლავებს შორისაც. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, მდგომარეობს ისტორიული პროცესების მსვლელობათა არასწორ გაგებაში, – იმ ისტორიულ მოვლენაზე გაურკვეველ, ბუნდოვან წარმოდგენაში, რომელსაც პროგრესი ეწოდება; არასწორ წარმოდგენაში, რომელსაც იქმნიან ნაციონალურის ზოგადსაკაცობრიოსთან მიმართებაზე და კიდევ ერთ ცრუ შეხედულებაში იმაზე, თუ რა არის დასავლეთი და რა არის აღმოსავლეთი, – შეხედულებაზე, რომელიც აქსიომად არის მიჩნეული და არ იღებს კრიტიკას. უპირატესად, ამ ცრურმენაზე ვსაუბრობ, თუმცა მას არ გააჩნია ის მნიშვნელობა, რომელსაც მე პირველ მიზეზებს მივაწერ. ეს ოდნავ დაგვეხმარება ნიადაგის განმენდაში, რადგან ხშირად ჩვენ არ ვღებულობთ ჭეშმარიტებას არა იმიტომ, რომ მის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა გვეჩვენება საეჭვოდ, არამედ იმიტომ, რომ იგი წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს სხვა შეხედულებებთან, რომლებსაც, ფაქტობრივად, კავშირი არ გააჩნიათ მასთან.

## შენიშვნები:

[+1] საუბარია ხმელთაშუა ზღვაზე.

[+2] კარლოს დიდის რომის იმპერია – შეიქმნა კაროლინგთა საგვარეულოს ფრანკი მეფების მიერ ყოფილი დასავლეთ რომის იმპერიის ფარგლებში. ძლევამოსილებას მიაღწია კარლოს დიდის დროს (768 დ 814), რომელმაც 800 წელს თავი იმპერატორად გამოაცხადა. მისი სიკვდილის შემდეგ კაროლინგების იმპერია სამ ნაწილად დაიშალა (მომავალში – საფრანგეთი, გერმანია და იტალია).

[+3] მინიშნებაა ბრიტანეთის ოსტინდური კომპანიის „ცივილიზატორულ“ მოქმედებებზე, რომლის დროსაც ფული კეთდებოდა ინდოეთიდან ჩინეთში შეტანილი კონტრა-

ბანდული ოპიუმით ვაჭრობის ხარჯზე. ჩინელების მცდელობა, აეკრძალათ ნარკოტიკით ვაჭრობა, საბაბად იქცა ინგლისის პირველი (1840 დ 1842) და მეორე (1856 დ 1860) ოპიუმური ომებისა ჩინეთის წინააღმდეგ.

[+4] „სამყაროს მოქალაქე“ მარკიზ პოზა – შილერის ტრაგედიის „დონ კარლოსის“ პერსონაჟი.

[+5] ვალენტეინი – მე-XVIII საუკუნის ბოლოს შილერის მიერ დაწერილი ტრაგედიის გმირი. თხზულება მაშინ იყო შექმნილი, როდესაც გერმანელი პოეტი და დრამატურგი დაშორდა ლიტერატურულ მიმდინარეობას „ქარიშხალი და იერიში“ და მეამბოხეობის თემიდან ზნეობრივი ვალის პრობლემაზე გადავიდა თავის შემოქმედებაში.

[+6] იგულისხმება პ. ჩაადავეის რვათაგან პირველი „ფილოსოფიური წერილი“, რომლის პუბლიკაციასაც 1836 წელს მოჰყვა უზრნალ „ტელესკოპის“ დახურვა.

[+7] შედო-ფეროტი – რუსეთის მკვიდრის, პუბლიკისტის, ბარონ ფ. ი. ფირკასის ფსევდონიმი. XIX საუკუნის 50-ს ბოლოს და 60-ს დასაწყისში ბერლინში ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა „ეტიუდები რუსეთის მომავლის შესახებ“, „რომლებშიც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა გლეხთა საკითხს ( კერძოდ, სთავაზობდა თანდათანობით, 20 წელინადზე გათვლილ, გლეხთა განთავისუფლებას მიწის გარეშე).“

1863 წელს პოლონეთის აჯანყების დროს გამოდიოდა პოლონელთა მხარეზე და გმობდა „მოსკოვური პრესის ულტრარუსულ იდეებს“.

### კომენტარები:

[\*1] აი, რას ამბობს ამის შესახებ სახელგანთქმული მოგზაური დიუბუა დე მონ-ბერე: „ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ იყო კავკასიასთან არსებული ქვეყანა, რომელსაც აზია ეწოდებოდა. მართლაც, საიდან მოდის ეს უძველესი და უცნაური გამოყოფა ევროპისა აზიიდან, რომლებსაც ყოფს ტანაისი ( უცნაურია, რა თქმა უნდა, მაგრამ ნაკლებად უცნაური, ვიდრე ურალით გაყოფა), კავკასიის ჩრდილოეთით რომ არ ყოფილიყო ქვეყანა, რომელსაც აზია ეწოდება“. დამტკიცებულია ასევე, რომ სტრაბონი აზიაში გულისხმობდა განსაკუთრებულ ქვეყანას სინდიკიასთან ( ტამანის ნახევარუნძულის ნაპირები ) – სახელდობრ, აზიას და სწორედ რომ ყოველთვის ამ მნიშვნელობით ხმარობს იგი ამ სახელწოდებას, როდესაც მეოტიის ზღვის ნაპირებს აღწერს“.

(...) – ავტორის შენიშვნა.

[\*2] მე ევროპელი ვარ და არაფერი ევროპული არ არის ჩემთვის უცხო ( ლათ. )

[\*3] აღმოსავლეთზე შეტევა ( გერ. )

[\*4] მშობიარობენ მთები, ხოლო იბადება სასაცილო თაგვი ( ლათ. )

[\*5] გადამეტებით [ ბერძნულიდან pleonasmus – გადამეტება ]

[\*6] სახეობა ( ინგლ. )

[\*7] სუფთა დაფა ( ლათ. )

[\*8] სუფთა სისხლის ( ფრ. )

[\*9] ცხოვრობენ მხოლოდ რბილი სხეულები ( ლათ. )

NIKOLAY DANILEVSKY

## Is Russia Europe?

### Summary

Nikolay Danilevsky is a well-known sociologist, cultural studies theorist and historical philosopher. In his monograph "Russia and Europe" (1869) he forf the first time propounded the philosophy of history as a series of distinct civilizations. According to him, Russia and the Slavs should remain indifferent to the West and concentrate on the development of political absolutism, their own special cultural heritage—not necessarily better than but different from that of the West. The work pioneered the use of biological and morphological metaphors in the comparison of cultures. Danilevsky compared cultures and nations to biological species, denying their commonality, and arguing that each nation or civilisation is united by its language and culture, which it cannot pass on to any other nation. Danilevsky applied his teleological theory of evolution, stating that each type went through various predetermined stages of youth, adulthood, and old age, the last being the end of that type. He characterised the Slavic type as being at the youth stage, and developed a socio-political plan for its development, involving unification of the Slavic world, with its future capital at Constantinopole, ruled by an Orthodox Emperor. While other cultures degenerate in their blind struggle for existence, the Slavic world should be viewed as a Messiah among them. In Danilevsky's view there is no genuine or absolute progress, however, as history is circular.

Danilevsky was said to have "given Russian nationalism a biological foundation." His ideas influenced Konstantin Leontev among Russian thinkers and, among Western philosophers, Oswald Spengler.

Translation of the third chapter of the monograph "Is Russia Erope?" is presented here.

## ანდრია ლაუთი

## ԶԱՀՈՒՅԱՆ ՎԵՐԱԿԱՐԱՎՈՐԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

მართლმადიდებლობისა და ხელოვნების საკითხის განხილვისას უმაღლ ვაწყ-დებით პარადოქსს. ერთი მხრივ, ალბათ, ხელოვნებისა და მშვენიერებისათვის განკუთვნილი საგანგებო ადგილი სწორედ მათ იზიდავს მართლმადიდებლობისკენ, ვინც მას გარედან აღიქვამს: მათ ხიბლავთ ხატები, მშვენიერი გალობა, ლიტურგის სადღესასწაულო მრავალფეროვნება (სიმდიდრე). ეს კველაფერი თავად მართლმადიდებლებისათვისაც მეტად მნიშვნელოვანია. მეათე საუკუნის ახლად მოქცეული რუსი მართლმადიდებელების ნაამბობი მათი მოქცევის შესახებ ყურადღებას ამახვილებს მშვენიერების მნიშვნელობაზე, რომელმაც კიევის პრინცის, ვლადიმირის, ელჩები შეაძრნუნა კონსტანტინოპოლის წმიდა სიბრძნის დიდ ტაძარში: „არც კი ვიცით, როგორ აღვწეროთ ეს ბრწყინვალება და მშვენიერება, რადგან მინაზე მსგავსი რამ შეუძლებელია არსებობდეს. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ღმერთი სუფევს კაცთა შორის... რადგან ამ მშვენიერებას ვერასდროს დავივიწყებთ“ (ძველი რუსული ქრონიკები).

მიუხედავად ამისა, ყველა, ვინც მართლმადიდებლობით არის დაინტერესე-ბული, მალე აღმოაჩენს, რომ მართლმადიდებლებს სრულებით არ ეხალისებათ ხე-ლოვნების ენით საკუთარ ღვთისმოსაობასა და ღვთისმსახურებაზე საუბარი. უფრო მეტიც, მართლმადიდებლებს ხატებთან საუბრისას ხშირად ერთგვარი თავდაცვის ელემენტიც კი ახასიათებთ. მაგალითად, დედა თეკლა საკმაოდ კატეგორიულად აცხადებს თავის ახალ წიგნში: „ხატები არ არიან ხელოვნების ნიმუშები“. ამის მიზე-ზის ძებნა შორს არ წაგვიყვანს. მართლმადიდებელთა თავდაცვის მექანიზმი უმე-ტეს შემთხვევაში ესთეტიკური მშვენიერებისადმი ეჭვის გრძნობითაა გამოწვეული. მათ, ვისაც ასეთი დამოკიდებულება აქვს, მიაჩნიათ, და მართებულადაც, რომ თვით ესთეტიკის სფერო მეტად მაცდუნებელია. არსებობს საშიშროება იმისა, რომ მშვე-ნიერების მნიშვნელობის მათივე აღქმა შესაძლებელია, უნებლიერ, ემსხვერპლოს იმ მსოფლმხედველობას, რომელიც არსებითად ეწინაღმდეგება თავად მართლმა-დიდებობას. ეს საკითხი კიდევ უფრო ზოგადი პრობლემის ნაწილია.

ჩამოგვიყალიბდება, როგორც მხოლოდ დასავლეთის პრობლემების სარკისებური ანარეკლი და მართლმადიდებლობის განსაზღვრებას შევუდებით დასავლეთიდან ნაკარნახევი პირობების საფუძველზე.

საკითხი ისე კი არ განიხილება, რომ მართლმადიდებლობა პასუხია დასავლეთის პრობლემებზე, არამედ, რომ ის მთლიანად სცდება ამ პრობლემათა საზღვრებს. დაუბრუნდეთ ხატებისა და ხელოვნების საკითხს: პრობლემა ის კი არ არის, რომ ხატები რელიგიური ხელოვნების უფრო დამაკმაყოფილებელ ფორმას წარმოადგენენ, ვიდრე დასავლური ხელოვნების ნიმუშები (ტრადიციიდან დაშორების შემდეგ); გასარკვევი ისაა, რომ, თუ ხატები ხელოვნებაა, მაშინ ეს კითხვას ბადებს ხელოვნების მნიშვნელობაზე, რომელიც სრულებით განსხვავდება წამყვანი დასავლური თეორიებისაგან. სწორედ ამას ადასტურებს დედა თეკლეს უკომპრომისო წინააღმდეგობა ხატის, როგორც ხელოვნების ნიმუშის შესახებ.

## ხელოვნების მახასიათებელი ნიშნები დასავლეთში

ამის გასავითარებლად საჭიროა განვიხილოთ დასავლური ხელოვნების განმასხვავებელი ნიშნები, როგორც მაგალითი, და არა, როგორც ამომწურავი ანალიზი. მართლაც გამორჩეულია დასავლური ესთეტიკის თეორიებში მხატვრული შემოქმედების თეორია. მაგალითად, ის, რომ ხელოვანი შემოქმედებითი მხატვრითი უნარით, გარკვეულწილად, ღმერთის ანალოგია. მხატვრის, როგორც შემოქმედებითი ფენომენის განხილვას მივყავართ არა უადრეს რენესანსის ეპოქისა. შემდეგ კი ეს თეორია თავისითავად ვითარდება მე-18 და მე-19 საუკუნეების რომანტიზმში.

ამ იდეის ჩანასახები შეგვიძლია დავინახოთ ნიკოლოზ კუზანელის აზრში შექმნილი გონების, როგორც *secundus dues* (მეორე ღმერთი) შესახებ, რომელიც წარმოსახვით სამყაროს ქმნის შემოქმედი ღმერთის მიბაძვით. კუზანელთან ეს მხოლოდ მცირედი თემაა და სათანადოდ არ განვითარებულა. დიდი რენესანსელი ჰუმანისტი სკალიგერი თავის „პოეტიკაში“ ამბობს, რომ მაშინ, როდესაც სხვა ხელოვნება, როგორც მსახიობი ან წარმომდგენი, მხოლოდ მიბაძვით გამოხატავს იმას, რაც უკვე შექმნილია, ჭეშმარიტი პოეტი შემოქმედია, როგორც მეორე ღმერთი. რენესანსის, და განსაკუთრებით ჯორდანო ბრუნოს, გავლენით, პოეტი და ჭეშმარიტი მხატვარი ხშირად მოიაზრება, როგორც ერთგვარი პრომეთე: „ის, ვინც ღვთაებრივის, შემოქმედებითის და საყოველთაო ბუნების შინაგანი შეგნებითა და გამოცდილებით, და თავისი ეთიკური პიროვნების სისავსიდან, „შინაგანი ფორმიდან“, თავად ხდება შემოქმედი“.

მე-18 საუკუნეში ეს იდეები შემოიჭრა გერმანიაში. იქიდან დავიწყოთ, რომ პოეტისათვის სიტყვა „Schöpfer“ ან „შემოქმედის“ მისადაგება ქრისტიანებს ყურს ჭრიდა. თუმცა, გოეთეს დროისათვის პოეტის, როგორც ღვთაებრივი გენიოსის იდეა, რომელიც თავისი არსით შემოქმედებითია და საკუთარი არსების სიღრმიდან ქმნის, საყოველთაოდ მიღებულ თეორიად იქცა. იმის გამო, რომ ეს იდეა ხშირად გაუცნობიერებლად იყო მიღებული, შეიცვალა ხელოვნების აღქმის გაგებაც. ის მხატ-

ვრის შემოქმედებითი პროცესის ერთგვარ ექოდ გადაიქცა. ლექსის (ან პრინციპში, ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების) გასაგებად საჭიროა ხელოვანის შემოქმედებით პროცესში წარმოსახვითად შეღწევა და მისი გამოცდილების გაზიარება. გარკვეული აზრით, ხელოვნებას ჩანაცვლებს მხატვარი, რომელიც საკუთარ თავს აღიქვამს მოვლენათა ცენტრში. სწორედ მხატვრის შინაგან ცხოვრებაში შეღწევასა და გაზიარებას ვცდილობთ ჩვენც. ხელოვნების ნაწარმოების აღქმის თეორია შეიმუშავა დიდმა თეოლოგმა შლეიერმახერმა. მის ინტერესთა მეორე სფერო (ალბათ, უფრო მნშვენელოვანი) იყო გაცნობიერებისა და ინტერპრეტაციის ფილოსოფია – სფერო, რომელიც „ჰერმენევტიკის“ სახელითაა ცნობილი.

თუ დასავლურ აზროვნებაში განვითარებული თეორიის ამგვარი, ცოტა არ იყოს, გამარტივებული ანალიზი სიმართლეს შეესაბამება, მაშინ სრულებით არ არის ძნელი მივხვდეთ, თუ რა პრობლემა აქვს მართლმადიდებლობას ხელოვნებასთან. ის თეორია, რომ მხატვარი არსობრივად შემოქმედებითია, არ არის მიღებული იმ ტრადიციაში, რომელიც მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების საგანძურსა და ქვაკუთხედს წარმოადგენს. ის რენესანსის, განმანათლებლობისა და რომანტიზმის იდეებიდან არის წარმოშობილი, სწორედ იმ მიმდინარეობებიდან, რომლებიც მართლმადიდებელი ქრისტიანობის ისტორიული თანმიმდევრულობის გვერდის ავლით განვითარდნენ.

ეს პრობლემა ნებისმიერი მართლმადიდებელი მოაზროვნისათვის კარგად ნაცნობია დასავლეთში. თუმცა პირველ პარაგრაფში ზედაპირულად შევეხე და-სავლეთისა და მართლმადიდებლობის გამიჯვნას, აღსანიშნავია, რომ დასავლეთში მცხოვრებ მართლმადიდებელ ქრისტიანთა უმრავლესობისათვის ეს გამყოფი ხაზი სწორედ ჩვენზე გადის. ჩვენ, დასავლეთში მცხოვრები მართლმადიდებელი, სხვა-დასხვა ფორმით, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, რომ ამბიციურები ვიყოთ. ჩვენ გამოგვარჩია საღმრთო გადმოცემის რწმენამ, მაგრამ ჩვენი აზროვნება, უმეტესწილად, ფორმირებულია აზროვნების იმ ტრადიციებით, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელია საეკლესიო ტრადიციისაგან. ჩვენ საკუთარ ამფიბიურობას სხვადასხვა გზით ვუმკლავდებით: ერთი უკდიურესობაა ჩვენი დასავლური საზრდოს დავიწყების მცდელობა, მეორე კი – ალბათ, წმიდა ტრადიციის საღმრთო გადმოცემის და-სავლურ პრინციპებზე გადმოთარების მცდელობა. მათ შორის სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს მაკავშირებელი ხიდის მშენებლობის მცდელობა, ზოგი – საფუძვლი-ანი, ზოგიც – მოკლევადიანი.

როდესაც მართლმადიდებლობაზე და ხელოვნებაზე ვსაუბრობთ, იძულებული ვართ, ეს ყველაფერი გავითვალისწინოთ, რადგან მხატვრული შემოქმედების ენა საფუძველს წარმოადგენს ხელოვნებითა და პოეზიით დაინტერესებული ყველა პირისათვის. თუმცა ამ თეორიის ფუძეები მხოლოდ ზედაპირულად ეხება ან, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელია საეკლესიო ტრადიციისაგან. უფრო მეტიც, იმის მცდელობა, რომ შემოქმედებაზე ვისაუბროთ იმ საეკლესიო ტრადიციისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგით, ძალიან სახითათოა, რადგან შემოქმედების თეორია დასავლეთში სრულებით არ არის უმანვო. ის იმ პროცესთა განვითარების ნაწილია, რომელიც ინდივიდუალს ღმერთთან აიგივებს. ის სეკულარიზაციის

იმ პროცესების ზენიტშია, რომელიც დასავლეთში დაჩქარების წინამორბედი იყო. თუ ჩვენ ამ თეორიას მივიღებთ და გავიზიარებთ, მაშინ ძალიან გაგვიჭირდება მართლმადიდებელ ტრადიციასთან კავშირის გაგრძელება.

მართალია, რომ მხატვრული შემოქმედების იდეა, როგორც ის დასავლეთში განვითარდა, უცხოა საეკლესიო ტრადიციისათვის. თუმცა, თვით ხელოვნების ნაწარმოები ან თუნდაც მხატვრის წარმოსახვით გამოსახული ქრისტეს, ღვთისმშობლის და წმინდანთა წმინდა სახეები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ცხადია, ეს მხოლოდ სახვით ხელოვნებაში არ ხდება. მუსიკამ, პოეზიამ და არქიტექტურამ მონახეს სახლისაკენ მიმავალი გზა აღმოსავლურ ქრისტიანობაში. თუმცა ვიზუალურმა ხელოვნებამ ხატმებრძოლეობის კრიზისი გამოიწვია და, ამდენად, თეოლოგიური განსაზღვრების დამტკიცებასა და ღირებულების აღიარებას მიაღწია.

ფაქტობრივად, ისტორიული თვალსაზრისით, ბიზანტიური კულტურა და მისგან წარმოშობილი სლავური კულტურები იმით გამოირჩევიან, რომ მათ ხელოვნების ადგილი საგანგებოდ აქვთ გაცნობიერებული. თუმცა, გარკვეულწილად, იგივე შეიძლება ითქვას ისლამურ კულტურაზე, და არა დასავლეთზე, რომელმაც ხელოვნება სხვადასხვაგვარად გამოიყენა, მაგრამ, როგორც კულტურას, არასდროს უფიქრია მისი გამართლების ფორმულირება. ბიზანტიურმა კულტურამ ხელოვნების გამართლების თეორია განავითარა ხატმებრძოლეობის შედეგად მერვე და მეცხრე საუკუნეებში. ვფიქრობ, უმჯობესია, გადავხედოთ ბიზანტიის მიერ ხატმებრძოლეობის გმობას და ხატებისა და მისი თაყვანისცემის გამართლებას და ვნახოთ, თუ იძლევა ის ისეთ კონტექსტს, რომელიც ავითარებს ხელოვნების მართლმადიდებლურ გაგებას.

## აღმოსავლური ქრისტიანობის მიერ ხელოვნების გამართლება

ხატმებრძოლთა ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც ჩამოყალიბდა ხატმებრძოლთა მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაზე კონსტანტინოპოლიში (754 წელს) და დაიგმო 787 წელს მოწვეულ ნიკეის მსოფლიო კრებაზე, იყო: „არც რაიმე ლოცვა არსებობს მის [ხატის] საკურთხებლად ან იმისათვის, რომ ჩვეულებრივიდან წმიდა მდგომარეობაში მოხდეს მისი გარდასახვა. შესაბამისად, ის ისეთივე ჩვეულებრივი და არალირებულია, როგორადაც ის მხატვრის გონებამ შექმნა“.

მეტად საინტერესოა მართლმადიდებელთა მხრიდან ამ არგუმენტის გმობა: მართლმადიდებლობა აღიარებს ფაქტს, მაგრამ ამაში სირთულეს ვერ ხედავს. როგორც ხატების შექმნას და თაყვანისცემას არ სჭირდებოდა საგანგებო კურთხევა, ასევე, არც პირჯვრის გამოსახვას (ჩვეულებრივ, ჰაერში ან შუბლზე) და არც საღმრთო ლიტურგიისათვის საჭირო წმინდა ჭურჭელს. რასაც მხატვარი ქმნის ღვთის სადიდებლად, ის უკვე თაყვანისცემის ღირსია; ის არ არის უძრალო და არალირებული, რომელსაც საგანგებო კურთხევა ესაჭიროება. თუმცა, დროთა განმავლობაში ხატების კურთხევის ფორმა განვითარდა, მაგრამ მეშვიდე საეკლესიო კრების ეს პასუხი ძალიან მნიშვნელოვანია. მხატვარი, როდესაც ქმნის ქრისტეს,

ღვთისმშობლისა და წმინდანების სახეებს, ქმნის რაღაც წმინდას. ამ შემთხვევაში, მხატვრული ქმნილება სიწმინდის სფეროს ეკუთვნის, მას არ სჭირდება ამ სფეროში შემოყვანა. ხატი თავისთავად არის წმინდა, რადგან ის ასახავს იმის სახეს, ვინც არის წმინდა. ის არ არის წმინდა მხოლოდ იმის გამო, რომ ის ნაკურთხია. მხატვრის შრომა, შემოქმედება თავისთავად არის წმინდა საქმე.

თუ გადავხედავთ წმ. იოანე დამასკელის „ხატთა თაყვანისცემისათვის“, ვნახავთ, რომ ისიც ხატმებრძოლთა აზრებს პასუხობს. ხატმებრძოლები ხატთა თაყვანისცემას ეწინააღმდეგებოდნენ იმ მოსაზრებით, რომ, მათი აზრით, ხატები მხოლოდ ფიცრის ნაჭრებია (ან მოზაიკა, ნახატი და ა.შ.). მათთვის ხატი მხოლოდ მატერიალური ნივთია. მართლმადიდებლური პასუხი ასეთია: ხატი არ არის მხოლოდ ნივთი და ამის უარყოფა ხატმებრძოლთა გმობის გაზიარებას ნიშნავს. წმ. იოანე ამბობს: „მე არ ვცემ თაყვანს საგანს, მე თაყვანს ვცემ საგანთა შემოქმედს, რომელმაც ჩემ გამო ნივთიერი ბუნება შეიძინა, დათანხმდა ნივთიერ სამყაროში ცხოვრებაზე და მისი საშუალებით მოპოვა ჩემი ცხონება. არ შევწყვეტ იმ მატერიის თაყვანისცემას, რომელმაც ჩემი ცხონება განაპირობა“. ხატი მატერიალურია, მაგრამ ეს არ გამოდგება მისი გმობის მიზეზად, რადგან ღმერთმა თავად შექმნა მატერიალური სამყარო (აქ წმ. იოანე თავის მანიქეველ ოპონენტებს ედავება) და უფრო მეტიც, რადგან ღმერთი თავად გამატერიალურდა განკაცების გზით. წმ. იოანესათვის ხატთა თაყვანისცემის უმთავრესი გამართლება სწორედ მაცხოვრის განკაცებაა. ეს ნიშნავს, რომ თუმცა ხატების თაყვანისცემა მოიაზრება, როგორც მაცხოვრისა და წმინდანების ამბორი (რადგან, როგორც წმ. ბასილის მრავალგზის ციტირებული ფრაზა გვამცობს: „გამოსახულებისათვის მიგებული პატივი მის პირველწყაროს გადაეცემა“), ეს სრულებით არ აკნინებს ხატების მატერიალურობას. პირიქით, ხაზს უსვამს ხატის მატერიალურობას, მის, ასე ვთქვათ, „ნივთობას“. ხატი მიანიშნებს მატერიის ღირებულებაზე, რომელიც სამყაროს შექმნისას დაწესდა და განკაცებისას გაცხადდა.

წმინდა იოანეს ხატის საღვთისმეტყველო აპოლოგიის ქვაკუთხედად გვევლინება ხატის მნიშვნელობის მისებური გაგება. პირველ და მესამე ტრაქტატებში წმ. იოანე ხატის შინაარსსა და მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი ნააზრევი განსაკუთრებული სისრულით ვითარდება მესამე ტრაქტატებში. აქ ის ხატს განსაზღვრავს, როგორც „მსგავსებას და პარადიგმას და ანაბეჭდს იმისა, რაც თავად გამოსახულებაში იჩენს თავს“ და ამბობს, რომ ყოველი ხატი „ავლენს და მიუთითებს რაღაც დაფარულზე“. მას ნიმუშად მოჰყავს სხვადასხვა სახის ხატები. უპირველეს ყოვლისა, არსებობს ბუნებრივი ხატი: ის მაგალითი, რომელიც მას მოჰყავს ასახავს, თუ როგორ არის სამების მეორე პირი, ანუ ძე, მამის ხატი, სულიწმიდა კი – ძის ხატი. ხატის იდეა ამგვარად თავად შეუქმნელ მამა ღმერთამდე მიდის. სამების წევრთა შორის ურთიერთობა ის ურთიერთობაა, რომელშიც ერთი წევრი მეორეში მის ხატად არის გაცხადებული.

მეორე სახის ხატი არის იდეა ანუ პლატონისეული ფორმები, რომელიც ღმერთის გონებაში არსებობს და იმ ყველაფრის მოდელად გვევლინება, რაც შექმნილია

ღვთის ნების შედეგად. თუმცალა ეს პლატონიზმი სახეცვლილია იმ აზრით, რომ წმ. იოანე ხატის მეორე ტიპს ხედავს, როგორც სამომავლო იდეას ღმერთში, როგორც რაღაც ისეთს, რაც შემდგომში უნდა მოხდეს. მარტივად რომ ვთქვათ, ის გაიგივე-ბულია ღმერთის მარადიულ ნებასთან, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ყველა-ფერს. ეს ღმერთში არსებული „ხატები და პარადიგმები“ ის არის, რასაც წმინდა დიონისე არეოპაგელი უწოდებს წინასწარგანსაზღვრულობას (Προσορισμοί). ყველა-ფერი, რაც არსებობს, ყველაფერი, რაც ხდება, გარკვეული აზრით, სარკისებურად ირეკლება ღვთის ნებაში.

მესამე სახის ხატი არის ადამიანი, რომელიც შექმნილია „ღვთის ხატებად და მსგავსებად“. წმინდა იოანე ცოტა არ იყოს უჩვეულოდ ხსნის, თუ როგორ არის ადა-მიანი ღვთის ხატი. პიროვნება, როგორც გონება, ლოგოსი (მიზეზი) და სული (νουσ, λογος, πνεύμα) გამოსახავს სამების წევრთა (მამის, ძის და სულინმიდის) ერთიანო-ბას. ეს აზრი წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველთანაც გვხვდება, მოგვიანებით კი, მაქსიმე აღმსარებელმა განავითარა და სწორედ მის მოსაზრებებს ეყრდნობა წმინ-და იოანე. პიროვნება აგრეთვე ღმერთის ემსგავსება იმით, რომ ის თავისუფალი და თვითგანმსაზღვრელია და იმითაც, რომ ის სამყაროს მპრძანებელია.

ხატის მეოთხე სახეობა მოიაზრება იმ ფორმებსა და სახეებში, რომელსაც წმინდა წერილი უხილავ ღმერთსა და უხილავ ანგელოზებზე სასაუბროდ იყენებს. ამაში წმინდა იოანე თავს დავალებულად მიიჩნევს დიონისე არეოპაგელის წინაშე.

მეხუთე სახეობა შედგება მომავლის ტიპებისა და ფიგურებისაგან. მაგალი-თად, „შეუწველი ბუჩქის“ ან „გედეონის სანმისი“ – ორივე ყოვლადწმინდა ქალნუ-ლის სახედ მოიაზრება, განსაკუთრებით, მისი უბინოდ ჩასახვის კონტექსტში.

მეექვსე და ბოლო სახეობა არის ის, რაც წარსულის მოვლენებისა და პიროვ-ნებების მოგონებებს აღვიძებს. აქ გვხვდება ორი ნაირსახეობა: წიგნებში მოთხრო-ბილი ამბები და ის სახეები, რომლებიც მხედველობით აღიქმება, ხატები ან გამო-სახულებები, რომლებსაც ხატმებრძოლები ეწინააღმდეგებოდნენ. წმინდა იოანეს მაგალითები მოჰყავს ძველი აღთქმიდან და ამით აქარწყლებს ხატმებრძოლთა არ-გუმენტებს, რომლებსაც თავადაც ძველი აღთქმის მეორე მცნება მოჰყავთ დასაყ-რდენ წყაროდ.

წმინდენელოვანი ფაქტორი წმინდა იოანე დამასკელის მიერ ხატის მნიშვნელო-ბის განმარტებაში არის სწორედ ის, რომ ის ხატი, რომელსაც ის კონკრეტულ შემ-თხვევაში იცავს, ხატის მნიშვნელობის თეოლოგიური სპექტრუმის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს. მამა ღმერთი თავად მოიცავს სხვადასხვა ხატებს; ხატი მონა-წილეობს ღმერთის სიყვარულის განგებაში; ადამიანი, რომელიც, როგორც მიკრო-კოსმოსი, საკუთარ თავში აირეკლავს მთელ შექმნილ კოსმოსს, ღვთის ხატად არის შექმნილი. ხატი უხილავ სამყაროს აცხადებს ხილული ფორმით. ხატები შუამდგომ-ლობენ ძველ და ახალ აღთქმას შორის, როგორც ძველი სახეები, რომლებიც აღ-სრულდებიან ახალში და აღვიძებენ ადამიანურ მეხსიერებას. ხატები შუამავლობენ; ხატებს ერთი საგანი ურთიერთობაში შეჰყავთ მეორესთან; ხატები მნიშვნელობას ანიჭებენ საგნებს. ეს ასე ხდება, რადგან ღმერთმა ასე შექმნა სამყარო. სამყაროში

ყველაფერი კავშირში და ურთიერთმიმართებაშია და ხატები სწორედ ამ კავშირსა და ურთიერთმიმართებას წარმოაჩენენ.

როდესაც მხატვარი ქმნის სურათს ან ხატს, მას წვლილი შეაქვს სამყაროს ან კოსმოსის სიმფონიურ მთლიანობაში. მას წვლილი შეაქვს იმ სამყაროს სრულყოფაში, რომელიც ხილულსა და უხილავს მოიცავს; რომელიც მოიცავს მატერიალურსა და სულიერს; რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროში აირეკლება; რომელიც შექმნიდან საბოლოო მიზნისაკენ მიისწრაფვის ქრისტეს აღდგომის საიდუმლოების გზით; რომელიც ორივე აღთქმის წმინდანთა თანაზიარებაა. მხატვარი მის მიერ შექმნილ ხატში თუ სახეებში ასახავს და ახორციელებს საგანთა არსებულ ჰარმონიას. ხელოვანი ასახავს, რადგან ის არ ქმნის რაიმე წარმოსახვითს, არამედ გვეხმარება, რომ რაღაც ნამდვილი ვიხილოთ. ის ხორცს ასხამს უკვე არსებულს. ხატი ჰარმონიაში გვითრევს და ამბორისა და თაყვანისცემის მეშვეობით იმათ უზიარებს ამ ჰარმონიას, ვისაც შესაბამისი პასუხი გააჩნია. აქ ბევრი რამის განვითარება შეიძლება. შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ხატები მხოლოდ წარსულ მოვლენებს კი არ ასახავენ, არამედ გამოსახავენ იმ წარსულ მოვლენებს, რომლებიც ლიტურლიაში იდლესასწაულება. ეს მოვლენები აშკარა კავშირშია ღვთის მიერ შექმნილი კოსმოსის ჰარმონიის დაფუძნებასთან და ღვთის მიერ მის განახლებასთან. მინდა ვთქვა, რომ ხატი მარტო არ დგას. ჩვენ მას მხოლოდ შინაარსობრივი შესწავლით ვერ გავიგებთ. ჩვენ მის გაგებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ მას მოვიაზრებთ ხატთა იმ სამყაროს ნაწილად, რომლის სიმფონიური ჰარმონიაც დაფუძნებული და გაცხადებულია მრავალფეროვან ურთიერთობებსა და ანარეკლებში, რომლებიც ყველაფერს ერთმანეთთან აკავშირებენ.

### **სულიერი გრძნობის ორგანოები**

ალბათ უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ ამრუდებს მხატვრული შემოქმედების დასავლური ხაზგასმა ხელოვნების იმ გაგებას, რომელიც ხატში აისახება. თუ ხელოვნება არის ნიშანი, რომელიც მიზნად ისახავს კოსმოსის მრავალმხრივ ხატისებური ბუნების ამოკითხვას, მაშინ მხატვრული შემოქმედების თეორია, როგორც ჩანს, მცდარ აქცენტს აკეთებს, როდესაც ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს ხელოვანის, როგორც ნიკოლოზ კუზანელმა თქვა – „გონებით ნავარაუდევ“ სამყაროზე. თუმცა საკითხავია, რატომ უნდა დავინტერესდეთ ამით? არა იმიტომ, რომ ეს მხატვრის სამყაროა, თუ მაღალი წრის ჭორები მაინცდამაინც არ გვიტაცებს, რაც, ვალიარებ, კარგი გასართობი და თავშესაქცევია, რადგან მხატვრის ეგო ჩვენს ეგოზე ბევრად დიდია. თუ თვით შემოქმედება ხელოვნების შექმნაა, მაშინ ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვიაროთ. თუმცა, მხატვრის სამყარო შესაძლოა სხვა მიზეზის გამოც იყოს საინტერესო – მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში „მხატვრის სამყაროზე“ საუბარი ცოტა არ იყოს, უცნაური იქნება.

იოანე დამასკელის შესახებ საუბრისას ყურადღებიანი მკითხველი შესაძლოა გააოცოს მისმა სამეტყველო ენამ, რომელიც მოიცავს ისეთ ცნებებს კოსმოს-

თან მიმართებაში, როგორიცაა „სიმფონიური ერთობა“, „ჰარმონია“ და ასე შემდეგ. თანამედოვე ადამიანი იტყვის: როგორ შეგვიძლია ამ ტერმინების გამოყენება იმ სამყაროში რომელსაც ვიცნობთ, როგორც დაწყლულებულს, დანაწევრებულს და ფრაგმენტულს? წმინდა იოანე ამ ენას ორი მიზეზით იყენებს: ერთი – ღმერთმა შექმნა კოსმოსი, როგორც მშვენიერი და ჰარმონიული; და მეორე – ინკარნაციის მეშვეობით, რომელიც, მისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა, საპირისპიროთა ძლიერ შეერთებას გულისხმობს. ღმერთმა აღადგინა სამყაროს პირვანდელი ერთობა და ჰარმონია, რომელიც მან ადამიანის ცოდვით დაცემისას დაკარგა.

წმინდა იოანე და ყველა ბერძენი წმინდა მამა კოსმოსის შესახებ საუბრობს, როგორც ჰარმონიულზე, როგორც პროტოლოგიურად (რაც მისი პირველსახის მდგომარეობას გულისხმობს), ასევე, ესქატოლოგიურად (რაც გულისხმობს მის საბოლოო მდგომარეობას). მათ შორის არის დამსხვრეულობა, თუმცა ეს დამსხვეულობა კურნებისა და აღდგენის პროცესშია. ამ აღდგენის პროცესის გულშია კაცთა და ქალთა სახეებში ღვთის ხატების აღდგენა. როგორც კი ხატება სრულად აღდგება, მაშინ მოხდება სამყაროს თავდაპირველი და საბოლოო ჰარმონიის გაცხადება, რასაც ჩვენ სამოთხეს ვუწოდებთ.

დაცემის ერთ-ერთი შედეგთაგანია სამყაროს ფრაგმენტირება. ერთად მცხოვრები პირვენებების ნაცვლად, ჩვენ გარდავიქმენით იზოლირებულ ინდივიდუალებად. როგორც ინდივიდუალები, ჩვენ სამყაროს ჩვენზე ცენტრირებულად ვხედავთ. ჩვენი „სამყაროები“ კონფლიქტში შედიან იმიტომ, რომ მე არ ვარ შენ. ჩვენ ვცდილობთ, ან საკუთარი სამყაროს ჰეგემონია განვიმტკიცოთ, ან სხვისი სამყაროს ჰეგემონიას შევაფაროთ თავი, ან ისეთ ჰატარა სამყაროში განვმარტოვდებით, რომელსაც, იმედი გვაქვს, რომ ვერავინ შენიშნავს.

თუ დავუშვებთ, რომ ღმერთი არ არსებობს, მაშინ არ არსებობს მიზეზი იმისა, რომ ფრაგმენტირებულობა არ იყოს ნორმა. მაშინ რატომ არ უნდა არსებობდნენ მეტოქე სამყაროები ან საპირისპირო ხედვები? (ვფიქრობ, რომ სწორედ ეს ჭეშმარიტება უდევს საფუძვლად დოსტოევსკის უკიდურეს დიქოფომიებს: ან ღმერთი, ან ყველაფერი დანარჩენი, ან მარადიულობა, ან ამორალიზმი).

მაგრამ თუ ღმერთი არსებობს, მაშინ ასეთი ფრაგმენტულობა დაცემის ნიშანია. ფრაგმენტირება არ არის საბოლოო, და სიყალბეზეა დაფუძნებული. შეუძლებელია, რომელიმე ქმნილება წარმოადგენდეს სამყაროს ცენტრს.

ცოტა ხნის წინ აღვნიშნე, რომ ინდივიდუალიზმი, რომელიც დასავლური თეორიების მიხედვით მხატვრული შემოქმედების ცენტრში მოიაზრება, სეკულარიზაციის მამოძრავებელი ძალაა. სეკულარულ სამყაროში წარმოსახვითი სამყარო შეიძლება მომხიბვლელი იყოს. ის ყურადღებას ჩვენი სამყაროს წვრილმანობისა და დესტრუქციულობის მიღმა მიმართავს და ამას ისე ახერხებს, რომ ის წაპოლეონისა და ჰიტლერის ჰეგემონიის ამბიციებზე უფრო მეტი ზემოქმედების ძალით სარგებლობს.

დიდი მხატვრების წარმოსახვითმა ხედვაში შესაძლოა დაკარგულ ჰარმონიაზე დაგვაფიქროს, ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა სიყვარული, მაშინაც კი, როდე-

საც ის ხშირად მხოლოდ ახლობლების ვიწრო წრისკენაა მიმართული და არა ფართო სამყაროსკენ. ასეთი ხედვა შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც „შემოქმედებითი“, რადგან არ არსებობს არც ნამდვილი და არც იდეალური სამყარო, რომლის ასლიც ის იქნებოდა. ეს მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, თუ გვნამს, რომ ღმერთი არ-სებობს და სასუფეველი ხელახლა უნდა დავიმკვიდროთ.

თუ ეს ასეა – და გვნამს, რომ ასეა – მხატვრული შემოქმედება სხვა მხრიდან უნდა განვიხილოთ. მხატვრულ შემოქმედებაზე კონცენტრირება, გვინდა თუ არა, ყურადღების ცენტრში აქცევს შემოქმედებით აქტს. ჰერმენევტიკის მიზანი, როგორც ეს შლეიერმახერს ესმის, არის ის, რომ გააანალიზოს და გააცოცხლოს ის შემოქმედებითი აქტი, რომელიც ადრე ვახსენე. თუმცა, რამდენიმე მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ ვიფიქროთ – ეს მიდგომა საფუძველს მოკლებულია. ე.ჸ. გომბრიხი თავის ცნობილ ლექციაში „მხატვარი მუშაობისას“ აღნიშნავს:

„როდესაც მხატვარი განიზრახავს მის გონიერებაში არსებული ახალი იდეის განხორციელებას, ის ხვდება, რომ მას ისევე მნირად შეუძლია აზრის გადმოტანა, როგორც მის წინაშე თვალისწილულად არსებული მოტივისა. ეს შეხედულება ეწინააღმდეგება გაბატონებულ შეხედულებებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი დამტკიცება ექსპერიმენტულად არის შესაძლებელი. ერთხელ მხატვართა ჯგუფს ვკითხე, თუ შეეძლოთ წარმოედგინათ გონიერებაში კალმის ან ფუნჯის მონასმი ისეთი სიზუსტით, რომ ის ფურცელზე გაემეორებინათ ყოველგვარი სახეცვლილების გარეშე. არც ერთ მათგანს არ დაუშვია ამის შესაძლებლობა“.

გომბრიხი გულისხმობს იმას, რომ ახლის შექმნა პროცესია, რომელიც შექმნის პროცესში გამომუშავდება – არ არსებობს გამზადებული რეცეპტი. შეიძლება გავიხსენოთ თომას ელიოტის შენიშვნაც ჯონ ლივინგსტონ ლოუესის წიგნზე „გზა ზანადუსაკენ“, როგორც კოლრიჯის „კუბლა ხანისა“ და „თქმულება მოხუც მეზღვაურზე“ შექმნის გამოკვლევა. ელიოტმა თქვა, რომ ეს არაჩვეულებრივი გამოვლინება იყო, თუმცა „იდუმალებით მოცული რჩება ის, თუ როგორ გარდაიქმნა კოლრიჯის ეს კითხვისას გაკეთებული ჩანაწერები დიდ პოეზიად“. კიდევ ერთი ასეთი მაგალითია რილკე, სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ. რილკეს ღრმად სწამდა პოეტის შემოქმედება. ახალგაზრდა პოეტისათვის მიწერილ პირველ წერილში, მისი რჩევის ლეიტმოტივი ასეთია: „დამის სიჩუმეში საკუთარ თავს შეეკითხე: „აუცილებელია კი, რომ დავწერო?“ საკუთარ გულში ამ კითხვაზე ყველაზე ღრმა პასუხი მოიძიება. თუ იპოვი ურყევ თანხმობას, თუ ამ გულწრფელ შეკითხვას უპასუხებ ძლიერად და მარტივად – „აუცილებლად უნდა დავწერო“, მაშინ შენი ცხოვრება ამ მოთხოვნილების გარშემო უნდა ააგო“.

თუ სერიოზულად შევხედავთ, მხატვრული შემოქმედების თეორია ნიშნავს იმას, რომ მხატვარი ქმნის უნიკალური განუმეორებლობით. შესაბამისად, ის აზრი, რომ კრიტიკოსი ხელახლა ქმნის შემოქმედებით გამოცდილებას, მხოლოდ აბსურდია.

აქ მართლმადიდებლურ ტრადიციას აქვს მნიშვნელოვანი სათქმელი. ჩვენი შესაძლებლობები არ შემოიფარგლება მხოლოდ სხეულის გრძნობის ორგანოებით.

ორიგენემ პირველმა განავითარა ეს აზრი და მას შემდეგ სულიერი გრძნობის ორგანოების დოქტრინა სხვადასხვა გზით განვითარდა. სულიერი გრძნობის ორგანოები განსხვავდება სხეულის გრძნობის ორგანოებისაგან. ხშირად ეს განსხვავება ეფუძნება ადამიანის, როგორც პიროვნების მთლიანობის ხისტ გაგებას. დაცემული სამყაროს ჩვენებური გაგება სხეულის გრძნობის ორგანოების მეშვეობით სპექტრუმის ერთი ბოლოა, რომელიც მეორე ბოლოს სწორედ სასუფევლის განცდისათვის გარდასახული გრძნობების საშუალებით სწვდება.

დაცემული სამყაროსკენ სხეულებრივი გრძნობის ორგანოების მიერ ლტოლვის ძალა ძალიან დიდია, თუმცა ამის მიზეზი უშუალოდ ჩვენი სხეულებრივი გრძნობების გამოყენება კი არ არის, არამედ ის, თუ როგორ ვაფასებთ სამყაროსა და გარეგან მოვლენებს: სამყარო არის რაღაც მის გარეთ, რაც უნდა დაიყყროს და დაეპატრონოს. მეორე მხრივ, არის სამყაროს აღქმა, როგორც არა გარეგანისა და უცხოსი, არა ბოროტად გამოყენებული საკუთარი სიამოვნებისათვის, არამედ ჭეშმარიტი სიამოვნების წყარო. უკვე ვისაუბრე „სპექტრუმზე“, თუმცა შესაძლოა ამან ამ კონტექსტში შეცდომაში შეგვიყვანოს. ქრისტიანთა მიერ სასუფევლის გამოცდილების პირველი მონათხოვები გვხვდება მონამეთა საქმეებში. მონამეები, ქრისტესთან მის სიკვდილში კავშირის საფუძველზე, განუდგებიან წუთისოფელს და სასუფევლის წევრები ხდებიან. ასევე, არსებითი მოთხოვნაა ასკეტიზმი, ცოცხალი მონამეობა, თუ ჩვენ გვსურს, რომ ამ სოფლიდან სასუფეველში გადავინაცვლოთ. ლოცვა, მარხვა, სიყვარულის და მოწყალების საქმეები – ეს ის გზებია, რითაც დაცემული სხეულის გრძნობის ორგანოებს საზრდო გამოელევათ და სულიერი გრძნობის ორგანოები იღვიძებენ და ამოძრავდებიან.

ყველაზე სიღრმისეულად თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, ხელოვნების საკითხი სწორედ სულიერი გრძნობის ორგანოებს უკავშირდება როგორც მხატვრისათვის, ასევე ხელოვნების შემფასებლისა და თაყვანისმცემლისათვის. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ჩვენ შეეგვიძლია ხელოვნებაში ვეძებოთ უფრო დიდი ობიექტურობა. იმას არ ვგულისხმობ, რომ კითხვა, თუ რა არის კარგი ხელოვნება, შეიძლება გამარტივდეს ან ესთეტიური ღირებულების რაიმე აღიარებული მოდელი ჩამოყალიბდეს. მე ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი ყურადღება უნდა მოსწყდეს მხატვრული გამოცდილების სუბიექტურობას (როგორც მხატვრის, ასევე თაყვანისმცემლისათვის) და ყურადღება მხატრის მიერ გაცხადებულ სამყაროზე უნდა გავამახვილოთ.

ეს გვაპრუნებს იმ საკითხთან, რომელსაც წმინდა იოანე დამასკელთან ვიკვლევდით. იქ ჩვენ ვნახეთ ხელოვნების ის გაგება, რომელიც სიმბოლოთა და ხატებათა სამყაროსთან არის დაკავშირებული და მათ ურთიერთკავშირსა და ღვთის მიერ შექმნილი კოსმოსის ისტორიას განაცხადებს. ეს ალბათ უფრო მკაფიოდ ავლენს პრობლემის ხასიათს. ავიღოთ წმინდა იოანეს სიმბოლოთა და ხატებათა სამყაროს ერთი ასპექტი – ის, რასაც ენოდება ფიგურალური რეალობა. ამ ასპექტში საღმრთო გადმოცემამ გააერთიანა სიმბოლიზმის საგანძური (ამ აზრს პოლ კლოდელს დავესესხები), რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ ბოლოდროინდელი მოვლენების მნიშვნელობა გამოიკვეთოს ეკლესიის ისტორიის მოვლენებში ან ინ-

დივიდუალის, ან ჯგუფის ცხოვრებაში. ეს ის არის, რაც დასავლეთში დანტეს დრომ-დე მაინც იყო ხელმისაწვდომი. აუერბახი ფიქრობდა და მისი აზრი დღესაც დამაჯერებლად უდერს, რომ სწორედ ამ ფიგურალური რეალობის დანგრევამ რენესანსისა და რეფორმაციის ფრაგმენტირებულ სამყაროში ახალი გზების ძიება გამოიწვია თანამედროვე სამყაროს რეალობის წარმოსადგენად. მისი აზრით, ეს გზები ისეთი პირადული გახდა, რომ, ფაქტობრივად მუტიზმის მდგომარეობას მიაღწია“.

ვფიქრობ, შესაძლებელია XX საუკუნის ლიტერატურის განხილვა, როგორც სხვადასხვა გზების მცდელობა სიმბოლოთა ფორმისა და საკმარისი სიხშირის დამონტებების დასაწესებლად, რაც უფლებას აძლევს ავტორს, რაიმე მნიშვნელოვანი თქვას. ეს მეტად სახასიათოა ისეთი ფიგურებისათვის, როგორიცაა ჯეიმს ჯორისი და დევიდ ჯონსი: ჯორისი თავისი დახვეწილი სილალით, რომელიც ცინიკურს ემიჯნება, დევიდ ჯონსი კი, სასონარკვეთით შეფერადებული სერიოზულობით. სასონარკვეთა ჯონსის ნაწერებში შესამჩნევია, რადგან მას მიაჩნდა, რომ სულ უფრო ცოტა და ცოტა ადამიანს შეეძლო კონტაქტი სიმბოლიზმის სხვადასხვა მოდელებთან. 1962 წელს მან ჰარმან გრისვუდს გაუზიარა: „თუ გარკვეულ რამებს არ მივიღებთ, როგორც ჩვეულებრივს, მაშინ ჩემი შემოქმედების გაგება, უბრალოდ, შეუძლებელია. მე არ ვპრაზობ ამაზე და მესმის, რატომ ხდება ასე, მაგრამ ეს ჩემს ქმნილებებს, ცოტა არ იყოს, აკნინებს“.

## სულიერ და მატერიალურ სამყაროთა შორის

კარგად მესმის, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი ამოუხსნელი დეტალი არსებობს და ამას ვერაფერს მოვუხერხებთ. თუმცა, დასასრულ მინდა, ჰერმან ბროხის რომანი ვირგილიუსის სიკვდილი გავიხსენო. ამ რომანის შინაარსში ასახულია პოეტის ამოცანის ბუნება. დასაწყისშივე ერთ ადგილას ვირგილიუსი ასეთ აზრს გამოთქვამს:

ორფეოსი და მისი პოემა სხვაგვარი ვერც იქნებოდა, რადგან ის შემოქმედია, პოეტი, მსმენელთა მომაჯადოებელი, მომღერალი და მსმენელი ერთსა და იმავე მწუხრით დაბინდული. ის მომაჯადოებელია, მაგრამ არა ადამიანის მხსნელი – მას ამის პატივი არასდროს ექნება, ვინაიდან მადლშემოსილი მხსნელი მხოლოდ ისაა, ვინც თავი დაალწია მშვენიერების ენას, მისი ცივი ზედაპირის მიღმა შეაღწია, პოეზიის ზედაპირის მიღმა, მან უბრალო სიტყვები მოიშველია, რადგან მათ, იმის გამო, რომ სიკვდილს იცნობენ, შეუძლიათ დატყვევებულ სულებს კარზე მიუკაუნონ, შიშისა და სისასტიკისაგან იხსნან ისინი და ჭეშმარიტ ხსნასთან მიაახლოონ. ის სპონტანური სიკეთის უბრალო ენას იყენებს, სპონტანური ადამიანური ლირსების ენას, გამოღვიძების ენას. ეს ის ენა არ არის, რომლისკენაც ორფეოსი ისწრაფვოდა, როდესაც ევრიდიკეს ძიებაში მზად იყო, ჩრდილის წყვდიადში ჩაძირულიყო? არ იყო ის სასონარკვეთილი, როდესაც მხატვრის უსუსურობა დაინახა ადამიანური ვალის აღსრულებაში? თუ ბედმა ადამიანი ხელოვნების ტყვეობაში მოისროლა, ის იქიდან თავს ვეღარ დააღწევს. ის გადაულახავი საზღვრითაა შეზღუდული, რომლის შიგ-

ნითაც გადაადგილდება და რომლის შიგნითაც მშვენიერი ამბები ხდება. არაკომპეტენტურობის შემთხვევაში, ის ამაო მეოცნებეა ამ ჩაკეტილ სივრცეში და არა – ხელოვნებასთან მიმართებაში ამბიციური დილეტანტი. თუ ის ჭეშმარიტი მხატვარია, სასოწარმკვეთი ხდება, რადგან მას საზღვრის გაღმიდან ესმის ძახილი და მხოლოდ ის შეუძლია, რომ ეს ხმა თავის პოემაში ასახოს, და არა ის, რომ მისდიოს ამ ხმას, ვინაიდან ის აკრძალვით არის პარალიზებული და ხელფეხშეკრული, როგორც საზღვრის გამოღმა მყოფი მწიგნობარი.

რამდენიმე მიზეზი მაქვს ამ პასაჟის ციტირებისათვის: უპირველეს ყოვლისა, ის იძლევა გარკვეულ წარმოდგენას იმაზე, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს, როდესაც მხატვარს ზებუნებრივი ნიჭის მქონე წინასწარმეტყველად წარმოადგენენ, თითქოსდა ის ყოველდღიურობაზე მაღლა დგას, და არა, როგორც შემოქმედებით პიროვნებას.

გარდა ამისა, ეს იმ გზებზე მიანიშნებს, რომლითაც ხელოვნება რელიგიისაგან განსხვავდება, ხატი იქნება ეს თუ წმინდა საიდუმლო. მხატვარი ჭვრეტს და ქედს იხრის, მშვენიერების საზღვრებს სცდება და მას ჭეშმარიტი ხსნისათვის მისაწვდომს ხდის. თუმცა ეს ასევე მიანიშნებს პარალელებზე. აღსანიშნავია, მაგალითად, პარალელი სიკვდილსა და სასოწარკვეთას შორის. თუ მონამე წარმოადგენს ამ დაცემული სოფლიდან სასუფეველში შემსვლელის პარადიგმას, მაშინ სასოწარკვეთის ზღვარს სცდება ის, რომ მხატვარს შეუძლია ნანახის გამოთქმა და გადმოცემა.

და, ბოლოს, ის მიანიშნებს მხატვრის საქმიანობაზე. შემოქმედი ქმნის ლექსს, სურათს, მუსიკალურ ნაწარმოებს. ის ქმნის რაღაცას, რაც წარმოსახვის რეალობას შთაგვაგონებს და მეხსიერებას ამახვილებს. ჩვენ ან მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ წარმოსახვას, ან, შესაძლოა, ვცდებით მის შეფასებაში. გომბრიხის წინა ციტატამ მაფიქრებინა, რომ წარმოსახვა იმდენად უნარი არ არის, რამდენადც პროცესი – ეს არის გამოსახვის მცდელობისა და შემდეგ მისი დახვენის პროცესი. როგორც პოეტი რამდენიმეჯერ გადაწერს უკვე დაწერილი ლექსის სახეცვლილ ვერსიებს, ასევე, მუსიკოსიც უკრავს მელოდიას, უსმენს საკუთარ შესრულებას და ცდილობს იპოვოს, რა არის „სწორი“, რაშიც იგულისხმება რაღაც, რაც სრულებით არ არის ადგილი ასახსნელი, მაგრამ მოიცავს ნოტებისა და მუსიკის შინაგანი დინამიკისადმი ერთგულებას. მუსიკის შემსრულებელი მხოლოდ აღმასრულებელი პირი კი არ არის (ფრანგები ამბობენ, რომ შემსრულებლის მიერ ხორციელდება მუსიკის ინტერპრეტაცია და არა პასიური განმეორება), არამედ მედიატორივაა, შუამავალი კომპოზიტორსა და მსმენელს შორის, რომელიც პასუხობს ნაწარმოებს იმით, რომ ხელახლა ქმნის მის თავისებურად აღქმულ ვერსიას.

ფიქრობ, რომ იმავე მოკრძალებულობას, რაც შექმნის სუბიექტურობითაა შეზღუდული, შეიცავს ხელოვნების ნიმუშის ნებისმიერი აღქმაც. ეს პროცესი არის მოქმედებაში მოყვანილი წარმოსახვა. ასევეა ალბათ მეხსიერებაც. ის მხოლოდ მოგონებათა საწყობი კი არაა, სადაც საჭირო მოგონებას ყოველთვის ვერ ვპოულობთ, არამედ ეს არის კავშირებისა და ბმულების აღდგენისა და მათი განმტკიცების პროცესი. რაღაცის გახსენება ნიშნავს ბმულებისა და კავშირების გაღვიძებას, რომელ-

შიც მთავარია ის, რასაც ვიხსენებთ. ამ ვითარებაში, ხელოვნების ნიმუში ბმულების სამყაროში სიმბოლოებით მინიშნებისა და კავშირების დამყარების საშუალებით გვითრევს.

ალბათ ასევე აღსანიშნავია, რომ ხელოვნებისადმი ჩვენი პასუხი ხშირად დაკ-ნინებულია იმ ტენდენციით, რომელიც ამ პროცესს ხედავს, როგორც ერთჯერად და მყისიერ „ესთეტიკურ განცდას“. ვკითხულობ ლექსს, ვუცქერი ნახატს და ესთეტიკურ სიამოვნებას განვიცდი. ეჭვი მეპარება, რომ ეს მართლა ასეა. ზოგჯერ ვფიქ-რობ, რომ ასეა, მაგრამ უფრო ხშირად მიმაჩნია, რომ ეს ასე არაა. ძალიან ხშირად მჭირდება, რომ ლექსი მეორედ წავიკითხო და სურათს რამდენიმეჯერ შევხედო. ასევე, მუსიკას (ან სპექტაკლს) განმეორებით მოვუსმინო. მეჩვენება, რომ მშვენიერი მოვლენა ხშირად უნდა განმეორდეს.

მხოლოდ მშვენიერ საგნებს შეუძლიათ იტვრთონ ასეთი სიხშირე. წარმოიდგინეთ, რა ძნელი მოსასმენი იქნება ცუდად გამოთქმული და სიტყვათა არასწორი წყობით ჩამოყალიბებული ლოცვა.

ბოლო ასპექტი თვალსჩინოს ხდის იმას, რომ ხელოვნების გაგება და დაფა-სება დროის კუთვნილებაა. რამდენადაც არ უნდა აღვიკვამდეთ ხელოვნებას, რო-გორც სარკმელს მარადისობისაკენ, მაინც დრო გვჭირდება იმისათვის, რომ ამ სარკმელში ის დავინახოთ, რასაც უნდა ვხედავდეთ. როგორც რილე ამტკიცებს, უპირველესი, საბოლოო და ყოველთვის აუცილებელი ლირსება, რაც პოეტს სჭირდება, არის *Geduld* ანუ მოთმინება. იგივე გვჭირდება ჩვენც ხელოვნების გაგებისა და შეფასებისას. ხელოვნება სივრცობრივ-დროებით რეალობას ეკუთვნის, თუმცა ბევრს მიაჩნდა, რომ მუსიკა სივრცეზე უფრო მეტს მოიცავს. ამგვარ აზრს გამოთქვამს შოპენჰაუერიც, როდესაც ამტკიცებს, რომ ყველა ხელოვნება მუსიკის ხელოვნების მდგომარეობისაკენ მიისწრაფვის. ეს მახსენებს დევიდ ჯონსის ერთ აზრის, რომ-ლის სულიც სწორედ მოყვანილ აზრებს ეხმიანება. დევიდ ჯონსი მის ნარკვევში „ხელოვნება და საიდუმლო“ ერთ ადგილას ამბობს:

„ადამიანს ვარდების არა მარტო ყნოსვა შეუძლია (ზოგიერთი ცხოველიც ახერხებს ამას, მაგალითად, ენძელა, ამბობენ, რომ ლომის ბუნაგში მეტად მიღებული და დაფასებულია), არამედ ის კრეფს ვარდებს და მას შემდგომ მასალად იყენებს. ის ვარდს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს. მისგან სურნელოვანი ზეთს ხდის და შესანირავ ძლვნად აქცევს, რისთვისაც ის სწორედაც რომ მოწოდებულია. ყოველ შემთხვევაში, ადამიანის გარდა, სხვას ეს არავის შეუძლია – არც ანგელოზებს და არც ცხოველებს. გასაკვირი არაა, რომ ღვთისმეტყველება სხეულს განსაკუთრებულ ნიჭად მიიჩნევს. სხეულის გარეშე შეუძლებელია საიდუმლოს აღსრულება. ვერც ანგელოზები აღასრულებენ საიდუმლოს და ვერც ცხოველები. სადაც ადამიანია, იქ წმინდა საიდუმლო აღესრულება ყველა საერო ან ღვთაებრივ კონტექსტში. ადამიანი საიდუმლოს ვერ გაუქცევა ვერც ყოფით და ვერც სილრმისეულ განზომილებაში“.

ეს მოსაზრება თანხვედრაშია იოანე დამასკელის ადრე ციტირებულ აზრებთან. ხელოვნება მნიშვნელოვანია; მას საგნები აინტერესებს; ის ამ საგნებს ნიშნე-

ბად და სიმბოლოებად აქცევს, მათი მნიშვნელობის შესაბამისად. თუმცა, გარდა ამისა, დევიდ ჯონსი კიდევ რაღაც სხვას მიანიშნებს. მისი აზრით, ადამიანის განსაკუთრებული ადგილი ანგელოზებსა და ცხოველებს შორის, როგორც მათ შორის შუამავალი მესტრის, ან „საზღვარზე მდგომი“, ადამიანის ნიშანთა სისტემის შემუშავების უნარს ეფუძნება. ადამიანს შეუძლია შექმნას ნივთები, რომლებიც პრაქტიკულად უსარგებლოა და ამით ამ საგანთა უფრო ღრმა მნიშვნელობაზე მიუთითოს.

წმინდა მამათა ერთი ნაწილის მიხედვით, მხოლოდ ადამიანი და არა ანგელოზები ან ცხოველები არიან შექმნილი ღვთის ხატებად. (ზოგი წმინდა მამა კი ამ-ტკიცებს, რომ ყველა ცოცხალი არსება შექმნილია ღვთის ხატად და განსხვავება ადამიანებსა და ანგელოზებს შორის ის არის, რომ ადამიანს სხეული გააჩნია. თუმცა მე ეს უცნაურად მიმაჩნია და პლატონიზმის გადაჭარბებულ გავლენას ვაბრალებ). მხოლოდ ადამიანია შექმნილი ღვთის ხატად და მხოლოდ ადამიანი დგას საზღვარზე, როგორც შუამავალი სულიერსა და მატერიალურ სამყაროებს შორის.

ადამიანის მდგომარეობის ეს ორივე ფაქტი ცხადი ხდება, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანი ნიშანთა შემქმნელი არსებაა, რომ ის არა მხოლოდ ქმნის გამოყენებად საგნებს, არამედ იყენებს მათ, როგორც ნიშნებს. და სწორედ ეს საგანთა შექმნის და გამოყენების უნარი, რომელიც ხელოვნების საფუძველს წარმოადგენს, გამოხატავს ჩვენს, როგორც ღვთის ხატების, მდგომარეობას. ჩვენ შექმნილი ვართ, როგორც ნიშნები, რომლებიც შემოქმედისაკენ მიმართავენ მზერას და რადგან ჩვენ საკუთარ არსებაში ვიცნობთ ნიშანთა სამყაროს, ჩვენც, შესაბამისად, შეგვიძლია და ვქმნით ნიშნებს. დევიდ ჯონსის საყვარელი ციტატა, რომელიც იეზუიტ თეოლოგს მორის დე ლა ტაილს ეკუთვნის და რომელსაც ის თავისი წიგნის – ეპოქა და მხატვარი ლეიტმოტივად იყენებს, ამბობს, რომ ქრისტემ საკუთარი თავი ნიშანთა სისტემაში მოათავსა. ის გულისხმობს იმას, რომ საიდუმლო სერობაზე პურისა და ღვინის, როგორც ნიშნების, გამოყენებით გაცხადდა მითითება იმაზე, რაც ქრისტეს მეორე დღეს ჯვარზე უნდა აღესრულებინა: მან ნიშანთა სისტემა შექმნა იმისათვის, რომ თავისი მისია განემარტა და აღესრულებინა. თუმცა, ქრისტეს მიერ საკუთარი თავის საგანთა სისტემაში განათავსება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მის განკაცებას. მან იმ ადამიანის ფორმა მიიღო, რომელსაც შეუძლია შექმნას და გამოიყენოს ნიშნები, საგნებს მნიშვნელობა მიანიჭოს და მათი არსი განჭვრიტოს.

ინგლისურიდან თარგმნა  
თამარ გოგუაძე

\* სტატია ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულია კრებულში *Living Orthodoxy in the Modern World*, Edited by Andrew Walker and Costa Carras, With the Foreword by the Ecumenical Patriarch Bartholomew, SPCK Publishing, 1996. ანდრია ვოლკერისა და კოსტა კარასის რედაქციით. პატრიარქ ბართოლომეოსის წინასიტყვაობით. (SPCK Publishing, 1996).

## თამარ გოგუაძე

### მასტივი ინდივიდუალური ლიტერატურული მუზეუმის დამფუძნებელი – ხელობა ესაკენტისა და ალმოსავლეთის შოთა რეზანულის

დეკანოზი ანდრია ლაუთი პატრისტიკისა და ბიზანტიური კულტურის ემერიტუსი პროფესორია დარემის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). თავდაპირველად მან მათემატიკა და თეოლოგია შეისწავლა ედინბურგსა და კემბრიჯში. დარემში გამგზავრებამდე ის ასწავლიდა ოქსფორდის უნივერსიტეტსა და ლონდონის გოლდსმითის კოლეჯში. პენსიაზე გასვლის შემდეგ პროფესორი ანდრია ლაუთი ასწავლის ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში. ის დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრია 2010 წლიდან. რუსეთის ეკლესიის სუროვის ეპარქიის დეკანზი კათეკერტისა და ბიჭის სამრევლოს წინამდლორად მსახურობს ქალაქ დარემში.

პროფესორ ლაუთის სამეცნიერო ინტერესთა სფერო, ძირითადად, ბერძნული ტრადიციის თეოლოგიის ისტორიაზე ორიენტირებული, ღრმად შეისწავლის იმ გვიანდელ პერიოდებს, რომლებიც ინგლისის უნივერსიტეტებში ნაკლებად ისწავლება, მაგალითად, როგორიცაა ბიზანტიის იმპერიის მეზუთე საუკუნის შემდეგი პერიოდი 1453 წლამდე და კიდევ უფრო გვიანდელ ეტაპსაც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ჩათვლით (რუსული და რუმინული მართლმადიდებელი ტრადიციების ჩათვლით). მისი ინტერესების სფეროშია აგრეთვე ბიზანტიური პერიოდის ფილოსოფიური (წევრობრივი) ტრადიცია. პროფესორ ლაუთის ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ისტორიული ხასიათით, რადგან მას წარსულ ღვთისმეტყველებასთან დიალოგი დღევანდელი თეოლოგიის არსებით საფუძვლად მიაჩნია.

პროფესორ ლაუთის მრავალი ნაშრომი სხვადასხვა ენებზეა ნათარგმნი. მის წიგნებს შორის გამოირჩევა ქრისტიანული მისტიკური ტრადიციის საფუძვლები: პლატონიდან დიონისემდე; საიდუმლოს ჭვრეტა; ნარკვევი თეოლოგიის ბუნების შესახებ, წიგნები დიონისე არეოპაგელის, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის შესახებ. აგრეთვე, მეუდაბნოე მამათა შესახებ ორივე – დასავლური და აღმოსავლური – ქრისტიანობის ტრადიციაში: ღმერთის უდაბნო, რომელიც ხელმეორედ გამოიცა 2003 წელს. მისი ერთ-ერთი წიგნი – ბერძნული აღმოსავლეთი და ლათინური დასავლეთი, ეკლესია 681-1071 წლებში – თანამედროვე თეოლოგების წრეში საეკლესიო ისტორიის მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ მოიაზრება.

სტატია მართლმადიდებლობა და ხელოვნება 1996 წელს გამოქვეყნდა კრებულში, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლელი მკითხველისათვის მართლმადიდებელი სარწმუნოების გაცნობას. პროფესორი ლაუთი განმარტავს წმინდა მამათა შეხედულებებს მხატვრული შემოქმედების შესახებ ამ საკითხზე არსებული თანამედროვე დასავლური თეორიების ფონზე. ავტორი სიღრმისეულად განიხილავს ბევრი მართლმადიდებელი ავტორის უკმაყოფილებას, რომლებიც ენინააღმდეგებიან ხატის, როგორც ხელოვნების ნიმუშის აღქმას. ის ამის წინა პირობად სწორედ დასავ-

ლურ თეორიებსა და მათში არსებულ წინააღმდეგობებს ხედავს, სადაც ხატის ფენიმენისათვის ადგილი არ მოიძებნება. ის გვთავაზობს გზას, რომლის მიხედვითაც მართლმადიდებლებმა ხელოვნებასა და შემოქმედებას (არა მარტო ლიტურგიულს) უნდა შეხედონ წმინდა მამათა თვალით და არა დასავლური თეორიების მიხედვით მხატვარი-შემოქმედის შესახებ, რომელიც არც ხატის და არც, ზოგადად, ხელოვნების ნიმუშის შესაფასებლად გამოგვადგება ქრისტიანული პოზიციიდან. ისეთ ნაკლებად ცნობილ დასავლელ მოაზროვნეთა ციტირებით, როგორიცაა, მაგალითად, დევიდ ჯონსი, ავტორი ცდილობს, წვლილი შეიტანოს მაკავშირებელი ხიდის შენების საქმეში დასავლურ და აღმოსავლურ ტრადიციებს შორის საერთო ენის გამნახვის საფუძველზე.

TAMAR GOGUADZE

### The Orthodox Theologian Bridging the East and West Through Art

Andrew Louth is an Emeritus Professor of Patristic and Byzantine Studies in the Department of Theology and Religion at Durham University. Prof Louth studied Mathematics and Theology at Edinburgh and Cambridge. Before moving to Durham, he taught at Oxford University and at Goldsmiths College of the University of London. Since his retirement from Durham, Prof Louth has been teaching at the Free University, Amsterdam. He was also elected member of the British Academy of Sciences in 2010, and Emeritus Professor of Durham University. He is Archpriest in the Russian Orthodox Patriarchal Diocese of Sourozh, serving in the Parish of St Cuthbert and St Bede, Durham.

His research interests lie mostly in the history of theology in the Greek tradition, especially in periods later than what is generally studied in English universities, i.e. after the fifth century, the period of the Byzantine Empire (up to 1453), but also later, especially in the modern period (nineteenth century and onwards) where his research interests also include Russian and Romanian (Orthodox) theology. His interest also embraces the philosophical traditions (often called ‘Neoplatonic’) of the Byzantine period. Prof Louth’s interest in the theology of these periods is not purely historical, since he regards dialogue with the theological writers of the past as a resource for theological reflection today.

Prof. Louth has published and translated widely, including *The Origins of the Christian Mystical Tradition: from Plato to Denys, Discerning the mystery: an Essay on the Nature of theology*, books on Dionysios (or Denys) the Areopagite, *Maximos the Confessor*, and *John Damascene*, and on the tradition of desert spirituality in the Christian tradition, both east and west (*The Wilderness of God*, republished in a revised edition in 2003). One recent book in a

series on the history of the Christian Church over the last two thousand years is *Greek East and Latin West: the Church AD 681-1071*.

The article “Orthodoxy and Art” was published in 1996 as part of an introduction of Orthodox faith to the western reader. Prof. Louth is explaining the patristic views on artistic creativity in the light of the modern Orthodox understanding of art. The author wisely discerns that the problem that many Orthodox experience in considering iconography as a form of art are the generally accepted western theories about art and creativity in which they cannot find a place for iconography. In that respect he suggests that what the Orthodox can do is to look at art in general from the perspective of patristic theories on art and creativity instead of relying on the widespread western theories on the artist-creator, which have no valid grounds in the case of the Orthodox Christian practice of icon-painting. His quotations from western authors and a western painter such as David Jones shows an attempt at building a bridge of mutual understanding between the Eastern and Western aesthetics on the grounds of similar approaches.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

დალი გერმანიშვილი  
მარინა ჭყონია  
თინათინ ჩირინაშვილი  
ნათია დვალი

Published by:

Dali Germanishvili  
Marina Chkonia  
Tinatin Chirinashvili  
Natia Dvali

---

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995 (32) 225 14 32

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)